პავლე ბაჟოვი

მალაქიტის ზარდახშა

პ. ბაჟოვი — მალაქიტის ზარდახშა. ქ. თბილისი . 2011წ. 74 გვ.

რუსულიდან თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა.



ორ ათეულ წელზე მეტია, რაც მინდოდა გავცნობოდი პავლე პეტრეს ძე ბაჟოვის შემოქმედებას. ამის სურვილი აღმიძრა საიუველირო ქვების შესახებ არსებულ ლიტერატურაში ცნობამ, რომ პავლე ბაჟოვის ნაწარმოებში მოხსენიებული ძვირფასი მწვამე ქვა იყო არა ზურმუხტი, არამედ უიშვიათესი მწვანე ძოწი–დემანტოიდი და აი 2010 წლის დეკემბერში ამისთვის მოვიცალე.

როდესაც კითხვა დავიწყე, მივხვდი, რომ ეს ჩემთვის ძნელად გასაგები იყო, რადგან XIX საუკუნის ურალური კილოთი იყო დაწერილი, მაგრამ წიგნში დართული განმარტებანის დახმარებით მაინც წავიკითხე და მოვიხიბლე მათი ზღაპრული სიუჟეტებითა და პერსონაჟებით და გადავწყვიტე მეთარგმნა, რათა ქართველ მკითხველსაც შეძლებოდა მშობლიურ ენაზე წაეკითხა ეს ლამაზი და მიმზიდველი თქმულებები.

მარინე ამბარდნიშვილი

თარგმანს ვუძღვნი ანა და თინათინ ამბარდნიშვილებს.

პავლე პეტრეს ძე ბაჟოვი დაიბადა 1879 წელს, 28 იანვარს ურალში, სისერტის სპილენძსადნობი ქარხნის ოსტატის ოჯახში. დედა ცნობილი მოხელსაქმე, მაქმანის ქსოვის ოსტატი იყო. საღამოობით ქარხნის მოხუცი დარაჯი ვასილი ხმელინინი - პაპა „სლიშკო'' სოფლის ყმაწვილებს თქმულებებს უყვებოდა ზღაპრულ გველებზე, ალებზე, სპილენძის მთის ქალბატონზე, დიდ მცურავზე და სხვა. ქალბატონი – „მალაქიტნიცა“ ხალხის რწმენით მალაქიტის საბადოების მფარველი იყო. მოხუცი დარაჯის ზღაპრებმა პატარა ყმაწვილის სულზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მშობლებმა თავიაანთი ერთადერთი შვილი დიდი წვალებით შეიყვანეს ქ. ეკატერინბურგის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა ქ. პერმის ცნობილ სასულიერო სემინარიაში.

1899 წელს პავლე ბაჟოვი სემინარიის დამთავრების მერე სახალხო მასწავლებელი გახდა და მუშაობა დაიწყო ძველ ქალაქ ნევიანსკისთან ახლოს მდებარე სოფელ შაიდურიხში.

პავლე ბაჟოვი თხუთმეტი წლის განმავლობაში სასკოლო არდადეგების დროს მოგზაურობდა მშობლიურ მხარეში და ხალხის ყოფა-ცხოვრებას აკვირდებოდა, იწერდა ფოლკლორულ მასალებს.

რუსეთის 1917 წელს რევოლუციის შემდეგ მონაწილეობდა სამოქალაქო ომში წითელი გვარდიის მხარეზე.

1924 წელს პირველად პავლე ბაჟოვმა დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი — „ურალური ამბები“.

1939 წელს ეგორშა კოლდუნკოვის ფსევდონიმით აქვეყნებს საბავშო ავტობიოგრაფიულ თხზულებას — „მწვანე კუტკალია“.

1942-50 წლებში ჟურნალ „Уральский современнык” — ის რედაქტორია.

1943 წლის 19 მარტს პავლე ბაჟოვს მიენიჭა მეორე ხარისხის სახელმწიფო პრემია წიგნისთვის — „მალაქიტის ზარდახშა''.

1944 წელს დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. ამავე წელს მისი ეს წიგნი ერთდროულად გამოვიდა ურალში — სვერდლოვსკში და ლონდონში, ხეტჩინსონის გამომცემლობაში.

1946 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

1949 წელს იყო მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონფერენციის პრეზიდიუმის წევრი.

პავლე ბაჟოვის ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა პროკოფიევის ბალეტი „ქვის ყვავილი'', გადაღებულია ამავე სახელწოდების ფილმიც.

პავლე ბაჟოვი გარდაიცვალა 1950 წლის 3 დეკემბერს, დაკრძალულია ქ. ეკატერინბურში. მის საცხოვრებელ სახლში გახსნილია მისი სახლმუზეუმი.

პავლე ბაჟოვის ნაწარმოებები ითარგმნა და გამოიცა:

რჩეული — ბუდაპეშტი, 1949, 1950 წლებში.

მწვანე კუტკალია — სოფია, 1947 წელი.

პრაღა 1947 წელი.

ბუდაბეშტი, 1950 წელი.

ვარშავა 1950 წელი.

ბრატისლავა, 1950 წელი.

ბუქარესტი 1951 წელი.

ვარშავა 1952 წელი.

პრაღა 1953 წელი.

ვარშავა 1954 წელი.

ბელგრადი 1954 წელი.

ქვის ყვავილი — ოსლო 1946 წელი.

პრაღა 1946 წელი.

პარიზი 1947 წელი.

ბრატისლავა 1949 წელი.

ვარშავა 1950 წელი.

პრაღა 1951წელი

ტოკიო 1953 წელი.

ბუქარესტი 1954 წელი.

სარაევო 1955 წელი.

ბერლინი 1957 წელი.

შორეული - ახლობელი — პრაღა, 1952 წელი.

მალაქიტის ქარდახშა — ბუდაბეშტი, 1949 წ, 1950წ.

ბერლინი, 1952 წ.

ვარშავა, 1951წ. 1953წ.

ტოკიო, 1953წ.

ერმაკის გედები — სოფია, 1948.

ურალური თქმულებები — სოფია, 1951წ.

ცალკეული ნაწარმოებები გამოქვეყნებულია გერმანულ, პოლონურ, სლოვაკურ, ჩეხურ, ბულგარულ, იაპონურ, ბირმულ, ვიეტნამურ ენებზე.

მარინე ამბარდნიშვილი.

სპილენძის მთის ქალბატონი

ერთხელ ჩვენი ქარხნელი ბალახის დასახედად წავიდა. მათი სათიბები შორს იყო, სევერუშკის[1] იქით.

დღესასწაულს ცა მოკრიალებულიყო, წვიმის მერე საშინლად ცხელოდა. ორივენი გუმეშკის მთაზე და ლაზარევკაშიც მალაქიტს მოიპოვებდნენ.

ამ ორიდან ერთი უცულო იყო, მეორე, ასაკით უფროსი, სულ დაჩაჩანაკებულიყო, თვალები და ლოყებიც თითქოს გამწვანებოდა და გამუდმებით ახველებდა.

ტყეში ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკებდნენ, მიწას ორთქლი ასდიოდა. სიარულში სიმსუბუქე და მოთენთილობა დაეტყოთ. კრასნოგორსკის საბადომდე მიაღწიეს. იქ ოდესღაც რკინის მადანს მოიპოვებდნენ. ცირცელის ქვეშ ბალახზე წამოწვნენ და მაშინვე ჩაეძინათ. უცებ, თითქოს ყურის ძირში წაკრეს, ახალგაზრდას გაეღვიძა და ხედავს, რომ მის წინ, მთაზე, საბადოს შუაგულში, ლოდზე ზურგშექცევით ვიღაც ქალი ზის. ნაწნავზე ეტყობოდა, რომ გასათხოვარი იყო. მისი შავი ნაწნავი ჩვენი გოგოების ნაწნავივით კი არ ქანაობდა, ზურგზე მიტმასნებოდა. ბაფთის ბოლო კი მომწვანო-მოწითალოდ ნაზად წკარუნებდა.

ჭაბუკი ნაწნავის ცქერით განცვიფრდა. თანაც თვალყურს ადევნებდა. ეს ტანმორჩილი ქალიშვილი, შინაგანად თითქოს მშვიდი, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ხან წინ გადაიხრებოდა, ხან უკან, ხან გვერდზე, ისევ წინ, ისევ უკან, ხან წამოხტებოდა, ხელებს იქნევდა. მერე ისევ იხრებოდა. ერთი სიტყვით, ვერცხლისწყალივით გოგო იყო. თან გაურკვევლად ბუტბუტებდა. ვის ელაპარაკებოდა არ ჩანდა, მაგრამ აშკარად ემხიარულებოდა.

ჭაბუკმა ხმის ამოღება ვერ მოასწრო, რომ თავში გაუელვა: – „ოხ, ღმერთო ჩემო! ეს ხომ თვითონ ქალბატონია. მისი ტანსაცმელი როგორ ვერ შევნიშნე. ტანსაცმელი აბრეშუმისაა, მალაქიტის მსგავსი ქსოვილის. თვალებიც დააელმა. აი უბედურება, მალე წავიდე სანამ შემამჩნევს.” მოხუცებისაგან გაეგო, რომ ამ ქალბატონს ადამიანებისათვის ჭკუის სწავლება უყვარდა.

[1] სევერუშკა--მდინარე ჩუვაიას შენაკადი.

ჭაბუკმა გაიფიქრა თუ არა, ქალმა მხიარულად მიმოიხედა, კბილები გააკრაჭუნა და გაიხუმრა:

–შენ რა, სტეპან პეტროვიჩ! ქალიშვილის სილამაზეს უფასოდ უყურებ? შეხედვაზე ხომ ფულს იხდიან. ახლოს მოდი, ცოტა დავილაპარაკოთ.

რასაკვირველია, ჭაბუკს შეეშინდა, მაგრამ არ შეიმჩნია. თავს იმაგრებდა. მერე რა, რომ იდუმალი ძალაა, მაინც ქალიშვილია. ის კი ჭაბუკია და სირცხვილია მის წინ რომ შეცბეს.

–შენთან სალაპარაკოდ არ მცალია, ისედაც ჩაგვეძინა, ბალახის დასახედად ვიყავით.

ქალიშვილს გაეცინა და უთხრა:

–წამოდი, სახეირო საქმეა.

ჭაბუკი ქალისკენ წავიდა, ის კი ხელით ანიშნებს, მთას მეორე მხრიდან შემოუარეო.

ჭაბუკმა მთას შემოუარა და უამრავი პატარა ხვლიკი დაინახა. ზოგი მწვანე, ზოგი ცისფერი, ზოგიერთი მოცისფრო, ზოგი კი თიხისფერი იყო, ოქრესფერი წინწკლებით. ერთი შუშასავით ბრწყინავდა, მეორე ბალახივით ბზინავდა, ზოგიერთს ტანი მოხატული ჰქონდა.

–სტეპან პეტროვიჩ, ჩემი ჯარი არ დამიფანტო. შენ რამხელა ხარ, ესენი კი პატარები არიან– უთხრა სიცილით ქალიშვილმა. ხელი ხელს შემოჰკრა და ხვლიკები შორს გაიფანტნენ.

აი, ჭაბუკი ახლოს მივიდა და გაჩერდა. ქალიშვილმა კი ისევ ხელი ხელს შემოჰკრა და სიცილით უთხრა:

–ახლა ვერსად წახვალ. ჩემს სამსახურს უარყოფ? –უბედურებას გადაეყრები.

ჭაბუკმა ფეხზე დაიხედა და მიწა აღარ ჩანდა. ხვლიკები ერთად მოგროვილიყვნენ და მოხატულ იატაკს დამსგავსებოდნენ. სტეპანი უცქერს და – „ღმერთო ჩემო, ეს ხომ სპილენძის მადანია! სხვადასხვა ხარისხის და კარგად გაშლიფული. ქარსიც აქაა, კრიალაც, სხვადასხვა კილიტიებიც, თითქოს მალაქიტს წააგავს.

–სტეპანუშკა, ახლა ხომ მიცანი? – ჰკითხა ქალბატონმა და გადაიხარხარა. – არ შეგეშინდეს, უარესს არ გაგიკეთებ.

ჭაბუკს ეწყინა, რომ ქალიშვილი დასცინოდა და თან ასეთ სიტყვებს ეუბნებოდა. ძლიერ გაბრაზდა და დაიყვირა. :

–ვისი მეშინია! თუ მინდა მთას გავარღვევ!

–კარგი, –უთხრა ქალბატონმა. – ზუსტად შენნაირი მინდა. ვისაც არავისი ეშინია. ხვალ, მთიდან რომ ჩახვალ, იქ ზედამხედველი დაგხვდება და რასაც დაგაბარებ, სიტყვა-სიტყვით გადაეცი: „სპილენძის მთის ქალბატონმა შემოგითვალა, შენ, „წუპაკო ვაცო”, კრასნოგორსკის საბადოდან გადაიკარგე და თუ ჩემი რკინის ქუდის მტვრევას გააგრძელებ, მაშინ მე გუმეშიკის სპილენძის მადანს ისე ღრმად ჩავფლავ, რომ ვერაფერს მოიპოვებ.”

თქვა და თვალები მოჭუტა.

–სტეპანუშკა, ხომ გაიგე? ამბობ, გაარღვევ, არავის გეშინია. სიტყვა-სიტყვით გადაეცი და არავის არაფერი უთხრა.

ისევ ხელი ხელს შემოჰკრა და ხვლიკები სულ გაიფანტნენ. თვითონ ფეხზე წამოხტა, ლოდს ხელი მოჰკიდა და ხვლიკივით გაიქცა. ხელ ფეხის ნაცვლად თათები გაუხდა, კუდი გამოუჩნდა, შუა ზურგამდე შავი ზოლი გადასდევდა, თავი კი ადამიანისა ჰქონდა. მწვერვალამდე აირბინა, მიმოიხედა და დაუძახა:

-სტეაპანუშკა! რაც გითხარი არ დაგავიწყდეს. „წუპაკ ვაცს” გადაეცი, რომ კრასნოგორსკიდან გადაიკარგოს. თუ შეასრულებ რაც მე გითხარი, ცოლად გამოგყვები.

ჭაბუკმა სიმწრისაგან გადააფურთხა.

-ფუ, შე საძაგელო! როგორ, ხვლიკზე დავქორწინდე?!

ქალიშვილი კი ხარხარებს და ეუბნება:

-კარგი, მერე მოვილაპარაკოთ. იქნებ გადაწყვიტო?

უცებ მწვანე კუდმა გაიელვა და იმ წუთას მთაზე აღმოჩნდა.

დარჩა ჭაბუკი მარტოდმარტო. მთაზე სიჩუმეა. საბადოს გულში ვიღაც ხვრინავდა, გააღვიძა და თავიაანთ სახლებში დაბრუნდნენ. სტეპანის თავში სულ ის უტრიალებდა, როგორ მოქცეულიყო. იოლი საქმე არაა ზედამხედველს ასეთი სიტყვები უთხრას. კიდევ ისიც, რომ მართლა წუპაკი იყო. ამბობდნენ სულწაწყმედილიაო. არ უთხრას, ესეც საშიშია. ეს ქალბატონი ხომ მთის ქალბატონია, უფრო უარესია მის თვალში მკვეხარა გამოჩნდეს. იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა:

-რაც არის, არის შევასრულებ რაც დამავალა.

მეორე დღეს, დილაადრიან, როცა დოლის ხმაზე ხალხი მოგროვდა, საბადოს ზედამხედველი მოვიდა და ყველამ ქუდები მოიხადა. სიჩუმეა. სტეპანი ზედამხედველთან მივიდა და უთხრა:

-საღამოხანს, სპილენძის მთის ქალბატონი ვნახე და შენთან დამაბარა, რომ შენ, „წუპაკო ვაცო", კრასნოგორსკის მთიდან გადაიკარგო. თუ შენ მის რკინის ქუდს შეეხები, მაშინ ის მთელ სპილენძს ისე ღრმად ჩაფლავს, რომ ვერავინ ამოიღებს.

ზედამხედველს ულვაშები შეერხა.

-შენ რა მთვრალი ხარ? ჭკუას გადახვედი? რომელი ქალბატონი? ვის ეუბნები ამ სიტყვებს? გაგაუბედურებ!

-ნება შენია, მე კი ასე მიბრძანეს, - უთხრა სტეპანმა.

-გაწკეპლეთ! -დაიყვირა ზედამხედველმა, -საბადოს სანგრევში ჩაიყვანეთ და ჯაჭვით დააბით! სული რომ არ გაძვრეს, ძაღლის სალაფავი აჭამეთ! დაუზოგავად გაწკეპლეთ!

ჭაბუკი, რა თქმა უნდა, გაწკეპლეს, საბადოს სანგრევში ჩაიყვანეს, გრძელი ჯაჭვით დააბეს, რათა თან ემუშავა. გასაგებია, რა დრო იყო. ბატონყმობა. ადამიანებს დაუნდობლად ექცეოდნენ.

-ცოტა ხანს აქ გაგრილდი. -უთხრა ზედამხედველმა.

სტეპანმა არ იცის რა გააკეთოს. როგორც კი ზედამხედველი წავიდა, სამტვრევის ქნევა დაიწყო. უყურებს- მალაქიტი ცვივა, თითქოს ვიღაცა ეს მალაქიტი ხელით გადმოუყარა. სინესტეც სადღაც გაქრა. – „აი რა კარგია, ალბათ ქალბატონს გავახსენდი". გაიფიქრა თუ არა, განათდა და წინ ქალბატონი დაინახა.

-ყოჩაღ, სტეპან პეტროვიჩ! წუპაკი ვაცის არ შეგეშინდა. კარგად უთხარი. წავიდეთ, ჩემს მზითევს გაჩვენებ. ჩემს პირობას არც მე დავარღვევ.

ქალიშვილმა ხელი ხელს შემოჰკრა და ხვლიკები სტეპანის ირგვლივ ალყა მოხსნეს, თან დაავალა.

-ორმაგად ამოიღეთ, არჩეული მალაქიტი იყოს, აბრეშუმისებური ბზინვარების.

წავიდნენ. ქალიშვილი წინ მიდის. სტეპანი უკან მიჰყვება. საითაც წავა, გზა იხსნება. მიწისქვეშ დიდი ოთახები იყო, კედლები სხვადასხვანაირი: ზოგი-მწვანე, ზოგი ყვითელი ოქროსფერი წინწკლებით, კედლებზე სპილენძის ყვავილებია, ზოგი ცისფერი, ზოგიც-ლაჟვარდისფერი. ისეა მოხატული, რომ ენით არ ვერ აიწერება. ქალბატონის კაბაც დროდადრო ფერს იცვლიდა: ხან შუშასავით გამჭირვალე იყო, ხან ალმასივით ბრწყინავდა, ხანაც სპილენძივით პრიალებდა, მერე ისევ მწვანე აბრეშუმივით ლაპლაპებდა. მიდიან, მიდიან, უცებ ქალბატონი გაჩერდა და უთხრა:

-აქ რა არის სანახავი? ახლა ჩვენ კრასნოგორსკის ქვეშ ვართ. გუმეშაკის მერე, ყველაზე ძვირფასი ადგილი აქა მაქვს.

და სტეპანმა უზარმაზარი ოთახი დაინახა. შიგნით-მაგიოდა, საწოლი, სკამები- ყველა სამეფო სპილენძისაა. მალაქიტისა და ალმასის კედლებზე და მეწამულ ჭერზე სპილენძის ყვავილებია.

-დავსხდეთ, აქ ვილაპარაკოთ, -უთხრა ქალბატონმა.

დასხდნენ.

-ნახე, ჩემი მზითევი?

-ვნახე.

-ქორწინებაზე რას ფიქრობ?

სტეპანმა არ იცის რა უპასუხოს. მას უკვე საცოლე ჰყავდა. კარგი გოგო იყო, ობოლი, მაგრამ „მალაქიტნიცას" სილამაზით ვერ შეედრებოდა. ცოტა ყოყმანის მერე უთხრა:

-შენი მზითევი მეფის სადარია, მე კი უბრალო მუშაკაცი ვარ.

-შენ, მეგობარო, თავაზიანი ხარ? პირდაპირ მითხარი, ცოლად მთხოულობ თუ არა? და მოიღუშა.

-არ შემიძლია, სხვისთვის მაქვს პირობა მიცემული.

თქვა და გაიფიქრა: „ახლა კი გაცეცხლდება".

მას კი თითქოს გაუხარდა და აღრფრთოვანდა:

-ყოჩაღ, სტეპანუშკა! ზედამხედველის გამო შეგაქე. ამის გამო კი ორმაგად შეგაქებ. ჩემს სიმდიდრეს არ დახარბდი. შენი ნასტენკა ქვის ქალზე არ გასცვალე. -აი საჩუქარი შენი ნასტენკასათვის და მალაქიტის დიდი ზარდახშა მისცა. ზარდახშა სავსე იყო ყოველგვარი საქალებო სამკაულებით: საყურეები, ბეჭდები და სხვა, რაც ყველა მდიდარ საცოლეს შეიძლებოდა ჰქონოდა.

-აქედან ზემოთ როგორ ავალ?- ჰკითხა ჭაბუკმა.

-ამაზე არ იდარდო. ყველაფერი კარგად იქნება. ზედამხედველისაგან გაგათავისუფლებ. ახალგაზრდა ცოლთან ერთად უზრუნველად იცხოვრებ. მხოლოდ ერთს გეტყვი- არ გამიხსენო. ეს შენი მესამე გამოცდაა. ახლა კი ცოტა დანაყრდი.

ხელი ხელს შემოჰკრა და ხვლიკები მოცვივდნენ. სუფრა გაშალეს, ზედ სულ ნუგბარი საჭმელებია: თევზის ღვეზელი, ცხვრის ხორცი, ფაფა და სხვა.

მერე უთხრა:

-ახლა მშვიდობით, სტეპან პეტროვიჩ, დაიმახსოვრე-ნუ გამიხსენებ. თვითონ კი თითქმის ტირის. უცებ ცრემლები წვეთ-წვეთად ჩამოუვიდა და ხელზე გაეყინა. -წაიღე, ამ ქვებში ბევრს იხდიან. მდიდარი იქნები.

ქალიშვილს ხელი, როგორც ცოცხალს, თბილი ჰქონდა, თან ცოტა უკანკალებდა. ქვები კი ცივი იყო.

სტეპანმა ქვები გამოართვა, თაყვანი სცა და ჰკითხა: -საით წავიდე?

მან მიუთითა და მის წინ გასასვლელი გამოჩნდა. შიგნით დღესავით ნათელი იყო და სტეპანმა მიწის წიაღის ყველანაირი სიმდიდრე დაინახა. თავის სამტვრევამდე მივიდა, გასასვლელი დაკეტა და ყველაფერი ძველებურად დარჩა. ხვლიკმა მოირბინა, ფეხზე ჯაჭვი გაუკეთა, სამკაულებიანი ზარდახშა კი დააპატარავა და სტეპანმა უბეში დამალა. მალე საბადოს ზედამხედველიც მოვიდა. უნდოდა დაეცინა, მაგრამ დაინახა, რომ დავალება გადამეტებით შეუსრულებია. მალაქიტიც დახარისხებულია. „-ეს რა ხუმრობაა? საიდან? სამტვრევში ჩაძვრა, ყველაფერი დაათვალიერა და უთხრა:

-ამ სამტვრევში, ნებისმიერი იმუშავებს და თავისი ნათესავი დააყენა. სტეპანი კი სხვაგან გადაიყვანა.

მეორე დღეს სტეპანი მუშაობას შეუდგა. ცვივა და ცვივა მალაქიტი. ზედამხედველის ნათესავს კი ფუჭი ქანი ამოსდის. ამ დროს ზედამხედველმა საქმე შემოაბრუნა, უფროსთან მიირბინა და უთხრა:

-სტეპანმა სული ბნელ ძალას მიჰყიდა.

-ეს მისი საქმეა, სულს ვის მიჰყიდის. ჩვენ მოგება უნდა გვაინტერესებდეს. ყმობიდან განთავისუფლებას დაპირდი, თუ ასი ფუთის[2] მალაქიტის ლოდს იპოვის -მიუგო უფროსმა.

უფროსმა სტეფანი გაანთავისუფლა და ბრძანება გასცა, კრასნოგორსკის მთაზე მუშაობა შეეწყვიტათ. „-ვინ იცის, იქ სპილენძის მადანია, თუჯისათვის გამოუყენებელი”.

ზედამხედველმა სტეფანს გამოუცხადა, რაც ევალებოდა.

თავისუფლებაზე უარს ვინ იტყვის? შევეცდები. თუ ვიპოვი, ბედნიერი ვიქნები - მიუგო სტეპანმა.

სტეპანმა მალაქიტის ასფუთიანი ლოდი მალე იპოვა. ამოთხარეს, მაგრამ ყმობიდან არ გაათავისუფლეს.

[2] ფუთი - 16კგ.

მალაქიტის ასფუტიანი ლოდის ამბავი ბატონს სანკტ-პეტერბურგში მისწერეს. ბატონი ჩამოვიდა, გაიგო რაშიც იყო საქმე და სტეპანს დაუძახა:

-ჩემს თავადურ სიტყვას ვიძლევი, ყმობიდან გაგათავისუფლებ, თუ მალაქიტის ისეთ ლოდებს იპოვნი, რომლიდანაც არანაკლები ხუთი საჯენის[3] სიგრძის სვეტები გამოვა.

მე ერთხელ უკვე მომატყუეს. ჭკუა ვისწავლე. ჯერ განთავისუფლების საბუთი დაწერე, მერე ვეცდები. ვნახოთ რა გამოვა.

ბატონი, რა თქმა უნდა, გაბრაზდა, დაიყვირა, ფეხები დააბაკუნა.

სტეპანი კი თავისას გაიძახის:

-კინაღამ დამავიწყდა. -ჩემს საცოლესაც მიეცი თავისუფლება.ასე რა გამოვიდა? მე განთავისუფლებული, ის კი ყმა?

ბატონმა დაინახა, რომ ჭაბუკი მტკიცედ იდგა და განთავისუფლების საბუთი დაწერა.

-აიღე ოღონდ ეცადე, იპოვო.

სტეპანმა, რა თქმა უნდა, იპოვა მასაქიტის ასფუთიანი ლოდი. ამაში თვით ქალბატონი დაეხმარა. ლოდისაგან სვეტები გამოჩარხეს, ზემოთ ამოიტანეს და ბატონმა ეს სვეტები სანკტ-პეტერბურგში გააგზავნა მთავარ ტაძარში შესაწირად. ის პირველი ლოდი, რომელიც სტეპანმა იპოვა, ჩვენს ქალაქშია და ისე უფრთხილდებიან, როგორც იშვიათობას.

ამ დროიდან სტეპანი ყმობიდან განთავისუფლდა. გუმეშიკის მთაზე ყველა სიმდიდრე გაქრა. მალაქიტიც აღარ არის. ასე რომ, წაგებაზეა. მერე სულ დაიტბორა. ამბობენ, რომ მთის ქალბატონი გაცეცხლდა სვეტები ეკლესიაში რომ დადგეს. ეს მისთვის სულერთი არ იყო.

სტეპანი ცხოვრებაში ვერ გაბედნიერდა. ცოლი შეირთო, სახლი ააშენა. თითქოს უნდა გაეხარა, მაგრამ მოწყენილი იყო, დასუსტდა, თვალდათვალ დნებოდა.

ერთხელ სტეპანმა თავი მოიავადმყოფა, საფანტი იშოვა და სანადიროდ კრასნოგორსკის მთაზე წავიდა, მაგრამ ნანადირევი სახლში არ მოუტანია. შემოდგომაზე ისევ წავიდა და დაიკარგა. არ მოდის, არ მოდის, სად დაიკარგა? ხალხი შეიყარა და საძებნელად წავიდნენ. ის კი მკვდარ დიდ ლოდზე იწვა და თითქოს იღიმებოდა. ვინც მასთან პირველმა მიირბინა თქვა, რომ მიცვალებულთან იჯდა, მერე თავი ასწია და ცრემლები ჩამოსცვივდა. როცა სტეპანი სახლში მოასვენეს და

[3] საჟენი - 2,13მ.

განბანეს, დაინახეს, რომ ერთი ხელი მოკუმშული ჰქონდა და იქიდან მწვანე მარცვლები ოდნავ მოსჩანდა. ოჯახი უსაზღვრო მწუხარებამ მოიცვა.

ქვების ერთმა მცოდნემ მარცვლებს გვერდიდან შეხედა და თქვა:

-ეს ხომ ზურმუხტია! იშვიათი, ძვირფასი. ნასტასია, შენ მთელი სიმდიდრე დაგრჩა. საიდან ასეთი ქვები?

ნასტიამ აუხსნა, რომ მიცვალებული არანაირ ქვებზე არ ლაპარაკობდა. ზარდახშა მაშინ აჩუქა, როცა სასიძო იყო. მასში ბევრი ძვირფასეულობა ეწყო, მაგრამ ასეთი ქვები არ ენახა.

სტეპანის ხელიდან ქვები აიღეს. უცებ ეს ქვები მტვრად იქცა. დღემდე ვერ მიხვდნენ, საიდან ჰქონდა სტეპანს ეს ქვები. ამის მერეც თხრიდნენ კრასნოგორსკში, მაგრამ სულ სპილენძის მადანი ამოჰქონდათ.

ბოლოს, ვიღაცას გაახსენდა, რომ ქვები რომელიც სტეპანს ხელში ჰქონდა, სპილენძის მთის ქალბატონის ცრემლები იყო. არავისზე არ გაყიდა. თავისი საიდუმლოება შეინახა და სიკვდილსაც მათთან ერთად შეხვდა.

აი, როგორი ყოფილა სპილენძის ქალბატონი.

მავნესთვის მასთან შეხვედრა - მწუხარებაა, კეთილისათვის - ცოტა სიხარული.

მალაქიტის ზარდახშა

ნასტასიას, სტეპანის ქვრივს, მალაქიტის ზარდახშა დარჩა, რომელიც ქალისათვის საჭირო სამკაულებით იყო სავსე: ბეჭდები, საყურეები და სხვა. სტეპანი მალაქიტის ზარდახშით თვით სპილენძის მთის ქალბატონმა დაასაჩუქრა, როცა ის ცოლის შერთვას აპირებდა.

ნასტასია სიღარეებში იზრდებოდა, სიმდიდრეს არ იყო ჩვეული და არც მოდას მისდევდა. ამ სამკაულებს ქორწინების პირველ წლებში ატარებდა, მაგრამ ისინი მის სულთან ახლოს ვერ მივიდა. ბეჭედს გაიკეთებდა და ეკლესიაში ან სადმე სტუმრად წავიდოდა ბორკილვით მოუჭერდა, თითი ულურჯდებოდა. საყურეებს გაიკეთებდა - უარესი ემართებოდა, ყურის ბიბილო უსივდებოდა. ყველა ეს სამკაული ხელში რომ აგეღოთ, ნასტიას სამკაულებზე მძიმე არ იყო. ექვსი თუ შვიდი აცმა მძივი მხოლოდ

ერთხელ მოიზომა. ყინულივით ცივი იყო და არ თბებოდა. რცხვენოდა და ამ მძივს აჩვენებდა: -პოლევოიში იტყვიან როგორი დედაფოლი გამოჩნდაო.

სტეპანიც ცოლს არ აძალებდა ამ ზარდახშის სამკაულებიდან რაიმე ეტარებინა. ერთხელ კიდეც უთხრა: -სადმე შორს მოაშორე.

როცა სტეპანი გარდაიცვალა მის ხელში ძვირფასი ქვები ნახეს. ნასტასიამ გადაწყვიტა, რომ ზარდახშა ხალხისთვის ეჩვენებინა და როცა ხალხი წავიდა ქვების მცოდნემ ურჩია: -იაფად არ გაყიდო. ეს ზარდახშა თასები ღირს.

ეს კაცი განსწავლული და განთავისუფლებული ყმა იყო, ადრე ოსტატად მუშაობდა, მერე საქმეს ჩამოაშორეს. ყმებიდან დაახლოებული და დუქნების ხშირი სტუმარი იყო და სმასაც არ თაკილობდა. ზოგადად ყველაფერში პატიოსანი იყო: თხოვნის დაწერა, სინჯის წაშლა, ნიშნების დათვალიერება. სხვებისგან განსხვავებით ყველაფერს სინდისიერად აკეთებდა. ვის-ვის და თუ არა მას, ყველა მიართმევდა ჭიქას დღესასწაულზე. ამ კაცმა ჩვენთან სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა. ნასტასიამ ქმრისაგან იცოდა, რომ ეს ოსტატი სამართლიანი და საქმეში გარკვეული, სმას მიჩვეული იყო და მას დაუჯერა: -კარგი, შავი დღისთვის შევინახავ და ზარდახშა ძველ ადგილას დამალა.

სტეპანი დაკრძალეს, ორმოციც ღირსეულად გადაუხადეს. ასაკით ნასტასია ორმოცამდე იყო და მისი ხელის თხოვნა დაიწყეს. ჭკვიანი ქალი იყო და ყველას ერთს ეუბნებოდა: -მეორე ოქროც რომ იყოს, ბავშვებისთვის მამინაცვალი იქნება.

ცოტა ხანს თავი დაანებეს.

სტეპანმა ოჯახი კარგად უზრუნველყოფილი დატოვა. სახლი გამართული, მეურნეობა: ძროხა, ცხენი სრული აღჭურვილობით, ხელსაწყო-იარაღები. ნასტასია მშრომელი დედაკაცი იყო, დამჯერი ბავშვები ჰყავდა. არც ისე შეძლებულად ცხოვრობდნენ. ერთი, ორი, სამი წელი იცხოვრეს და მაინც გაღარიბდნენ. მარტო ქალი მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მეურნეობას როგორ მოუვლიდა, სადღაც კაპიკიც ხომ უნდა ეშოვა? თუნდაც მარილისთვის?

ნათესაობამ ნასტასიას ურჩია: -ზარდახშა გაყიდე. რისთვის გინდა? ტყუილუბრალოდ გიდევს. ტანია რომ გაიზრდება არ ატარებს. ისეთი ნივთებია მათი ყიდვა მხოლოდ ბატონებს და ვაჭრებს შეუძლიათ. ჩვენნაირ ყმა გლეხებს არ შეეფერება. ფულს მოგცემდნენ, შენთვის ხეირი იქნება.

ერთი სიტყვით ურჩევენ, ბევრს ეუბნებიან. მყიდველიც ისე მოფრინდა როგორც ყვავი ძვლისთვის, ვაჭრებიც, ვინ ას რუბლს სთავაზობდა, ვინ ორასს.

-შენი ბავშვებიც გვეცოდება, როგორც ქვრივს შეღავათს გიკეთებთ. -დედაკაცს აშტერებენ და უნდათ, რომ გამოათაყვანონ, მაგრამ მისამართი შეეშალათ.

ნასტასიას კარგად ახსოვდა, რასაც მოხუცი ოსტატი ეუბნებოდა. ასეთ მცირედზე არ გაყიდდა. კიდეც ენანებოდა. რაც არ უნდა იყოს, საქმროს ნაჩუქარია, ქმრის სახსოვარია. გარდა ამისა, თავისი უმცროსი გოგონა ცრემლად იღვრებოდა და ეხვეწებოდა: -დედიკო არ გაყიდო! დადიკო არ გაყიდო! სჯობს ვიმათხოვროთ, ვიდრე მამის სახსოვარი გავყიდოთ გაუფრთხილდი.

სტეპანისაგან სამი ბავშვი დარჩა: ორი ბიჭი და ეს გოგო კი არც დედას და არც მამას არ ჰგავდა. ამ გოგონაზე, ჯერ კიდევ სტეპანის სიცოცხლეში, როცა სულ პატარა იყო, ხალხი ნცვიფრდებოდა. არა მარტო ქალები, კაცებიც კი ეუბნებოდნენ:

-სტეპან, ეს გოგო ნეტავ ვის ჰგავს? ქამრის ფოჩიდან ხომ არ გამოვარდა[4] შავგვრემანია, ლამაზი, მწვანე თვალებით. ჩვენ გოგოებს საერთოდ არ ჰგავს.

-რა გასაკვირია შავგვრემანი რომ არის. მამამისი ბავშვობიდან მიწაში იჩიჩქნებოდა. მწვანე თვალები, რაც მე ბატონ ტურჩანინოვისათვის მალაქიტი მომიპოვებია, იმის სახსოვრად დამრჩა. -ხუმრობდა სტეპანი.

გოგონას სახსოვარს ეძახდა. „-როგორ ხარ, ჩემო სახსოვარო”? და როცა მისთვის რამე უნდა ეყიდა, ყოველთვის ცისფერს ან მწვანეს ყიდულობდა. ეს გოგო ხალხის თვალწინ იზრდებოდა და შორიდანვე ირჩეოდა. უცხოებს მალე არ უშინაურდებოდა, მიუხედავად ამისა, ყველა ტანიუშას ეძახდა. შურიანი დედაკაცები კი შესტრფოდნენ. სილამაზე ხომ ყველასათვის სასიამოვნოა. მხოლოდ დედამისი ოხრავდა:

-ლამაზია, ლამაზი. მაგრამ ჩვენი არაა. სწორედ რომ ვიღაცამ შემიცვალა.

გოგონა მამაზე დარდობდა, თვალზე ცრემლი არ უშრებოდა, სახეზე გახდა, ცარიელი თვალებიღა დარჩა. დედამისმა გადაწყვიტა, რომ მალაქიტის ზარდახშა მისცეს - „დაე გაერთოს”. ტანიუშას პატარაობის მიუხედავად, სამკაულის ტარება უყვარდა და ამ ნივთებით გაერთო. რასაც გაიკეთებდა, ყველაფერი უხდებოდა. დედამისს რომ არ ესმოდა, ამან ყველაფერი იცოდა. ამბობდა ხოლმე: -დედიკო, რა კარგია მამის სახსოვარი. თბილია, თითქოს ღუმელზე ზიხარ და ვიღაც ნაზად გეფერება.

ნასტასია თვითონ კერავდა, თითები უსივდებოდა, ყურები სტკიოდა, ყელი არ უთბებოდა და აი რა გაიფიქრა: -„ეს უბრალო საქმე არაა” და ზარდახშა სასწრაფოდ შეინახა. ტანიუშა ეხვეწებოდა:

-დედიკო, მომეცი მამის სახსოვარი!

---

[4] ქამრის ფოჩიდან ხომ არ გამოვარდა? - წინათ ურალში დიდ დღესასწაულებზე ქალები სარაფანს ზემოდან ქამარს იკეთებდნენ, რომელიც სუფთა ჭრელი გარუსის ძაფისაგან იყო ნაქსოვი. კაცები კი ასეთივე, ოღონდ მოკლე ფოჩებიან ვიწრო ქამარებს ატარებდნენ, ლამაზ გოგოს ასეთი ქამრის ფოჩის გარუსის ძაფს ადარებდნენ.

ნასტასია მტკიცედ იდგა, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო და მალაქიტის ზარდახშა მისცა, თან უბრძანა:

-აბა რამე გატეხე!

მერე, ტანიუშა რომ გაიზარდა, ზარდახშას თვითონ იღებდა. როცა დედა მისი უფროს ძმებთან ერთად სათიბში ან სადმე სხვაგან წავიდოდა, ტანუშა სახლში მარტო რჩებოდა. პირველად იმას აკეთებდა, რასაც დედა ავალებდა. ჭურჭელს დარეცხავდა, სუფრას გადაფერთხავდა, ქოხს დაგვიდა, ქათმებს დააპურებდა, ღუმელს მიხედავდა. ყველაფერ ამას სწრაფად მორჩებოდა და მაშინვე ზარდახშას აიღებდა. იმ დროისათვის ერთი მსუბუქი სკივრი დარჩათ. ტანიუშა სკივრს ტაბურეტზე დადებდა და ზარდახშას ამოიღებდა, ქვებს ამოარჩევდა, იზომებდა და ესიყვარულებოდა.

ერთხელ, მასთან ქურდი შევიდა. ის ან ღობესთან ადრე დაიმალა, ან კიდევ შეუმჩნევლად გადაძვრა. მეზობლებს ქუჩაში არ შეუნიშნავთ. კაცს ეტყობოდა, რომ უცნობი იყო. ეტყობა, ვიღაცამ მოაგზავნა.

როცა ნასტია წავიდა, ტანიუშამ საქმეს ცოტა მიხედ-მოხედა და მაშინვე ქოხში შევიდა მამისეული ქვების სათამაშოდ. თავზე გვრგვინი დაიდგა, საყურეები გაიკეთა. ამ დროს ქოხში ქურდი შეიჭრა. ტანიუშამ მიიხედა და ზღურბლზე უცხო კაცი დაინახა, რომელსაც ხელში მათი ცული ეჭირა. ცულს ტანიუშამ ახლახანს მოუნაცვლა ადგილი როცა წინკარს ჰგვიდა. გოგონა შიშისაგან გაქვავდა. უცნობი შეცბა, ცული ხელიდან გაუვარდა და ორივე ხელი თვალებზე იტაცა, თითქოს დაეწვა. ხტოდა და ყვიროდა:

-ოხ ღმერთო! დავბრმავდი!

ტანიუშამ დაინახა, რომ კაცი ცუდად იყო და ჰკითხა:

-ბიძია, ჩვენთან როგორ შემოხვედი? მხოლოდ ცული აიღე?

ის კაცი კი იდგა და თვალებს ისრესდა. ტანიუშას კიდეც შეეცოდა. ციცხვი წყლით გაავსო და უნდოდა მიეწოდებინა, რომ კაცი ზურგით კარისკენ შეტრიალდა და:

-არ მომიახლოვდე! სათივეში ვიჯექი და კარებიც ჩავხერგე.

მაგრამ ტანიუშამ გასასვლელი იპოვა, ფანჯრიდან გადახდა და მეზობლებს დაუძახა. მოვიდნენ და კაცს შეეკითხნენ ვინ იყო. ის ცოტა დაფიქრდა და თქვა: - „გამვლელი ვარ, მოწყალებას ვთხოულობდი და როგორღაც თვალი გამექცა, თითქოს მზემ დამკრა. ალბათ სულ დავბრმავდები”.

ტანიუშამ მეზობლებს ცულისა და ქვების შესახებ არაფერი უთხრა. მათ კი იფიქრეს: -„უბრალო საქმეა. იქნებ თვითონ დაავიწყდა ჭიშკრის დაკეტვა, გამვლელი და შევიდა და რაღაც შეემთხვა ცოტა რამ ხდება”?

ნასტასიას მოსვლამდე ეს კაცი გაუშვეს. როცა ბიჭებთან ერთად დაბრუნდა, ამ კაცმა ყველაფერი მოუყვა, ის რაც მეზობლებს უთხრა. ნასტასიამ დაინახა, რომ ყველაფერი ხელუხლებელი დახვდა და აღარ მიედავა. უცნობი კაცი და მეზობლები წავიდნენ.

მაშინ ტანიუშამ დედას მოუყვა რაც მოხდა. ნასტასია მიხვდა, რომ ისა კაცი ზარდახშის წასაღებად იყო მოსული და გაიფიქრა: -„ჩანს მისი წაღება ადვილი არაა, მეტად უნდა გავუფრთხილდეთ”. ტანიუშასა და სხვათა მალულად აიღო და სარდაფში დამალა.

მეორე დღეს, მთელი ოჯახი რომ წავიდა, ტანიუშამ ზარდახშა ვეღარ ნახა და დადარდიანდა. მაგრამ უცებ სითბომ დაუარა. რა ხდება? საიდან? მიიხედ-მოიხედა და იატაკის ქვემოთ სინათლე შეამჩნია. ტანიუშას შეეშინდა ხანძარი ხომ არ გაჩნდა. სარდაფში ჩაიხედა და დაინახა, რომ ერთ კუთხეში რაღაც ანათებდა. სათლს ხელი სტაცა წყლის მისხმა უნდა, მაგრამ ცეცხლი და ბოლი ვერ შენიშნა. ეს ადგილი ამოთხარა და ზარდახშა იპოვა. გახსნა და დაინახა, რომ ქვებს ბრწყინვალება მომატებოდა, სხვადასხვანაირად ციმციმებდნენ და ნათებაც აქედან მოდიოდა. ტანიუშამ ზარდახშა ქოხში არ შეიტანა და აქვე სარდაფში მათთან თამაშით გული იჯერა.

ამ დროს დედა ფიქრობდა: „-რა კარგად დავმალე, არავინ იცის”. გოგო კი როცა დიასახლისობას მორჩება, მაშინვე მამაის სახსოვარით ერთობოდა. გაყიდვის შესახებ ნათესაობას ხმას არ აღებინებდა. „-დრო მოვა და მაშინ გავყიდით”. გაჭირვებას არ ეპუებოდა. რამდენიმე წელიც გადაიტანეს. მერე საქმე კარგად წაუვიდათ. უფროსმა ბიჭებმა ცოტა გამომუშავება დაიწყეს, ტანიუშაც ხელებდაწყობილი არ იჯდა. ქარგვა და ბისერებით კერვა ისე ისწავლა, რომ ბატონის საუკეთესო ოსტატი ქალები გაოცებისაგან ხელებს ასავსევებდნენ: -„ნახატებს საიდან იღებს? აბრეშუმს სად შოულობს?”

ესეც შემთხვევით მოხდა: ერთხელ მათთან ნასტასიას ასაკის, ტანმორჩილი შავგვრემანი ქალი მივიდა. წელში მოხრილი გაფაციცებული იყურებოდა. მხარზე აბგა გადაეკიდებინა და ხელში შოთხვის კვერთხი ეჭირა. მოხეტიალეს ჰგავდა.

-დიასახლისო, შეიძლება დავისვენო? ფეხები არ მემორჩილება და შორს კი მივდივარ. -სთხოვა ქალმა ნასტიას.

ნასტასიამ თავდაპირველად იფიქრა ზარდახშისათვის ხომ არ იყო მოგზავნილი, მერე მაინც შეუშვა:

-ადგილი არ მენანება, საწოლს თან ხომ არ წაიღებ. ოღონდ ობლის ლუკმა გვაქვს. დილით- ხახვი ბურახით, საღამოს - ბურახი ხახვით, ასე მონაცვლეობით. თუ გახდმომის არ გეშინია, რამდენიც გენებოს იმდენ ხანს იცხოვრე.

მოხეტიალემ კვერთხი მიაყუდა, აბგა ღუმელთან დადო და ფეხზე გაიხადა. ნასტასიას ეს არ მოეწონა, მაგრამ არაფერი უთხრა. -რა მოურიდებლობაა! მისალმება ვერ მოვასწარით, რომ უკვე ფეხზე იხდის და აბგაც გახსნა".

ქალმა მართლა აბგა გახსნა და ტანიუშა თითით მოიხმო:

-მოდი შვილო, ჩემი ხელსაქმე ნახე, თუ გინდა გასწავლი. ამას თვალს ვერავინ მოსწყვეტს.

ტანიუშა მიუახლოვდა და ქალმა ქსოვილის პატარა ნაჭერი მისცა, ნაპირები აბრეშუმით იყო მოქარგული და ისეთი მოხატულობა ჰქონდა, რომ ქოხში სინათლემ და სითბომ დაისადგურა.

ტანიუშა ხარბად დააცქერდა, ქალი კი იცინოდა.

-შვილიკო, ხედავ ჩემს ხელსაქმეს? გინდა გასწავლო?

-მინდა.

-არც იფიქრო! მარილი რით ვიყიდოთ, არ ვიცით, შენ კი აბრეშუმით ქარგვა მოინდომე! მასალა გული ღირს! - მაშინვე გაბრაზდა ნასტასია.

-დიასახლისო, ამაზე არ შეწუხდე. გოგოს თუ ნიჭი აღოაჩნდება-მასალაც ექნება. შენი საზრდოს მაგივრად დავუტოვებ-დიდხანს ეყოფა. მომავალში თვითონ ნახავს. ჩვენს ხელსაქმეში ფულს იხდიან. უფასოდ კი არ ვმუშაობთ. ჩვენი საზრდო გვაქვს-მიუგო მოხეტიალემ.

-თუ მასალას მისცემ, როგორ არ ისწავლის. დაე, ისწავლოს. გონიერება ეყოფა. მადლიერი ვიქმები-დაუთმო ნასტიამ.

და აი, ამ ქალმა ტანიუშას ხელსაქმე ასწავლა. ძალიან მალე ყველაფერი აითვისა, თითქოს ადრეც იცოდა. და კიდევ ის, რომ ტანიუშა შინაურებთან და უცხოებთანაც უკარება იყო, ამ ქალთან დამთმობი და ელაქუცებოდა. დედა ჩუმად აკვირდებოდა. „-ნახა ახალი ნათესავი, დედას არ ეკარება, ამ მოხეტიალეს კი მიეტმასნა". ნასტასია კიდეც გაღიზიანდა ტანიუშკას შვილიკოს რომ ეძახდა და მისი ნათლობის სახელი ერთხელაც არ გახსენებია. გოგონა ამჩნევდა დედას რომ სწყინდა, მაგრამ თავს ვერ იკავებდა და ამ ქალს იმდენად მიენდო, რომ ზარდახშის შესახებ უამბო:

-ჩვენ, მამისაგან ძვირფასი სახსოვარი დაგვრჩა, მალაქიტის ზარდახშა ძვირფასი ქვებით.

-შვილიკო, მაჩვენებ? -ჰკითხა ქალმა.

-გაჩვენებ, როცა სახლში არავინ იქნება.

ტანიუშკა ვერც კი მიხვდა, რომ ეს კარგის მომასწავლებელი არ იყო. როცა შესაფერისი დრო დადგა ამ ქალს დაუძახა, სარდაფიდან ზარდახშა ამოეტანა და აჩვენა. ქალმა დახედა და უთხრა:

-გაიკეთე, უფრო კარგად გამოჩნდება.

ტანიუშა უსიტყვოდ დაემორჩილა, ის კი აქებს:

-კარგია შვლიკო! კარგი! საყურე ცოტა გაისწორე.

ახლოს მივიდა და თითი ქვებში ჩაკრა, რომელსაც აიღებდა სხვანაირად ელვარებდა. ამას ტანიუშა ხან ამჩნევდა, ხანარა. მერე ქალმა უთხრა:

-გასწორდი შვილო.

ტანიუშა გასწორდა. ქალმა ნელ-ნელა თმაზე ხელი გადაუსვა, მერე ზურგზე და თან არიგებდა: -„მოტრიალდი და შემომხედე. წინ იყურე და რასაც შეამჩნევ არავის უთხრა. აბა შემოტირალდი!”

ტანიუშა შემოტრიალდა - მის წინ სადგომია, რომელიც სიცოცხლეშ არ ენახა. ეკლესიასაც არ ჰგავდა. ჭერი მალაქიტის სვეტებს ეყრდნობოდა, კედლებიც ადამიანისხელა მალაქიტისაგან იყო აშენებული. ზედა კარნიზზე მალაქიტის ნაყში გასდევდა. ტანიუშას წინ, როგორც სარკეში, მზეთუნახავი იდგა. როგორც ზღაპრებში გვიამბობენ, თმები კუნაპეტი ღამესავით შავი, თვალები კი მწვანე ჰქონდა. მთლიანად ძვირფასი თვლებით იყო მორთული და მწვანე ხავერდის ბზინვარე კაბა ეცვა. ეს კაბა სადედოფლოდ იყო შეკერილი. ჩენს ქალებს ასეთი კაბის ჩაცმა შერცხვებოდათ. ეს მწვანეთვალება კი მშვიდად იდგა. თითქოს ასე უნდა ყოფილიყო. იმ სადგომში ბევრი ხალხი ირეოდა დიდკაცურად ჩაცმულები, ოქროში და ჯილდოებში. ჯილდოები ზოგს წინ ჰქონდა დაკერებული, ზოგს უკან. ჩანდა ყველაზე მაღალი უფროსობაა. თავიანთი დედაკაცებიც აქა ჰყავდათ. ისინი-ხელშიშვლები, მკერდმოშიშვლებულები, ქვებით მორთულნი, მაგრამ მწვანეთვალებას როგორ შეედრებოდნენ. არც ერთი მის ნატერფლად არ ღირდა. მწვანეთვალებას მწკრივში ვიღაც ქერა კაცი იდგა. ელამი, ყურები კურდღელივით ასცქვეტოდა, საშინლად ეცვა, ეტყობა ჯილდოები ეცოტავა და ტანსამელზე ქვები დაიკერა. ჩანდა, რომ ქარხნელი იყო. ეს ყურცქვიტა მწვანეთვალებას ებუტბუტებოდა.

ტანიუშა უყურებს ამ ბატონს და მაშინვე შეამჩნია: - ეს ხომ მამაჩემის ქვებია- აღოხდა ტანიუშას და უცებ ყველაფერი გაქრა. ის ქალი კი იცონოდა:

-არ დააკვირდი? ნუ მოიწყინე, დრო გვიჩვინებს.

ტანიუშამ ჰკითხა, სად იყო ეს სადგომი.

ეს მეფის სასახლეა. ის პალატი აქაური მალაქიტითაა მორთული, შენი გარდაცვლილი მამა მოიპოვებდა. -მიუგო ქალმა.

-მამაჩემის ქვებით მორთული ყურცქვიტა ვინ იყო?

-ამას კი არ გეტყვი. მალე შენ თვითონ გაიგებ.

იმ დღესვე, როცა ნასტასია სახლში დაბრუნდა, ეს ქალი წასასვლელად გაემზადა. დიასახლის თავი მდაბლად დაუკრა, ტანიუშას აბრეშუმის ნაჭრები, ძაფები და ბისერები მისცა. მერე აბგიდან უბრალო შუშის, მაგრამ დაწახნაგებული პაწაწინა ღილი ამოიღო ტანიუშას მისცა და უთხრა:

-შვილიკო, მიიღე ჩემგან სახსოვრად, როცა საქმეში რაღაც დაგავიწყდება ან სიძნელე შეგხვდება, ამ ღილს დახედე და პასუხს აქ მიიღებ, ხსნას აქ იპოვნი.

ეს თქვა თუ არა-წავიდა.

ამ დროიდან ტანიუშა ოსტატი გახდა. როცა წლები მოემატა, ყველას სარძლოდ უნდოდა. ჩვენებურ ბიჭებს ნასტასიას ფანჯრისაკენ თვალები აწყდებოდათ, მაგრამ ტანიუშასთან ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ. ის ხომ უკარება იყო. თანაც ყმას რომელი თავისუფალი გაჰყვებოდა ცოლად?

ტანიუშას ოსტატობის ამბავი ბატონის სახელსაქმო სკოლაშიც შეიქყვეს და იწვევდნენ ხოლმე. ლაქიას ახალგაზრდულად და ბატონივით ჩააცმევდნენ, ძეწკვიან საათს დაკიდებდნენ და ვითომ საქმისათვის თანიუშასთან გააგზავნიდნენ. ფიქრობდნენ, რომ ამ ვაჟკაცზე არ გაბრაზდებოდა და მაშინ მისი დაყოლიება ადვილი იქნებოდა. მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ტანიუშა მხოლოდ საქმეზე ელაპარაკებოდა და მის სხვა საუბარს ყურადღებას არ აქცევდა. მობეზრდა და დასცინოდა კიდეც.

-წადი საყვარელო, ალბათ გელოდებიან. არ გეშინია ოქროს ძეწკვი სპილენძად არ გადაიქცეს და საათი გაგიფუჭდეს?

ამ ლაქიასათვის ან ბატონის სხვა მსახურისათვის ეს სიტყვები ძაღლისთვის მდუღარის გადასხმასავით იყო. დამდუღრულივით მირბოდა და ბუზღუნებდა:

-განა ეს ქალიშვილია? ქვის ქანდაკებაა! მწვანეთვალება! ასეთს ვიპოვნით?

თან ბუზღუნებდა და თან ტანიუშას სილამაზეს ვერ ივიწყებდა. ვისაც აგზავნიდნენ ვერავინ ივიწყებდა ტანიუშას. ეს ადგილი მოჯადოებულივით იზიდავთ- თუნდაც ახლოს გაევლოთ ან ფანჯრიდან გადაეხედათ. დღესასწაულზე თითქმის მთელ დასაქორწინებელ ახალგაზრდობას ამ ქუჩაზე ჰქონდა საქმე. გზა თითქმის ფანჯრამდე გატყეპნეს, ტანიუშას კი სულაც არ გაუხედავს.

მეზობლებმა ნასტასია გაკიცხეს:

-შენი ტატიანა უკადრისი გახდა, მეგობრები არ ჰყავს, ბიჭებს ზედ არ უყურებს, ალბათ უფლისწულს ელოდება ან სამონაზვნედ ემზადება.

ნასტასია ამოიოხრებდა:

-ოხ, ქალებო, მე თვითონ ვერ ვხვდები. ჭკვიანი გოგო მყავდა, მაგრამ მოხეტიალემ ბოლო მოუღო. ლაპარაკს დავიწყებ თუ არა, მაშინვე თავის ჯადოსნურ ღილს მიაშტერდება და გაჩუმდება. ლამის გადავაგდო ის ღილი. საქმეშიც ხელს უშლის. როცა აბრეშუმის ძაფს ააგებს ღილს უყურებს. თქვენ კი მითხარით, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს მე თვალები დამიბრმავდა. ბეჯითია, მისი შრომით ვცხოვრობთ. ვფიქრობ, ვფიქრობ და როცა ავტირდები ხოლმე: -„დედიკო, მე ხომ ვიცი, რომ ბედი არ მაქვს. არავის ვამჩნევ, გასართობად არ დავდივარ, ტყუილად რატომ ვადარდო? ფანჯარასთან რომ ვზივარ, ამას ჩემი საქმე მოითხოვს. ჩემთვის რატომ მოდიხარ?”-აი მისი პასუხი.

ცხოვრება მშვიდად მიდოდა. ტანიუშას ხელსაქმე მოდაში შემოვიდა. მის შესახებ მარტო ჩვენთან კი არა, სხვაგანაც გაიგეს და შეკვეთებს აძლევდნენ და ფულსაც კარგად იხდიდნენ. გასამრჯელოში კარგი მუშაკაციც ვერ შეედრებოდა.

მოულოდნელად უბედურება დაატყდათ. ღამით ხანძარი გაჩნდა და საქონელი: ცხენი, ძროხა, აღჭურვულობა, ხელსაწყო-იარაღები, ყველაფერი დაეწვათ. მხოლოდ ის შერჩათ, რაც ზედ ეცვათ. ნასტასიამ მოასწრო და ზარდახშას ხელი სტაცა. მეორე დღეს შვილებს უთხრა:

-ჩანს, დრო მოვიდა ზარდახშა გავყიდოთ.

-დედა, გაყიდა, ოღონდ იაფად არ გაყიდო. -ერთხმად მიუგეს ბიჭებმა.

ტანიუშამ მალულად ღილისკენ გაიხედა. იქ კი მწვანეთველბა გამოჩნდა და თავს უქნევდა: -„დაე გაყიდონ”. ტანიუშა დადარდიანდა, მაგრამ რა ექნა? სულერთია, მამის სახსოვარი ამ მწვანეთვალებას დარჩება.

-გავყიდოთ.

დამშვიდობებისას არც კი დახედა. ისიც ვთქვათ, რომ მეზობლებმა შეიფარეს. აქ როგორ მოთავსდებოდნენ.

გადაწყვიტეს რომ გაყიდონ. ვაჭრებიც აქვე იყვნენ. ვინ იცის, იქნებ მათ გააჩინეს ხანძარი, რათა ზარდახშა დაესაკუთრებინათ. ბევრს აძლევდნენ- ხუთასი, შვიდასი, ერთი ათასამდე ავიდა. ნასტასიამ ორი ათასი მოითხოვა. მოსალაპარაკებლად მოდიოდნენ, მაგრამ ვერ თანხმდებოდნენ. არცერთი არ თმობდა. სანამ ესენი ასე დადიოდნენ, პოლევოიში ახალი ზედამხედველი მოვიდა.

მაშინ ზედამხედველები ერთ ადგილას დიდხანს მსახურობდნენ, მაგრამ იმ წლებში ცვლილება მოხდა. „წუპაკი ვაცი", რომელიც სტეპანის დროს იყო, ძველმა ბატონმა კრილატოვის საბადოდოან გაანთავისუფლა. მერე „შემწვარი უკანალი" მოვიდა, მუშებმა ის სცემეს, ამის მერე „სევერიან უბოიცა" მსახურობდა. სპილენძის ქალბატონმა ესეც ფუჭ ქანებში გადაისროლა. ამის მერე კი ეს მოვიდა.

ამობობდნენ, რომ უცხო ქვეყნიდან იყო, თითქოს მრავალ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ რუსულად ნაკლებად. სუფთად მხოლოდ ერთ სიტყვას-გაწკეპლეთ! - ამბობდა ხმამაღლა და გაგრძელებით. თუ რაღაც დანაკლისზე იწყებდნენ ლაპარაკს, მხოლოდ ერთს ყვიროდა-გაწკეპლეთ!

ამიტომ „წკეპლა" დაარქვეს.

ამ დროისათვის ბატონი დაბერებული, დაჩაჩანაკებული ფეხზე ძლივს იდგა. მოიფიქრა, რომ თავისი შვილი გრაფინაზე დააქორწინოს, მაგრამ ახალგაზრდა ბატონს საყვარელი ჰყავდა და მისი დიდად ერთგული იყო. საქმე როგორ მოაგვაროს? უხერხულია შუამავლები და მძახლები რას იტყვიან?

და აი, ძველმა ბატონმა მოიფიქრა, რომ თავისი შვილის საყვარელი მუსიკოსზე დანიშნოს. ეს მუსიკოსი ბატონთან მუშაობდა, ბავშვებს მუსიკასა და უცხო ენებს ასწავლიდა.

ბატონმა ქალს ურჩია:

-რად გინდა სახელგატეხილი ცხოვრება? გათხოვდი, მზითევს მოგცემ, შენს ქმარს კი პოლევოიში ზედამხედველად დავნიშნავ. იქ, საქმე მოწესრიგებულია, ხალხს მკაცრად მოექცეს. მერე რა, რომ მუსიკოსია. მასთან კარგად იცხოვრებ. პოლევოიში პირველი კაცი იქნები. ყველასაგან დაფასაბული და პატივნაცემი. ცუდი რითია?

დედაკაცი დამყოლი აღოჩნდა. ახალგაზრდა ბატონთან ან ნაჩხუბარი იყო, ან იეშმაკა.

-დიდი ხანია ამაზე ვოცნებობდი, მაგრამ ვერ ვამბობდი.

მუსიკოსი პირველად, რა თქმა უნდა, გაჯიუტდა.:

-არ მსურს, ძალიან სახელგატეხილია.

მაგრამ მუხუცმა ბატონმა მოახერხა და მუსიკოსი როგორღაც დაიყოლია, ან შეაშინა, ან დაათრო. მალე ქორწილიც გადაიხადეს და პოლევოიში წავიდნენ. აი, ასე გამოჩნდა ჩვენთან „წკეპლა". ცოტა ხანს იცხოვრეს, ტყუილი რომ არ ვთქვათ ბოროტი კაცი არ იყო.

მერე „ერთნახევარმა დრუნჩმა" მისი ადგილი რომ მიიღო, ყველა ჩვენს მაცხოვრებელს „წკეპლაზე" გულიც კი დასწყდათ.

„წკეპლა” თავის ცოლთან ერთად ნასტასიასთან მაშინ მივიდა, როცა ვაჭრები ელაქუცებოდნენ. „წკეპლას” დედაკაცი წარმოსადეგი, თეთრი და ფერუმარილიანი- ერთი სიტყვით, „საყვარელი”. ბატონი ცუდს ხომ არ აირჩევდა?

ამ „წკეპლას” დედაკაცმა გაიგო, რომ ზარდახშას ყიდდნენ და გაიფიქრა: - „მოდი ვნახავ, იქნებ რაიმე ღირებულია”. სწრაფად გაემზადა და ნასტასიასთან მიგრიალდა. მას ცხენები ხომ მუდამ შეკაზმული ჰყავდა.

-საყვარელო, აბა მაჩვენე რა ქვებს ჰყიდი?

ნასტასიამ ზარდახშა აიღო და აჩვენა. „წკეპლას” დედაკაცს თვალები აუჭრელდა. ის სანკტ-პეტერბურგში გაიზარდა, ახალგაზრდა ბატონთან ერთად უცხოეთშიც იყო ნამყოფი, სამკაულებში კარგად ერკვეოდა, მათი ფასი იცოდა. ქალმა გაიფიქრა: „-ეს რა არის? ასეთი სამკაულები თვით დედოფალსაც კი არ აქვს. აქ კი პოლევოიში ვის? ამ დამწვრებს? ოღონდ ვაჭრობა არ ჩამეშალოს.

-რამდენს ითხოვ?-ჰკითხა.

-ორი ათასს ავიღებდი,-მიუგო ნასტასიამ.

-აბა ძვირფასო, გაემზადე, ჩემთან წავიდეთ, ფულს მთლიანად მიიღებ. ნასტასია ამაზე არ დათანხმდა.

-ჩვენთან ასეთი წესი არ გვაქვს, რომ პური მცველს მიჰყვებოდეს. ფული მოიტანე და ზარდახშა შენია.

ქალბატონმა დაინახა, რომ ქალი ფულით უცებ მოიხიბლა და უბრძანა:

-ძვირფასო, ზარდახშა არ გაყიდო!

-იმედი გქონდეთ, ჩემს სიტყვას არ გადავალ, საღამომდე დაგიცდით, მერე კი ჩემი ნებაა.

„წკეპლას” ცოლი წავიდა თუ არა, ვაჭრებმა მაშინვე მოირბინეს. ალბათ ზვერავდნენ.

-როგორაა საქმე?-ჰკითხეს.

-გავყიდე,-მიუგო ნასტასიამ.

რამდენად?

-ორი ათასად, როგორც ვაფასებდი.

-შენ რა, ჭკუა დაკარგე? სხვის ხელში აგდებ და შენიანებს უარს ეუბნები? და დაიწყეს ფასის აწევა.

ნასტასია არ წამოეგო: -სიტყვის გატეხა თქვენთვის ჩვეული საქმეა, მაგრამ მე ამას არ ვიკადრებ! ქალს იმედი მივეცი დამორჩა ლაპარაკი!

„წკეპლას" დედაკაცი ფიცხლად დაბრუნდა. ფული მოიტანა, ხელიდან ხელში გადასცა, ზარდახშას ხელი სტაცა და ჰაიდა, სახლში, მაგრამ ზღურბლზე ტანიუშა დახვდა. ეტყობა ის სხვაგან იყო გაყიდვას ვერ შეესწრო. ვიღაც ქალბატონი ზარდახშით რომ დაინახა, მიაშტერდა. „-ეს ის არაა? მე რომ მაშინ ვნახე?" „წკეპლას" ცოლი კი უფრო მეტად გაანჩხლდა:

-ეს რა მოჩვენებაა? ვისია?

-ხალხი ჩემს ქალიშვილად თვლის. იმ ზარდახშის მემკვიდრეა შენ რომ იყიდე. უკიდურესობამდე რომ არ ვიყო მისული არ გავყიდდი. პატარაობიდანვე უყვარდა ამით თამაში. თამაშობდა და აქებდა, თითქოს მათგან სითბოს გრძნობდა. ამაზე აბა რაღა ვთქვა: „რაც ხელიდან დავარდა-ის დაიკარგა". -მიუგო ნასტიამ.

-ძვირფასო, ასე ტყუილად ფიქრობ, -ეუბნება „წკეპლას" დედაკაცი. -ამ ქვებს ადგილს მივუჩენ. თავისთვის კი გაიფიქრა: „კარგია, ამ მწვანეთვალებამ თავისი ფასი, რომ არ იცის. სანკტ-პეტერბურგშიც რომ ენახათ, თვით მეფეს ჭკუას გადაუტრიალებდა. ჩემმა სულელმა ტურჩანინოვმა არ უნდა ნახოს". ამით დაშორდნენ.

„წკეპლას" ცოლი სახლში რომ დაბრუნდა, დაიტრაბახა:

-ახლა, ძვირფასო მეგობარო, მხოლოდ შენ კი არა, ტურჩანინოვიც კი აღარ მჭირდება. ცოტა კიდევ და ნახვამდის! წავალ თვით სანკტ-პეტერბურგში, უმჯობესია საზღვარგარეთ, ზარდახშას გავყიდი და ისეთ ქმარს, როგორიც შენ ხარ, თუ დამჭირდება ორ დუჟინს[5] ვიყიდი.

დაიკვეხნა და ახალი შენაძენის გაკეთება ისურვა. სარკესთან მიირბინდა და პირველად გვირგვინი მოირგო. -ოი! ოი! ეს რა არის! ატანა არ მაქვს, ტრიალებს და თმებს მწიწკნის. ძლივს მოიძრო. საყურეები დაიკიდა და ლამის ყურის ბიბილოები გაეხა. ბეჭედში თითი გაყო-გაეჭედა, საპნით ძივს გაიძრო. ქმარმა დასცინა: -შენნაირებმა არ უნდა ატარონ. ცოლმა კი გაიფიქრა: „ქალაქში უნდა წავიდე და ხელოსანს ვაჩვენო, იქნებ როგორღაც მომარგოს, ოღონდ ქვები არ შემიცვალოს".

თქვა და შეასრულა. მეორე დღეს დილიდანვე გაემგზავრა. ჩვენებური ტროიკით შორს არ იყო. ყველაზე სანდო ხელოსანთან მივიდა. ის ხნიერი, თავისი საქმის დიდი მცოდნე იყო. ზარდახშა დაათვალიერა და ჰკითხა ვისგან ჰქონდა ნაყიდი. ქალბატონმა რაც იცოდა, ყველაფერი უამბო. ოსტატმა ზარდახშა კიდევ დაათვალიერა, ქვებს არც კი დახედა და უთხრა: -რაც არ უნდა გადამიხადო-ვერ მივიღებ. ეს აქაური ოსტატის ნახელავი არ არის. მისი ხელის ხლება უხერხულია.

[5] დუჟინი - 12 ცალი.

ქალბატონი ვერ მიხვდა, რომ აქ ხრიკი იმალებოდა. ჩაიბუზღუნა და სხვა ოსტატებთან გაიქცა. მაგრამ ყველა შეთანხმებულივით ზარდახშას ათვალიერებდნენ, ქვებს არც უყურებდნენ და შეკვეთაზე უარს ეუბნებოდნენ.

მაშინ ქალბატონმა იეშმაკა და უთხრა, რომ ეს ზარდახშა სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოიტანა. იქ იყო გაკეთებული. ამაზე ოსტატს გაეცინა და უთხრა: -ვიცი რა ადგილას არის გაკეთებული. ოსტატზეც ბევრი გვსმენია. ჩვენ იმას როგორ შევედრებით. ის რომ ხელს მოჰკიდებს, მის მერე ხელს ვერავინ ახლებს, რაც გინდა გააკეთე.

ქალბატონი ვერ მიხვდა რაში იყო საქმე. მხოლოდ ის გაიაზრა, რომ ოსტატებს ვიღაცის ერიდებათ. ძველი პატრონის ნათქვამი გაახსენდა, რომ მის გოგოს ამ სამკაულების გაკეთება უყვარდა. იქნებ მხოლოდ ამ მწვანეთველებას ეკუთვნის? აი უბედურება.

მერე თავში გაუელვა: „-მე რა მაკლდება! ვინმე მდიდარ სულელს მივყიდი, დაე გაწვალდეს. მე კი ფულები შემრჩება". ასე დაბრუნდა პოლევოიში.

დაბრუნდა და ახალი ამბავი დახვდა.

მოხუცმა ბატონმა სიკვდილი „გადაიფიქრა" და „წკეპლას" ხრიკი მოუწყო, მაგრამ სიკვდილმა მაინც აჯობა. შვილის დაქორწინება ვერ მოასწრო და ახალგაზრდა ბატონი სრული მემკვიდრე გახდა. ცოტა ხნის მერე „წკეპლას" ცოლმა ახალგაზრდა ბატონისგან წერილი მიიღო: -„ჩემო სიყვარულო, გაზაფხულზე ჩამოვალ და წაგიყვან, შენს მუსიკოსს კი სადღაც ჩავჩურთავ". „წკეპლამ" ეს როგორღაც გაიგო. ხმაური ატეხა. ხალხის შერცხვა, რაც არ უნდა იყოს, ზედამხედველია და ცოლს ართმევენ. მსახურებთან ერთად სმა დაიწყო. მათაც მუქთი უხაროდათ და აი ერთხელ ნადიმობისას, ერთმა თანამეინახემ დაიტრაბახა: -ჩვენთან ერთი მზეთუნახავი გაიზარდა. კაი ხანს ასეთს ვერ იპოვით.

-ვისია? სად ცხოვრობს? -იკითხა „წკეპლამ".

უამბეს და გაიხსენეს, რომ ზარდახშა მისმა ცოლმა და ოჯახში იყიდა.

-ხომ არ გვენახა?

მთვრალებს საქმე გამოუჩნდათ. -თუნდაც ახლა წავიდეთ, დავათვალიეროთ, ახალი ქოხი აიშენეს, თავისუფალი ოჯახია, მაგრამ საბადოს მიწაზე ცხოვრობენ. ყუველი შემთხევევისათვის შეიძლება შევავიწროვოთ კიდეც. „წკეპლამ" ერთად ორნი თუ სამნი წავიდნენ. თან ჯაჭვი წაიღეს მიწის ასაზომად. ნასტასიამ სხვისი ხომ არ მიითვისა? შარის მოდება უნდოდათ.

შევარდნენ ქოხში. ტანიუშა მარტო იყო. „წკეპლამ” შეხედა თუ არა სიტყვა გაუწყდა. ასეთი სილამაზე არსად ენახა. გაშტერდა. ის კი ზის და აინუნშიც არ მოსდის. თითქოს მას არ ეხება. „წკეპლა” ცოტა განზე გადგა და ჰკითხა:

-რას საქმიანობთ?

-შეკვეთით ვქარგავ, მიუგო ტანიუშამ და თავისი ნახელავი აჩვენა.

-ჩემს შეკვეთასაც შეასრულებ?

-რატომაც არა, თუ ფასზე მოვრიგდები.

-შეგიძლიათ აბრეშუმით სურათი მოქარგო?

ტანიუშამ ჩუმად ღილს დახედა. იქიდან კი მწვანეთვალებამ ანიშნა:

-აიღე შეკვეთა! და თავისთავზე მიუთითა.

-ერთი ქალის სურათს მოვქარგავ, ძვირფასი ქვებითა და სადედოფლო კაბით, მაგრამ ძვირი ეღირება.

-ეჭვი არ შეგეპაროთ, თუნდაც ასს, თუნდაც ორასს გადავიხდი თუ თქვენ გემსგავსებათ.

-სახეზე მემსგავსება, ტასაცმელზე კი-არა. -მიუგო ტანიუშამ.

შეთანხმდნენ ას მანეთზე. ვადაც დათქვეს. ერთი თვე. მაგრამ „წკეპლა” აკითხებდა ხოლმე, თითქოს და შეკვეთაზე რამე უნდა გაეგო. ისიც მოიხიბლა, ტანიუშა კი სულ ვერ ამჩნევდა. ერთ-ორ სიტყვას მიუგდებდა და სულ ეს იყო. „წკეპლას” ამფსონები დასცინოდნენ: - ტყუილია, არაფერი გამოგივა, ჩემებს ტყუილად ცვეთავ.

დაააი, ტანიუშამ მოქარგა ის სურათი. „წკეპლამ” შეხედა სურათს და -ღმერთო ჩემო, ეს ხომ თვითონაა, ტანსაცმელი ქვებითაა მორთული. სამი ასმანეთიანი მისცა, მაგრამ ტანიუშამ ორი არ აიღო: -საჩუქრების მიღებას არ ვარ ჩვეული. თავს შრომით ვირჩენთ.

„წკეპლა” სახლში დაბრუნდა, სურათს შესცინებდა და ცოლისგან მალულად ინახავდა. სმას მოუკლო და სამთო საქმეს ცოტა ჩაუკვირდა.

გაზაფხულზე ახალგაზრდა ბატონი ჩამოვიდა. პალევოიშიც მოგრიალდა. ხალხი შეჰყარეს, პარაკლისი გადაიხადეს და ბატონის სახლში ცეკვებიც გამართეს. ხალხს ორი კასრი ღვინო დაურიგეს. ძველი ბატონი გაიხსენეს, ახალი დალოცეს. ძაღლებით ნადირობა მოაწყვეს, ამაში ტურჩანინოვის ოსტატებიც მონაწილეობდნენ.

მეორე დღეს ხალხი სამუშაოზე გავიდა, ბატონი სახლში კი ისევ ქეიფობდნენ. ასეც გაგრძელდა. დაიძინებდნენ და მეორე დღეს ისევ სასეირნოდ მიდიოდნენ. მდინარეზე ნავებით და ტყეში ცხენებით სეირნობდნენ. ამ დროს „წკეპლა" სულ მთვარალი იყო. ყველაზე დიდ სასმისს უვსებდნენ, ცდილობდნენ ახალი ბატონისათვის სამსახური გაეწიათ.

მიუხედავათ სიმთვრალისა, „წკეპლა" ხვდებოდა საქმე რაშიც იყო. სტუმრების თვალწინ თავს უხერხულად გრძნობდა. და აი, ერთხელ ყველას გასაგონად თქვა: - ბატონ ტურჩანინოვს უნდა, რომ ცოლი წამართვას. დაე, წაიყვანოს. ასეთი არ მჭირდება. აი, მე ვინ მყავს! - და ჯიბიდან აბრეშუმის სურათი ამოიღო.

ყველას გაოცებისაგან აღმოხდათ. „წკეპლას" დედაკაცი კი ენას არ აჩერებდა. ბატონი ცნობისმოყვარეობისაგან გაფაციცებული იყურებოდა.

-ვინ არის? - იკითხა.

-მთელი მაგიდა ოქოთი რომ გამივსოთ-მაინც არ გეტყვით-გადაიხარხარა „წკეპლამ".

მაგრამ როგორ არ იტყოდა, როცა ტანიუშა ამოიცნეს. ერთი მეორეს არ აცდიდა ბატონისათვის აეხსნა. „წკეპლას" დედაკაცი კი:

-თქვენ რა! თქვენ რა! რას ჩმახავთ! აქაურ გოგოს ასეთი კაბა საიდან ექნება? თანაც ძვირფასი ქვები? ეს სურათი ქმარმა საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა და ქორწინებამდე მაჩვენა. მთვრალი რას არ შეთხზავს. მალე აღარც ემახსოვრება.

„წკეპლა" მიხვდა, რომ ცოლს არ სიამოვნებდა და ჩხუბი დაუწყო: -შე უსირცხვილო, რა ჭორებს თხზავ! ბატონს თვალში ნაცარს აყრი! რა სურათი გაჩვენე! აქ მომიქარგეს. სწორედ იმ გოგომ, ვისზეც ახლა ლაპარაკობენ. კაბის შესახებ არაფერი ვიცი. ტყუილს ვერ ვიტყვი, ქვები თვითონ ჰქონდათ. ამჟამად შენს კარადაშია ჩაკეტილი. თვითონ შენ არ იყიდე ორი ათასად? ვერ ჩაიცვი, არ გიხდება. „ძროხას-ჩერქეზის უნაგირი?" ყველამ იცის ამის შესახებ.

ბატონმა როგორც კი ეს გაიგო, მაშინვე: -აბა მაჩვენე!

ჭკუამოკლე და მფლანგველი ბატონი ქვებით იყო გატაცებული. თავს ვერაფრით მოიწონებდა, ვერც ტანით ვერც ხმით, -მხოლოდ ქვებით. კარგი ქვის შესახებ რომ გაიგებდა, მაშინვე ყიდვას გადაწყვეტდა, ქვებიც მცოდნე და ტრფიალი, მაგრამ მოუფიქრებელი იყო.

„წკეპლას" დედაკაცი მიხვდა, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდა და ზარდახშა მოიტანა. ბატონმა დახედა თუ არა, მაშინვე: -რამდენი?

მან გაუგონარი წამოროშა. ბატონი შეევაჭრა, ნახევარზე შეთანხმდნენ. ბატონს ფული ხელზე არ ჰქონდა და ამიტომ თამასუქი მისცა. ზარდახშა თავის წინ მაგიდაზე დადგა და ბრძანა: -იმ გოგოს დაუძახეთ, ვისზეც ლაპარაკობთ.

გაიქცნენ ტანიუშასთან. ისიც მაშინვე მივიდა. ფიქრობდა, რომ დიდ შეკვეთას მისცემდნენ. შევიდა ხალხით სავსე ოთახში. შუაში სწორედ ის ყურცქვიტა დაინახა, მაშინ რომ ნახა. მის წინ კი მამის სახსოვარი ზარდახშა იდგა. ტანიუშამ ბატონი იცნო და იკითხა:

-რისთვის დამიძახეთ?

ბატონმა სიტყვის წარმოთქვა ვერ შეძლო, მხოლოდ მიაშტერდა და მეტი არაფერი. მერე თითქოსდა საუბარი ააწყო:

-თქვენი ქვებია?

-ჩვენი იყო, ახლა მათია და „წკეპლას" ცოლზე მიუთითა.

-ახლა ჩემია, -დაიკვეხნა ბატონმა.

-გინდა გაჩუქო?

-მაგიერი რით გადაგიხადოთ?

-სამკაულების გაკეთება შეგიძლია? მაინტერესებს ეს ქვები ადამიანს როგორ მოუხდება.

-ეს შეიძლება, -მიუგო ტანიუშამ.

ზარდახშა აიღო, სამკაულები ამოალაგა და ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. ბატონი უყურებს და -ახ! ახ! ახ! ენა დაება. ტანიუშა კი მორთული იდგა და ჰკითხა:

-ხომ ნახეთ? დროის უქმად დაკარგვა არ შემიძლია, სამუშაო მაქვს.

-ცოლად გამომყევი, თანახმა ხარ? -ყველას თანდასწრებით უთხრა ბატონმა.

ტანიუშას გაეცინა. -ბატონს ამის თქმა არ ეკადრება. სამკაულები მოიხსნა და წავიდა.

ბატონმა უკან არ დაიხია და ნასტასიას სთხოვა:

-შენი ქალიშვილი მომათხოვე.

-მის ნებას ვერ გადავალ. როგორც მას უნდა. ჩემი აზრით კი, არ შეგეფერება.

ეს ყველაფერი ტანიუშას ესმოდა და ბატონს სთხოვა:

-აი რა, მსმენია, რომ მეფის სასახლეში არის პალატი, რომელიც მამაჩემის მოპოვებული მალაქიტითაა მორთული. თუ შენ ამ პალატაში დედოფალს მაჩვენებ-ცოლად გამოგყვები.

ბატონი, რა თქმა უნდა, ყველაფერზე თანახმა იყო. მაშინვე სანკტ-პეტერბურგში წასასვლელად გაემზადა და ტანიუშაც მიიწვია. ცხენებიც შესთავაზე, რაზაც ტანიუშამ უარი უთხრა:

-ჩვენი ადათით საცოლე ჯვრისწერის დროსაც კი არ ჯდება საქმროს ცხენზე. ჩვენ კი ერთმანეთისთვის ვინ ვართ? დაპირებას როგორ შეასრულებ -მერე ვილაპარაკოთ.

-როდის ჩამოხვალ სანკტ-პეტერბურგში? -ჰკითხა ბატონმა.

- ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულზე[6] აუცილებლად ვიქნები.ეჭვი არ შეგეპაროს. ახლა კი აქედან გაემგზავრე.

ბატონი წავიდა. „წკეპლას" ცოლი, რა თქმა უნდა, არ წაიყვანა. ზედაც არ უყურებდა. როცა სანკტ-პეტერბურგში, თავის სახლში დაბრუნდა, ქვებსა და თავის საცოლეს მთელს ქალაქში აქებდა. ზოგს ზარდახშასაც აჩვენებდა. საცოლის ნახვით დაინტერესდნენ. შემოდგომაზე ბატონმა ტანიუშასთვის ოთახი მოაწყო, ნაირ-ნაირი კაბებითა და ფეხსაცმელებით გაავსო. მან კი შეატყობინა, რომ გარეუბანში, ვიღაც ქვრივთან ცხოვრობდა.

ბატონი მაშინვე იქით გაეშურა.

-აქ ცხოვრება დასაშვებია? საუკეთესო ოთახი გამზადებულია.

-აქაც კარგად ვარ. -მიუგო ტანიუშამ.

ტურჩანინოვის საცოლისა და ქვების შესახებ დედოფალმაც გაიგო და ბრძანა:

-ტურჩანინოვმა თავისი საცოლე მაჩვენოს! მის შესახებ ბევრს იტყუებიან.

ბატონმა ტანიუშას უთხრა: -უნდა გაემზადოთ. სასახლის შესაფერისი მორთულ-მოკაზმული კაბა შეიკერე და მალაქიტის ზარდახშიდან სამკაულები გაიკეთე.

-კაბაზე არ იდარდო, ქვებს კი დროებით ავირებ. ცხენების გამოგზავნა არც იფიქრო, ჩემით წამოვალ. შენ მხოლოდ სასახლის კარებთან დამელოდე-მიუგო ტანიუშამ.

-ცხენები საიდან ჰყავს? საიდან სასახლის შესაფერისი კაბა? -გაიფიქრა ბატონმა, მაგრამ კითხვა ვერ გაბედა.

---

[6] ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულზე - 14 ოქტომბერი.

და აი სასახლეში წასასვლელად გაემზადნენ. ყველანი ცხენებით მიდიოდნენ აბრეშუმებში და ხავერდებში გამოწყობილები. ბატონი ტურჩანინოვი თავის საცოლეს სასახლის შესასვლელთან ელოდა. სხვებიც შეყოვდნენ, მისი საცოლის ნახვა უნდოდათ. ტანიუშამ თავზე მოიხვია, თავშალი მოიხურა, თავისი ქურქი მოიცვა და ფეხით მივიდა. ხალხი მიაწყდა: -ასეთი საიდან?

ტანიუშა სასახლეს მიუახლოვდა. მეფის კარისკაცებმა არ შეუშვეს. ბატონმა ტურჩანინოვმა შორიდანვე დაინახა და თავისიანებთან შერცხვა, რომ ტანიუშა ფეხით და თანაც ასეთი ქურქით მივიდა და დაიმალა.

ტანიუშამ ქურქი გაიხსნა და კარისკაცებმა ისეთი კაბა იხილეს, დედოფალსაც რომ არ ჰქონდა. როცა ტანიუშამ ქურქი და თავშალი მოიხსნა, ირგვლივ ყველას აღმოხდა:

-ვისია? რომელი მხრის დედოფალია?

ბატონმა ტურჩანინოვმა კი მაშინვე: -ჩემი საცოლეა.

ტანიუშამ მკაცრად გადაიხედა: -ეს ჯერ ვნახოთ! მომატყუე, შესასვლელთან რატომ არ დამელოდე?

ბატონი თავს იმართლებდა.

წავიდნენ მეფის სასახლეში. ტანიუშა მიხვდა, რომ ეს, ის პალატი არ იყო და უფრო მკაცრად ჰკითხა:

-ეს კიდევ რა სიცრუეა! მე გითხარი, რომ იმ პალატაში მიგეყვანე, რომელიც მამაჩემის მოპოვებული მალაქიტათაა გაკეთებული!

ტანიუშა სასახლეში ისე შევიდა როგორც თავის სახლში. სენატორები, გენერალები და სხვები უკან მისდევდნენ. ბევრი ხალხი შეიყარა. ტანიუშას თვალს ვერ აცილებდნენ, ის კი მალაქიტის კედელთან დადგა და იცდიდა. იქვე ტურჩანინოვი ებუტბუტებოდა: -უხერხულია, ამ პალატაში დედოფალი არ გვაცდევინებს. ტანიუშა კი წყნარად იდგა და წარბსაც არ იხრიდა, თითქოს იქ ბატონი არ ყოფილიყო.

დედოფალი დათქმულ პალატაში გამობრძანა და დაინახა, რომ პალატი ცარიელია. დედოფალს მსახურებმა აცნობეს, რომ ტურჩანინოვის საცოლემ ყველა მალაქიტის პალატაში წაიყვანა. დედოფალი რა თქმა უნდა, განრისხდა: -ეს რა თავნებობაა! და ფეხები დააბაკუნა. მალაქიტის პალატაში შებრძანდა და ყველამ თაყვანი სცა, ტანიუშა კი გაუნძრევლად იდგა. დედოფალმა დაიყვირა: -მაჩვენეთ ეს თავნება! ტურჩანინოვის საცოლე!

ტანიუშამ ეს გაიგონა და ბატონს უთხრა: -ეს კიდევ რა მოიფიქრე! მე გთხოვე, რომ დედოფალი გეჩვენებინა, შენ კი ისე მოაწყვე, რომ მას ჩემი თავი აჩვენე. ისევ ტყული! შენი დანახვა არ მინდა! შენი ქვები დაიბრუნე! მალაქიტის კედელს მიეყრდნო და დადნა. კედელზე მხოლოდ ბრწინვალე ქვები დარჩა, იმ ადგილებს მიეწება სადაც ტავი, კისერი და ხელები ეხებოდა.

ყველას შეეშინდა. დედოფალი იატაკზე უგრძნობელად დაენარცხა. ატყდა ფაციფუცი. დედოფალი ააყენეს. როცა აურზაური მიწყნარდა, მეგობრებმა ტურჩანინოვს ურჩიეს: -ქვები მაინც მოაგროვე, სანამ მოიპარავენ. სასახლეში მათი ფასი იციან.

ტურჩანინოვმა ქვების აკრეფა დაიწყო. რომელსაც ხელი სტაცა-წვეთად გადაიქცა, ზოგი ცრემლივით სუფთა იყო, ზოგი-ყვითელი, ზოგი-სისხლივით მღვრიე. ვერაფერი მოაგროვა. იატაკზე დიდი ღილი შეამჩნია. უბრალო, ბოთლის შუშისა, უბრალოდ დაწახნაგებული. ხელში აიღო თუ არა, ღილში, როგორც დიდ სარკეში მწვანეთვალება მზეთუნახავი გამოჩნდა, მალაქიტის კაბა ეცვა და ძვირფასი სამკაულები ეკეთა. იცინოდა და კისკისებდა:

-ოხ, შე ცალტვინა ყურცქვიტა! შენ უნდა შემირთო? ჩემი შესაფერისი არ ხარ!

ამის მერე ბატონმა ჭკუა სულ დაკარგა. ღილი არ გადააგდო, მასში ჩაიხედავდა და ისევ ერთი და იგივე: მწვანეთვალება კისკისებდა და საწყენ სიტყვებს ეუბნებოდა. ბატონმა დარდისაგან სმა დაიწყო, ვალები აიღო, კინაღამ ჩვენი ქარხანა აუქციონზე გაყიდა. როცა „წკეპლა" საქმეს ჩამოაშორეს, სამიკიტნოებში სიარული დაიწყო, გალოთდა, ჩამოიძონძა, მაგრამ აბრეშუმის იმ სურათს უფრთხილდებოდა და ინახავდა. ეს სურათი ვის დარჩა-არავინ იცის.

„წკეპლას" ცოლმა ვერ გაიხარა, ვალი აიღო, თითქმის მთელი სპილენძი და რკინა იყო დაგირავებული.

ამ დროიდან ტანიუშაზე არაფერი ისმოდა. თითქოს არც ყოფილა.

ნასტასია ძალიან დარდობდა, ძალაც აღარ მოსდევდა. ტანიუშა ხომ ოჯახზე მზრუნველი და მოამაგე იყო.

კიდევ ის ვთქვათ, რომ ნასტასიას ბიჭები გაიზარდნენ. ორივე დაქორწინდა. შვილები ეყოლათ. ოჯახი გამრავლდა. ქოხში ვეღარ ეტეოდნენ.

უცოლოებს ტანიუშა დიდხანს არ დაავიწყდათ. ყველა ნასტასიას ფანჯარასთან ტკეპნიდა, ელოდნენ ტანიუშა ფანჯარასთან როდის გამოჩნდებოდა. ამაოდ ელოდნენ.

მერე დაქორწინდნენ, მაგრამ ყოველთვის იხსენებდნენ:

-აი, ჩვენთან რა გოგო გვყავდა! სიცოცხლეში ასეთს ვეღარ ნახავთ.

ამ შემთხვევის მერე ამბობდნენ, რომ სპილენძის ქვის ქალბატონს თითქოს ორეული გაუჩნდა. ხალხი ერთდროულად მალაქიტის კიბესთან ორ ქალიშვილს ხედავდა.

ქვის ყვავილი

ქვის დამუშავების საქმეში მარტო მარმარილოს დამამუშავებლებს არ ჰქონდა სახელი მოხვეჭილი. ამბობდნენ, რომ ეს ხელობა ჩვენს ქარხნებშიც იცოდნენ. განსხვავება ოს იყო, რომ ჩვენები უფრო მალაქიტს ამუშავებდნენ, რადგან საკმარისი და ხარისხიანი იყო. სწორედ ამ მალაქიტისგან არჩევდნენ შესაფერის ქვებს, რომლებიც განცვიფრებას იწვევდა.

იმ დროს იყო ერთი ოსტატი-პროკოპიჩი. ამ ხელობაში მასზე უკეთესი არავინ იყო და უკვე ასაკშიც იყო შესული.

ბატონმა პროკოპიჩთან ზედამხედველი გააგზავნა, რათა მას ერთი ბიჭი შეგირდად დაეყენებინა და ყველაფერი დაწვრილებით ესწავლებინა.

პროკოპიჩს თავის ხელობასთან განშორება ან ენანებოდა ან სხვა რაღაცაში იყო საქმე და ხელობას ცუდად ასწავლიდა. შეგირდს სულ ეჩხუბებეოდა და თავზე კოპებს ასვამდა, ყურებს თითქმის აახევდა და ზედამხედველებს ეტყოდა: -უვარგისია, უუნარო და ხელიც არ მოსდევს, აზრი ვერ გამოაქვს.

ეტყობა, ზედამხედველს დავალებული ჰქონდა პროკოპიჩს დათანხმებოდა: -უვარგისია, უვარგისი, სხვას მოგიყვანთ და ახალ შეგირდს გაამწესებდნენ.

ყმაწვილებს ეს ხელობა აინტერესებდათ, მაგრამ თავიდანვე ბღაოდნენ ოღონდ პროკოპმჩთან არ მოხვედრილიყვნენ. მშობლებს თავიაანთი შვილები ფუჭი ტანჯვისთვის არ ემეტებოდათ და როგორც შეეძლოთ ცდილობდნენ დაეხსნათ, რადგან ეს ხელობა ჯანმრთელობისთვის საზიანოა, სუფთა საწამლავია და ამიტომ ხალხი ფრთხილობდა.

ზედამხედველს ახსოვდა ბატონის ბრძანება, რომ პროკოპიჩისათვის შეგირდი დაეყენებინა, ის კი ყმაწვილს თავისებურად ტანჯავდა და უკან აბრუნებდა: -უვარგისია.

-სადამდე უნდა გაგრძელდეს? უვარგისია, უვარგისი, ვარგისი როდის იქნება? ეს გაითვალისწინე-აღშფოთდა ზედამხედველი.

-მე რა, თუნდაც ათ წელს ვასწავლი, მაგრამ ამ ყმაწვილს უნარი არ აქვს - არ თმობდა თავისას პროკოპიჩი.

-კიდევ როგორი გინდა?

-თუნდაც ნურავის დამიყენებთ,-ამაზე არ მოვიწყენ.

აი, ასე, ზედამხედველმა პროკოპიჩს ბევრი ყმაწვილი აარჩევინა. შედეგი: თავზე-კოპები, თავში-როგორმე გაიქცეს. განგებ აფუჭებდნენ, რათა პროკოპჩს გამოეგდო.

აი, ასე, დანილკო უჭმელის რიგიც დადგა. ეს ბიჭი უდედმამო იყო, თორმეტამდე წლის, გრძელფეხა, მაღალი, გამხდარი, სული ძლივს ედგა, სუფთა სახის, ხუჭუჭთმიანი ცისფერი თვალებით. პირველად ბატონის სახლში ლაქიაა აიყვანეს: სათუთუნე, ცხვირსახოცი უნდა მიეწოდებინა, სადმე გაეგზავნათ და სხვა. მაგრამ ამ ობოლს ამის ნიჭი არ აღმოაჩნდა. სხვა ლაქიები ასეთ მსახურობისას ელაქუცებოდნენ. ეს დანილკო კი სადღაც კუთხეში განმარტოვდებოდა და რომელიმე სურათს ან სამკაულს მიაშტერდებოდა, ასე იდგა. უყვიროდნენ, ის კი ყურს არ იბერტყავდა. პირველად სცემდნენ, მერე ხელი ჩაიქნიეს: -ზანტია, ამისგან კარგი მსახური არ გამოვაო.

მთაზე სამუშაოდ არ გაუშვეს-ძლიერ ნესტიანი ადგილი იყო. ერთ კვირასაც ვერ გაძლებდა. ზედამხედველმა მწყემსად დააყენა, მაგრამ ამ საქმისთვისაც ვერ ივარგა. მუყაითი ყმაწვილი იყო, მაგრამ წინდაუხედავად იქცეოდა. თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრდებოდა, ბალახს მიაშტერდებოდა, ძროხები კი უკვე შორს იყვნენ. მოხუცი მწყემსი გულისხმიერი აღმოჩნდა, ობოლი ეცოდებოდა, მაგრამ ხანდახან უწყრებოდა.

-დანილკო შენგენ რა გამოვა? თავს დაიღუპავ და მეც დამღუპავ, ეს რას გარგებს? რაზე ფიქრობ?

-პაპა, მე თვითონ არ ვიცი... ისე, არაფერზე. ცოტა ყურადღება გამეფანტა. ბუჭყა ფოთოლზე მიცოცავდა, თვითონ ნაცრისფერია, ფრთების ქვეშ კი ყვითლად გამოიყურება. ფოთოლი ფართეა, ნაპირები კი დაკბილული და აპრეხილია, მუქად ჩანს, შუაში კი მომწვანოა, თითქოს ახლახან შეღებეს, ბუჭყა კი მიცოცავს...

-დანილკო, შე რა სულელი ხარ? რა შენი საქმეა ბუჭყების გარჩევა? მიცოცავს და იცოცოს, შენი საქმე ძროხებისთვის თვალყურის დევნაა, მე მიყურე, სისულელეები თავიდან ამოიღე, თორემ ზედამხედველს ვეტყვი.

დანილკო დაემორჩილა. ბუკის დაკვრა ისწავლა. საღამოს ძროხებს რომ მორეკავდნენ გოგოები და დედაკაცები სთხოვდნენ: -დანილკო დაუკარი.

ისიც დაკვრას იწყებდა. სულ უცხო სიმღერებს უკრავდა: თითქოს ტყე შრიალებდა, ნაკადული რაკრაკებდა, ჩიტები მრავალხმიანად ჭიკჭიკებდნენ და ეს კარგად გამოსდიოდა. დანილკოს სიმღერები ქალებს ძალიან მოსწონდათ და ცდილობდნენ რითიმე პატივი ეცათ: ზოგი ტანსაცმელს დაუკემსავდა, ზოგი-ფეხზე შემოსახვევ ტილოს მოუჭრიდა, ზოგი-ახალ პერანგს შეუკერავდა, ნაჭერზე არც კი ლაპარაკობდნენ. დანილკოს სიმღერები მოხუც მწყემსსაც მოსწონდა, მის სულსაც ეამებოდა, მაგრამ ერთზე ვერ თანხმდებოდნენ. როცა დანილკო დაკვრას იწყებდა, ყველაფერი ავიწყდებოდა, თითქოს ძროხები არც არსებობდა. ერთხელ უბედურება დაატყდათ.

დანილკომ დაკვრა დაიწყო და მოხუცს ჩასთვლიმა. როცა მოგროვება დაიწყეს, შეამჩნიეს რომ ძროხები აკლდათ. ეძებეს, ეძებეს, მაგრამ სად არის? მხოლოდ ერთი დეკეული იპოვეს. ნაძვნართან ახლოს აძოვებდნენ, სამგლე, ყრუ ადგილას. ნახირი სასახლეში მოაბრუნეს, საძებნელად საბადოდანაც გაიქცნენ, მაგრამ ვერ იპოვეს...

სასჯელი, მაშინ იცით, როგორიც იყო. ყველანაირ დანაშაულზე ზურგს უჭრელებდნენ. ცოდვას ისიც ამძიმებდა, რომ ერთი ძროხა ზედამხედველის ოჯახისა იყო. არ დაგითმობდნენ. პირველად მოხუცი გაჭიმეს გასაროზგად, მერე დანილკოს რიგიც დადგა. ის გამხდარი და წვრილი. ბატონის ჯალათმა აღნიშნა კიდეც: -ეს ერთ ჯერზე დასახიჩრდება, მეორეჯერზე კი სული გასძვრება.

დაუნდობლად დაარტყა, მაგრამ დანილკო ხმარ არ იღებდა, სიმწრისაგან ტუჩებს იკვნეტდა. მეორეჯერ დაარტყა-ისევ ჩუმადაა, მესამეჯერ-ისევ ჩუმადაა. ჯალათი განრისხდა და აყვირდა: -მე შენ დაგამუნჯებ! ხმას ამოიღებ თუ არა!

დანილკო კანკალებდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. გამაგრდა, ზედამხედველიც აქ იყო. ძალიან გაუკვირდა: -ეს რა მომთმენი ყოფილა! ახლა ვიცი სად გავამწესო, თუ ცოცხალი გადარჩა.

დანილკო ცოტა ხანს ლოგინში იწვა. ვიხორიხა ბებიამ ფეხზე დააყენა. იყო ასეთი მოხუცი ქალი. ჩვენთან მკურნალის მაგივრობას ეწეოდა და დიდი სახელით სარგებლობდა. სამკურნალო ბალახებს იცნობდა: ზოგი კბილისათვის, ზოგი სახსრების ტკივილისათვის. ბალახებს თვითონ, გარკვეულ დროს კრეფდა, როცა მას სრული ძალა ჰქონდათ. ბალახებიდან და ფესვებიდან ნაყენებს ამზადებდა და მალამოებს ურევდა.

დანილკომ ვიხორიხა ბებიასთან სული მოითქვა. ალერსიანი ენაწყლიანი მოხუცი იყო. ქოხში ყველანაირი გამხმარი ბალახი, ფესვი და ყვავილი ჰქონდა ჩამოკიდებული. დანილკო ბალახებით დაინტერესდა:-ამას რა ჰქვია? სად იზრდება? როგორი ყვავილი აქვს? მოხუცი უყვებოდა. ერთხელ დანილკომ ჰკითხა:

-ბებია, ჩვენი მხარის ყველა ბალახს იცნობ?

-ვერ დავიკვეხნი, მაგრამ თითქმის ყველას ვიცნობ, რაც ცნობილია.

-განა უცნობიც არსებობს?

-კი, ასეთებიც არის. გვიმრა გაგიგია? ის თითქოს ივანეს[7] დღეს ყვავის. ეს ყვავილი ჯადოქრებს საგანძურს უხსნის. ადამიანისთვის მავნებელია. უკადრისას ყვავილი ნაპერწკალივითაა. თუ მას დაიჭერ - ყველა ცხრაკლიტური გაიხსნება. ეს ყვავილი ქურდებისაა. კიდევ ქვის ყვავილიც არსებობს. თითქოს მალაქიტის მთაზე იზრდება. გველის[8] დღესასწაულზე სრული ძალა აქვს. უბედური იქნება, ვინც ქვის ყვავილს ნახავს.

-ბებია, რატომ იქნება უბედური?

-შვილო, ეს კი არ ვიცი. ასე მეუბნებოდნენ.

დანილკო ვოხორიხა ბებიასთან უფრო დიდხანს იცხოვრებდა, მაგრამ ზედამხედველის შიკრიკებმა შეამჩნიეს, რომ ცოტ-ცოტა სიარული დაიწყო და, მაშინვე აცნობეს. ზედამხედველმა დაიბარა და უთხრა: -პროკოპიჩთან წადი, მალაქიტის დამუშავება ისწავლე, საშენო საქმეა.

რა ექნა დანილკოს? წავიდა, ჯერ ისევ ბანცალებდა.

პროკოპიჩმა შეხედა და თქვა:

-ესღა მაკლდა. ჯანმრთელი ყმაწვილები ვერ სწავლობენ და ამ საქმეს ვერ აუდიან და ეს როგორ შეძლებს, სული ძლივს უდგას და ფეხსაც ძლივს ათრევს.

პროკოპიჩი ზედამხედველთან წავიდა:

-ასეთი არ მინდა. უნებლიედ მოკვდება, პასუხის გება მომიწევს.

-დაგავალეს-ასწავლე! ძლიერი ყმაწვილია. -არც კი მოუსმინა ზედამხედველმა.

-თქვენი საქმეა. რადგან მითხარით-ვასწავლი. ოღონდ პასუხი არ მომთხოვონ.

-არავინ მოგთხოვს. უთვისტომოა. რაც გინდა ის უყავი,-მიუგო ზედამხედველმა.

პროკოპიჩი დაბრუნდა და დაინახა, რომ დანილკო ჩარხთან იდგა და მალაქიტის ნაჭერს ათვალიერებდა, რომელსაც ნაწიბური მომტვრეული ჰქონდა. ამ ადგილს მიაშტერდა და თავს აქნევდა. პროკოპიჩს გაუკვირდა, რომ ეს ახალბედა შეგირდი მის ნამუშევარს ათვალიერებდა და მკაცრად ჰკითხა:

---

[7] ივანეს დღე-- ივანა კუპალას დღეს. 24 ივნისი. გადმოცემით გვიმრა ად დღეს ყვავის და საგანძურიც იხსნება.

[8] გველის დღესასწაული-- 12 სექტემბერი.

-შენ ვინ გითხრა, რომ ნამუშევარი ხელში აგეღო?

-პაპა, ჩემი აზრით, ამ მხრიდან ნაწიბური არუნდა მოემტვრას. აქ ნაყშია და ჩამოეჭრება.

-რა? შენ ვინ ხარ? ოსტატი? ჯერ ხელი არ გიხლია და უკვე განსჯი? რა გესმის?- დაუყვირა პროკოპიჩმა.

-ის მესმის, რომ ეს ნაჭერი გაგიფუჭებიათ. -მიუგო დანილკომ.

-ვინ გააფუჭა? შე ლაწირაკო, პირველი ოსტატი ვარ. მე შენ ისეთ გაფუჭებას გაჩვენებ-ცოცხალი ვერ გადამირჩები.

აყვირდა, მაგრამ დანილკოს თითი არ დააკარა. პროკოპიჩი ფიქრობდა ნაწიბური რომელი მხრიდან ჩამოეჭრა და დანილკომ თავისი საუბარი პირდაპირ მიანიშნა. პროკოპიჩმა დაუყვავა:

-აბა, შენ თუ ჩამოყალიბებული ოსტატი ხარ, მაჩვენე შენი აზრით, როგორ უნდა გაკეთდეს.

დანილკო აჩვენებდა და ეუბნებოდა:

-აი, როგორი ნაყში გამოვიდა, ნაჭერი დავიწროვდეს, ნაწიბური ჩამოეჭრას და ზემოთ მცირე წნული დარჩეს.

-აბა! როგორ! ბევრი გესმის, მოაგროვე-არ გაგეფანტოს.-წამოაძახებდა პროკოპიჩი. თავისთვის კი ფიქრობდა: -მართალს ამბობს, ნიჭი ექნება, მაგრამ როგორ ვასწავლო? ერთხელ დავარტყავ-ფეხებს გაჭიმავს.

-გაიფიქრა და ჰკითხა:

-ვისი სწავლული ხარ?

დანილკომ თავის შესახებ მოუყვა: ის ობოლი იყო, დედა არ ახსოვდა. მამის შესახებ არაფერი იცოდა, არც სახელი და არც მეტსახელი. თვითონ მეტსახელად დანოლკო-უჭმელს ეძახდნენ. მოუყვა ბატონის სახლში ლაქიად რომ იყო და რისთვისაც გამოაგდეს, ზაფხულში ძროხებს რომ მწყემსავდა, როგორ დასაჯეს.

პროკოპიჩს შეეცოდა: -ვხედავ, არ გილხინს, ცხოვრება ვერ აგეწყო, თან ჩემთან მოხვდი, რთული ხელობა გვაქვს.

მერე თითქოს გული მოუვიდა და ჩაიბუზღუნა:

-კარგი, კარგი! მთელი საღამო ლაქლაქებ. ვითომ ესეც შეგირდია. ხვალ ვნახავ რისი უნარი გაქვს. დაჯექი ივახშმე, ძილის დროა.

პროკოპიჩი მარტო ცხოვრობდა. ცოლი ადრე მოუკვდა. მეზობლებიდან მოხუცი ქალი მიტროფანოვა მოდიოდა და დიასახლისობდა. დილით მოვიდოდა, ქოხს დაალაგებდა, რაღაცას მოხარშავდა. საღამოს პროკოპიჩი თაისთავს თვითონ უვლიდა.

ივახშმეს.

-აი აქ, სკამზე დაწექი. -უთხრა პროკოპიჩმა.

დანილკომ ფეხზე გაიხადა, აბგა თავქვეშ ამოიდო, ტანსაცმელი გადაიხურა და მოიბუზა. პროკოპიჩიც დაწვა, მაგრამ ვერ დაიძინა. ახალ შეგირდთან საუბარი თავიდან არ ამოსდიოდა, ბუზღუნებდა, მერე ადგა, სანთელი აანთო და ჩარხთან მივიდა. მალაქიტის ნაჭერი აიღო და შემოატრიალა, ერთ მხარეს ნაწიბურს ხელი დააგარა, მერე სხვა მხრიდან გაზომა და მიხვდა, რომ ბიჭმა ნაყში უკეთესად შეიცნო. -აი შენი უჭმელი! ძველ ოსტატს მიუთითა. აი, თვალი! აი, თვალი!

თახჩასთან წყნარად მივიდა, ბალიში და ცხვრის დიდი ტყაპუჭი გამოიღო, დანილკოს თავქვეშ ბალიში ამოუღო და ტყაპუჭი გადააფარა.

-იძმნე.

მას კი არც გაღვიძებია, მეორე მხარეს გადაბრუნდა, ტყაპუჭის ქვეშ გასწორდა, დასთბა და მშვიდად ფშვინავდა. პროკოპიჩს თავისი შვილები არ ჰყავდა და დანოლკო გულში ჩაუვარდა. ოსტატი იდგა და მძინარეს უყურებდა. საფიქრალი გაუჩნდა, რომ ეს ყმაწვილი ფეხზე დაეყენებინა, გამხდარი და სუსტი ჯანმრთელობით ხელობას როგორ ისწავლიდა. მტვერი, საწამლავი-მალე დაილეოდა და ჩამოჭკნებოდა. სჯობს, ჯერ დაესვენა, მომაგრებულიყო და მერე ესწავლა. ჩანდა, რომ ნიჭი ჰქონდა.

მეორე დღეს დანილკოს უთხრა:

-პირველად მეურნეობაში მომეხმარე. ასეთი წესი მაქვს. გაიგე? პირველ რიგში ძახველის დასაკრეფად წადი, ღვეზელისთვის დაგვჭირდება, შორს არ წახვიდე, რასაც მოაგროვებ-გვეყოფა. ნახევარი პური წაიღე-ტყეში მოგშივდება. მიტროფანოვნასთან შეიარე, უთხარი რომ ორი კვერცხი შეგიწვას და რძე დაგისხას, გაიგე?

მეორე დღეს ისევ დაავალა:-ჩიტბატონა დამიჭირე და საღამოსათვის სახლში მოიყვანე.

დანილკომ ჩიტბატონა დაიჭირა და სახლში მოიყვანა.

-კიდევ დაიჭირე-უთხრა პროკოპიჩმა.

ასე მიდიოდა დღეები. პროკოპიჩი დანილკოს ყოველდღე რაღაც საქმეს ავალებდა. ისიც ერთობოდა. როცა თოვლი მოვიდა- მეზობლებთან ერთად

შეშისათვის გააგზავნა. ხან წინ მარხილზე იჯდა, ცხენს მართავდა, ხან უკან ფეხით მისდევდა. პროკოპიჩმა თბილი ქურქი, ქუდი და ხელთათმანები მისცა, მისთვის ჩექმები მოათელინა. ეტყობა, დანაზოგი ჰქონდა. მიუხედავად ყმობისა, ბეგარაზე დადიოდა, ცოტას გამოიმუშავებდა. დანილკო შვილივით მიიღო, მისთვის არაფერი ენანებოდა, მაგრამ დროებით თავის ხელობას არ აკარებდა.

ყმაწვილი კარგ ფორმაში გამომჯობინდა. პროკოპიჩს შეეთვისა, როგორღაც ცხოვრობდნენ. გავიდა ზამთარი. დანილკო თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. ხან ტბორზე წავიდოდა, ხან ტყეში, ხელობასაც აკვირდებოდა. პროკოპიჩს უხსნიდა, ნახელავს აჩვენებდა. როცა დანილკო შენიშვნას მისცემდა, პროკოპიჩი თვითონაც აკვირდებოდა და გაასწორებდა, როცა სჭირდებოდა-ეკითხებოდა.

და აი, ერთხელ ზედამხედველმა დანილკო ტბორზე დაინახა და თავის შიკრკებს ჰკითხა:

-ეს ბიჭი ვისია? რამდენი დღეა აქ ვხედავ. ანკესით ერთობა, პატარა აღარაა, ეტყობა ვიღაც სამუშაოს არიდებს.

შიკრიკებმა გაიგეს და ზედამხედველს უთხრეს. მან არ დაიჯერა: -ჩემთან მოიყვანეთ, მე თვითონ ამოვიცნობ.

დანილკო მიიყვანეს და ზედამხედველმა ჰკითხა: - ვისი ხარ?

-თვით მალაქიტის ოსტატის შეგირდი ვარ-მიუგო დანილკომ.

ზედამხედველმა ყურზე სტაცა ხელი.

-არამზადა! როგორ სწავლობ!-და ყურში ხელწავლებული პროლოპიჩთან წაიყვანა.

მან დაინახა, რომ საქმე კარგად ვერ იყო და დანილკოს გამოესარჩლა: -მე თვითონ გავგზავნე ქორჭილის დასაჭერად. ძალიან მიყვარს ახლდაჭერილი ქორჭილა, ჩემი ჯანმრთელობის გამო სხვა რამის ჭამა არ შემიძია, ამიტომ სათევზაოდ გავგზავნე.

ზედამხედველმა არ დაიჯერა. მიხვდა, რომ დანილკო გამოკეთებულიყო: მოსუქდა, ხალათი, შარვალი, ფეხზე ჩექმები ეცვა და მოინდომა დანილკოს შემოწმება.

-აბა მაჩვენე, ოსტატმა რა გასწავლა?

დანილკომ წინსაფარი გაიკეთა და ჩარხთან მივიდა. რასაც ზედამხედველი ეკითხებოდა ყველაფერს პასუხობდა. ქვა როგორ გატეხოს, გახერხოს, გაშფილოს, როგორ დააწებოს, ხეზე როგორ მიამაგროს, სპილენძზე. ერთი სიტყვით, როგორც იყო.

ზედამხედველმა გამოსცადა, მერე პროკოპიჩს მიუბრუნდა და ჰკითხა:

-ვარგისი მოვიდა?

-არ ვემდური. -მიუგო პროკოპიჩმა.

-არ ემდური, მაგრამ ანებივრებ. შეგირდად დაგიყენე, ის კი ტბორთ ან ანკესით თევზაობს. ამ შენს ახალდაჭერილ ქორჭილებს გავუშვებ და სიკვდილამდეარ დაგავიწყდება და ბიჭს საქმე სახალისოდ აღარ ექნება.

განრისხდა და წავიდა.

პროკოპიჩს გაუკვირდა ხელობა როდის აითვისა, როცა მისთვის ჯერ არ ესწავლებინა.

-მე თვითონ, როცა მაჩვენებდი, ვიმახსოვრებდი-მიუგო დანილკომ.

პროკოპიჩს გულზე ისე მოხვდა, რომ ცრემლებიც კი წამოუვიდა:

-შვილო დანილკო, საყვარელო, რაც ვიცი ყველაფერს აგიხსნი, არ დაგიმალავ. და დანილკოს უზრუნველი და უშფოთველი ცხოვრება დამთავრდა. პირველად უმნიშვნელო, წვრილმან საქმეებს აძლევდა: ბალთები, სხვადასხვანაირი ზარდახშები, მერე შანდლები და სამკაულები. ჩუქურთმამდეც მივიდნენ: ფოთლები, ყვავილები, ნაყშები. მალაქიტის დამამუშავებლებს თითქოს წვრილმანი საქმე ჰქონდათ, მაგრამ დიდ დროს მოითხოვდა. ასე დახელოვნდა და გაიწაფა დანილკო ამ საქმეში.

როცა ერთი ქვიდან სამაჯური გამოჩარხა, ზედამხედველმა ოსტატად აღიარა და ამის შემდეგ ბატონს მისწერა: „ მალაქიტის საქმეში ახალი ოსტატი გამოჩნდა-- დანილკო-უჭმელი. ახალგაზრდაა, კარგად მუშაობს. გვიბრძანეთ სასწავლებლად დავტოვოთ თუ როგორც პროკოპიჩი ბეგარაზე გავუშვათ?”

დანილკო მარჯვედ და სწრაფად მუშაობდა და ამის გამო პროკოპიჩმა ხრიკი იხმარა. როცა ზედამხედველი დავალებას მისცემდა და ვადად ხუთ დღეს დაუნიშნავდა, პროკოპიჩი ზედამხედველთან წავიდოდა და ეტყოდა: -ეს მის შესაძლებლობებს აღემატება, ჯერ სწავლობს, ამ საქმეს ნახევარ თვე დასჭირდება, აჩქარებით საქმე არ ივარგებს. ზედამხედველი დღეებს მიუმატებდა. დანილკო აუჩქარებლად მუშაობდა. ჩუმად წერა-კითხვაც ისწავლა. პროკოპიჩი ამაშიც ხელს უწყობდა. დანილკოს მაგივრად უნდოდა ზედამხედველის დავალებები შეესრულებინა, მაგრამ ის არ ანებებდა: -ბიძია, რა თქვენი საქმეა ჩემს მაგივრად ჩარხთან იჯდეთ, მალაქიტისაგან წვერი გაგიმწვანდათ, ჯანმრთელობა შეგერყათ, მე რაღა საქმე მაქვს?

ამ დროისათვის დანილკო გამოკეთდა, მაგრამ ძველებურად ისევ მშიერს ეძახდნენ. ის კი, აი როგორი იყო! მაღალი, ლოყებდაბრაწული, ხუჭუჭა, მხიარული, ერთი სიტყვიტ, გოგოების დარდი.

პროკოპიჩმა საცოლეებზე დაუწყო ლაპარაკი, დანილკო კი თავს აქნევდა: -ჩვენგან არ წავა, არ დაგვეკარგება! ნამდვილი ოსტატი რომ გავხდები, მაშინ ვილაპარაკოთ.

ბატონმა ზედამხედველს წერილზე უპასუხა: „დაე პროკოპიჩის იმ შეგირდმა სახლისათვის სამდგამიანი თასი გამოჩარხოს. მაშინ გადავწყვეტ ბეგარაზე გავუშვა თუ შეგირდად დავტოვო. შენ მხოლოდ დააკვირდი, რომ პროკოპიჩი არ მიეხმაროს, არ დააკვირდები-შენ მოგთხოვ.”

ზედამხედველმა ეს წერილი მიიღო, დანილკოს დაუძახა და უთხრა:

-აქ, ჩემთან იმუშავებ, ჩარხს მოგიტანენ, ქვებსაც-როგორიც გენდომება.

ეს პროკოპიჩმა გაიგო და დადარდიანდა. წავიდა ზედამხედველთან, ის რამეს ეტყოდა? მხოლოდ დაუყვირა:-შენი საქმე არ არის.

და აი, დანილკო ახალ ადგილას წავიდა სამუშაოდ. პროკოპიჩმა დაარიგა: -უყურე, არ აჩქარდე, თავს ნუ გამოიდებ.

დანილკო პირველად ფრთხილობდა, სევდამ შეიპყრო. მთელი დღე ზედამხედველთან იჯდა. საქმეს მთელი ძალით ეცა და თასი მალე გააკეთა. ზედამხედველმა დაათვალიერა და უთხრა: -კიდევ გააკეთე!

დანილკომ მეორე, მესამე თასი გააკეთა. როცა მესამე თასიც გააკეთა ზედამხედველმა უთხრა:

-ახლა ვეღარ დაბრუნდები. შენ და პროკოპიჩი გამოგიჭირეთ. ბატონმა ჩემი წერილის მერე ვადა ერთი თასისთვის დაგინიშნათ, შენ კი ამ დროში სამი თასი გააკეთე ვიცი შენი უნარი, ვეღარ მომატყებ. ამ ბებერ ძაღლს კი ვაჩვენებ როგორ უნდა ზარმაცობა. სხვანაირად ვაზღვევინებთ!

ამის შემდეგ ბატონს მისწერა და სამივე თასი წარუდგინა. მაგრამ ბატონი უფრო მიხვედრილი იყო ან ზედამხედველზე გაბრაზებული-საქმე საპირისპიროდ შემოატრიალა.

სულ უმნიშვნელო ბეგარა დაუნიშნა, პროკოპიჩს არ დააშორა, რათა ორივეს რაიმე ახალი მოეფიქრებინა. წერილთან ერთად ნახაზიც გააგზავნა, მასზე ნაირნაირად მორთული თასი იყო დახატული. რკალზე მოჩუქურთმებული არშია ჰქონდა მოვლებული, სარტყელზე კი ქვის ზოლი ჭუჭრუტანებიანი ჩუქურთმით.

სადგამზე ფოთლები ჰქონდა მიმაგრებული. ბატონმა ნახაზზე მიაწერა: „თუნდაც ხუთი წელი მოანდომოს, ოღონდ ზუსტად ასეთი გააკეთოს.”

ზედამხედველს თავისი სიტყვების უკან წაღება მოუწია. ბატონის გადაწყვეტილება გამოუცხადა, ნახაზი მისცა და პროკოპიჩთან გაუშვა.

გაიხარეს დანილკომ და ოსტატმა და საქმეს მთელი ძალით ეკვეთნენ. დანილკო იმ თასის გამოჩარხვას შეუდგა. რთული საქმე იყო. ოღონდ არასწორად დაარტყავ-შრომა წყალში ჩაგეყრება და ახლიდან დაწყება მოგიწევს. საქმე კარგად წაუვიდა: -თვალი გამჭრიახი, ხელი-ძლიერი, ღონეც ყოფნიდა, მაგრამ რაღაც არ მოსწონდა, ლამაზი საერთოდ არ იყო. პროკოპიჩს ამის შესახებ ეუბნებოდა, მაკ კი უკვირდა:

-შენ რა გინდა? ესე იგი ასეთი უნდათ. ცოტა რამ გამომიჭრია? ვიცი, სად წაიღეს?

ზედამხედველს დაელაპარაკნენ, მაგრამ მან ხელები გაასავსავა:

-შენ რა გაგიჟდი? ნახაზში ბევრი ფულია გადახდილი. მხატვარმა დედაქალაქში პირველად გააკეთა და შენ კი შესწორება მოინდომე!

მერე, ეტყობა გაახსენდა ბატონის დავალება, რომ ორივეს რაიმე ახალი მოეფიქრებინა და უთხრა:

-აი, შენ რა... ეს თასი ბატონის გამოგზავნილი ნახაზის მიხედვით გააკეთე, მაგრამ თუ სხვანაირს მოიფიქრებ შენი ნებაა. ხელს არ შეგიშლი. ქვები გვეყოფა. როგორიც გენდომება, ისეთს მოგცემთ.

აქ დანილკო ჩაფიქრდა : ჩვენზეა ნათქვამი,რომ სხვისი სიბრძნის გაბრიაბრუება შეიძლება. სანამ შენსას მოიფიქრებ, არა ერთ ღამეს ლოგინში ტრიალი მოუწევს. ნახაზს უყურებდა და თვითონ სხვაზე ფიქრობდა. თავში ის უტრიალებდა, თუ მალაქიტის ქვას რომელი ყვავილი და ფოთოლი მოუხდებოდა. ფიქრიანი გახდა, დადარდიანდა. ეს პროკოპიჩმა შეამჩნია და ჰკითხა:

-დანილკო ავად ხომ არ ხარ? თასზე ნუ დარდობ. სადმე გაისეირნე, სულ ზიხარ და ზიხარ.

-ტყეში მაინც წავალ. იქნებ დავინახო, რაც მჭირდება.

ამ დღიდან თითქმის ყოველდღე ტყეში გარბოდა. თობვის დრო იყო. ბალახები ყვაოდა. დანილკო ტყეში, მინდორში გაჩერდებოდა და ყვავილებს აკვირდებოდა. ამ დროს მინდვრებში და ტყეშიც ხალხმრავლობა იყო. კენკრას კრეფდნენ და ბალახს თიბავდნენ. ეკითხებოდნენ: -რაიმე ხომ არ დაკარგე? ის გაიღიმებდა და იტყოდა: -საკარგვით არ დამიკარგია, მაგრამ ვერ ვპოულობ.

ზოგი ერთმანეთს გადაულაპარაკებდა: -ეს ბიჭი კარგად ვერ არის.

ის კი მივიდა სახლში თუ არა, მაშინვე ჩარხს მიუჯდებოდა და გათენებამდე მუშაობდა. დილით კი ტყესა და მდელოებს მიაშურებდა. სახლში მრავალნაირი ყვავილი და ფოთოლი მოჰქონდა, უმეტესად სადილისათვის: ღანძილი, კონიო, წყლის იელი, ლემა, არაბულა და სხვა. სახეზე გახდა, თვალები მოუსვენარი გაუხდა, ხელებში ძალა და სიმარჯვე დაეკარგა. პროკოპიჩი შეშფოთდა. ამაზე დანილკომ უთხრა: -თასი მოსვენებას არ მაძლევს, ისეთი მინდა გავაკეთო, რომ ქვა მთლიანი დარჩეს.

-რისთვისაც გინდა, მეტი რა გინდა, მაძღარი ხარ, დაე, ბატონები გაერთნენ, როგორც სასიამოვნებთ, ოღონდ ჩვენ არ დაგვჩაგრონ, როგორც ნაყშსაც მოიფიქრებენ, ისეთი გავუკეთოთ. ჩვენი რატომ შევთავაზოთ? ზედმეტი ტვირთი იქნება.

-ბატონისათვის არ ვცდილობ. ეს თასი თავიდან არ ამომდის. ქვას ჩვენ რას ვუკეთებთ? ვჭრით, ვჩარხავთ, ვშლიფავთ, მაგრამ ლაზათი არ აქვს. მსურს რომ ქვის სრული სილამაზე, ლაზათი და ხალისი ვნახო და ხალხსაც ვაჩვენო-არ იშლიდა თავისას დანილკო.

გავიდა დრო. დანილკო ისევ ბატონის გამოგზავნილი ნახაზის მიხედვით გაკეთებულ თას მიუბრუნდა. მუშაობს და ეცინება: -ქვის ზოლი ჭუჭრუტანებით, არშია კი მოჩუქურთმებულია.

უცებ ეს საქმე მიატოვა და სხვა დაიწყო. შეუსვენებლად იდგა ჩარხთან. პროკოპიჩს უთხრა: -ჩემს თასს ლემას ყვავილისნაირად გავაკეთებ.

პროკოპიჩს უნდოდა გადაეფიარებინა, მაგრამ დანილკოს მოსმენა არ სურდა. სამი, ოთხი დღის მუშაობის მერე ჯამი გააკეთა და პროკოპიჩს უთხრა: -კარგი, პირველად ბატონის თასს დავამთავრებ, მერე კი ჩემსას დავიწყებ, ოღნდ არ გადამაფიქრებინო, თავიდან არ ამომდის, ვერ ვივიწყებ.

-კარგი, ხელს არ შეგიშლი, -მიუგო ოსტატმა და თან გაიფიქრა: -ცოლი უნდა შევრთო. როცა ოჯახს მოეკიდება, სისულელეები თავიდან გაუფრინდება.

დანილკო საქმეს შეუდგა. საქმე იმდენი ჰქონდათ, ერთი წელი არ ეყოფოდა. გულდასმით მუშაობდა, ლემას ყვავილი აღარ ახსოვდა. ლემას ყვავილი აღარ ახსოვდა. პროკოპიჩმა ცოლის შერთვაზე დაუწყო ლაპარაკი: -აი, თუნდაც კატია ლეტემინა, კარგი გოგოა, ვერ დავიწუნებთ.

ამას პროკოპიჩი განგებ ამბობდა. დიდი ხანია ამჩნევდა, რომ დანილკო ამ გოგოს თვალს ადევნებდა. ისიც გულგრილი არ იყო. პროკოპიჩმა თითქოს შემთხვევით სიტყვა ჩაუგდო, დანილკო კი თავისას არ თმობდა: -დამაცადე, ეს თასი

დავამთავრო, თავი მომაბეზრა, ლამის ჩაქუჩი დავარტყა, შენ კი ცოლზე მელაპარაკები! ჩვენ შევთანხმდით, ის დამიცდის.

დანილკომ ბატონის ნახაზის მიხედვით თასი დაამთავრა, ზედამხედველს ჯერ არ უთხრეს და თავიანთ სახლში სეირობა მოაწყვეს. კატია, თავის მშობლებთან ერთად და მალაქიტის ოსტატები დაპატიჟეს. კატია თასის დანახვაზე განცვიფრდა: - მხოლოდ შენ როგორ მოახერხე ასეთი ნაყშის ჩუქურთმის ამოჭრა და ქვა არსად გატეხე! გლუვი და სუფთად გაშლიფულია.

დანილკომ უსმინა, უსმინა და თქვა: - სწორედ ის მადრდებს, რომ ვერ დაიწუნებთ. სწორი, გლუვი, ზუსტი ნაყშია, ნახაზის მიხედვით გამოჭრილი, მაგრამ სილამაზე სად არის? თუნდაც, აი, ის ყვავილი- ცუდი არ არის, შეხედავ-გულს უხარია, მაგრამ რისთვის? ვინც შეხედავს, თუნდაც კატინკა-განცვიფრდება. ამ ოსტატს რა თვალი და ხელი ჰქონია, რა მოთმინება ეყო, რომ ქვა არსად გატეხა.

-სად შეგეშალა?-იციანიან ოსტატები, -სადღაც მიაწებე, გაშლიფე და ნაპირებს ვეღარ იპოვი?

-აი, აი, სად არის ქვის სილამაზე: ძარღვი, ჭუჭრუტანებიანი ჩუქურთმები და ყვავილები. ქვა კი როგორია? -საუკეთესო! გესმით-საუკეთესო! გაცხარდა, ეტყობა, ცოტა ნასვამი იყო.

ოსტატები დანილკოს იგივეს ურჩევდნენ, რასაც პროკოპიჩი არაერთხელ ეუბნებოდა: -ქვა რაც არის -არის, რას უზამ? ჩვენი საქმე ჩარხვა და ჭრაა.

მათში ერთი მოხუცი ოსტატი იყო. ის პროკოპიჩს და სხვა ოსტატებს ასწავლიდა. ყველას პაპას ეძახდა. ეს საუბარი მოესმა და დანილკოს უთხრა:

-საყვარელო შვილო, ეს ფიქრები თავიდან ამოიგდე, თორემ მთის ქალბატონთან მოხვდები ოსტატად.

-რომელ ოსტატებთან?

-აი ისინი მთაზე ცხოვრობენ, ვერავინ ხედავს. რასაც ქალბატონი მოინდომებს, იმას აკეთებენ. მე ერთხელ ვნახე. აი, ნამუშევარი! აქაურისგან განსხვავდება.

ყველა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და ჰკითხეს რა ნამუშევარი ნახა.

-სერპენტინის, რომელი სამაჯურისათვის იყენებთ.

-მერე როგორია?

-ჩვენებურისგან განსხვავდება. ნებისმიერი ოსტატი მიხვდება, რომ აქაურის ნამუშევარი არ არის. ჩვენებურ სერპენტინს სუფთად ვერ გამოჩარხავ, ქვისაა, ის კი

თითქოს ცოცხალია, ზურგი-მოშავო, თვალები-შეხედავ- თითქოს ამოგკორტნის. მათ, მთის ოსტატებმა ქვის ყვავილი ნახეს და სილამაზე შეიცნეს.

დანილკომ ქვის ყვავილი გაიგო და მოხუცს გამოჰკითხა. მან პატიოსნად უთხრა:

-შვილო, მე თვითონ არ ვიცი, გამიგია, რომ ასეთი ყვავილი არსებობს. მისი ნახვა ჩვენთვის შეუძლებელია. ვინც დაინახავს ამქვეყნიურ ცხოვრებაში გაუბედურდება.

-მე ვნახავდი-უთხრა დანილკომ.

კატინკა, დანილკოს საცოლე უცებ შეძრწუნდა:

-შენ, დანილკო ამქვეყნიური ცხოვრება მოგბეზრდა? და ატირდა.

პროკოპიჩმა და სხვა ოსტატებმა მოხუცს სიცილი დააყარეს:

-ჭკუა დაგაკლდა, ზღაპრებს ჰყვები, ბიჭს გზას აცდენ.

მოხუცი გაცხარდა და მაგიდას ხელი დაჰკრა.

-ქვის ყვავილი არსებობს. ბიჭი მართალს ამბობს: ქვის არ გვესმის. იმ ყვავილში სილამაზეა ნაჩვენები.

-მოხუცი ცოტა გადაკრულშია- იცინიან ოსტატები.

ის კი თავისას არ თმობს:

-ქვის ყვავილი არსებობს!

სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. დანილკოს ეს საუბარი თავიდან არ ამოსდიოდა. ისევ დაიწყო ტყეში სიარული და თავის ლემა ყვავილთან ახლომახლო დადიოდა, ქორწილი აღარ ახსოვდა.

-შენ გოგოს არცხვენ! რამდენი წელი უნდა იყოს საცოლე? მალე დაცინვას დაუწყებენ, ცოტაა ჭორიკანა?-საყვედურობდა პროკოპიჩი.

-ცოტა დამაცადე. მოვიფიქრებ და შესაფერის ქვას ავარჩევ-არ თმობდა თავისას დანილკო.

და გუმეშკის სპილენძის საბადოზე სიარულს მიეჩვია. როცა შახტში ჩავიდოდა და სანგრევებს ჩამოივლიდა, ქვებს არჩევდა. ერთხელ, ქვა აიღო და რომ შემოტრიალდა, დააკვირდა და ჩაილაპარაკა: -არა, ეს ის არ არის... მხოლოდ ეს აღმოხდა და ვიღაცამ უთხრა:- სხვა ადგილას ეძებე გველის გორაკზე.

მიიხედ-მოიხედა და ვერავინ დაინახა. ვინ იყო? გაიხუმრეს. დასამალიც არსად არის. კიდევ მიათვალიერა და სახლისკენ გზას დაადგა და ისევ:-გესმის? დანილკო ოსტატო? გველის გორაკზე.

დანილკომ მიიხედ-მოიხედა და ვიღაც ქალი, ნისლივით ოდნავ ჩანდა, მერე ყველაფერი გაქრა.

-ეს რა ოინია, ნუთუ ისაა? რა იქნება, რომ გველი გორაკზე წავიდე?

დანილკომ გველის გორაკი კარგად იცოდა. გუმეშკიდან ახლოს იყო. დღეს აღარ არის, დიდი ხანია გადათხარეს, წინათ კი ქვებს ზედაპირზე იღებდნენ

დანილკო მეორე დღეს სწორედ იქ წავიდა. გორაკი პატარა, მაგრამ ციცაბო და ერთ მხარეს თითქოს ჩამოჭრილი იყო. ნაპრალი საუკეთესო, ყველა ფენა კარგად ჩანდა, უკეთესი რომ არ იქნებოდა.

ნაპრალს მიუახლოვდა და მალაქიტის დიდი ქვა დაინახა. ბუჩქის ფორმის, ისეთი დიდი, ხელით ვერ წაიღებდი. დაათვალიერა და ნაპოვნი ისეთი იყო, როგორიც უნდოდა. ქვედა მხარეს მუქი ფერის, ძარღვებიანი. დანილკოს ძალიან გაუხარდა და ცხენისათვის გაიქცა. ქვა სახლში მოიტანა და პროკოპიჩს უთხრა:

-ნახე, რა ქვაა! ჩემს საქმეს შეეფერება. სწრაფად გავაკეთებ, მერე ცოლსაც მოვიყვან. კატინკა ერთგულად მელოდება, მხოლოდ ეს საქმე მაფერხებს, მალე დავამთავრებ!

და აი, დანილკო საქმეს შეუდგა. დღე და ღამე გაასწორა. პროკოპიჩი შეფიქრიანდა: -ბიჭი იქნებ დაშოშმინდეს. საქმე კი წინ მიდიოდა. ქვის ქვედა ნაწილი დაამუშავა, ლემას ბუჩქს ჰგავდა: განიერი, დაკბილული ფოთლები, ძარღვებიც ნამდვილი ფოთლებივით ჰქონდა, პროკოპიჩიც ამას ამბობდა: -ნამდვილი ყვავილივითაა, თითქოს ხელით შეიგრძნობა. ქვის ზედა ნაწილზე რომ გადავიდა პატარა ყლორტები გამოჩარხა, ფოთლები ძლივს ემაგრებოდა. თასი ლემას ჰყვავილს ჰგავდა და არც ჰგავდა. სილამაზე დაკარგა. დანილკოს ძილი გაუკრთა, თასთან იჯდა და ფიქრობდა: როგორ გამოესწორებინა. პროკოპიჩი და სხვა ოსტატები სანახავად მიდიოდნენ და უკვირდათ: -რა უნდა ამ ყმაწვილს, ისეთი თასი გამოვიდა, რომ უკეთესი არავის გაუკეთებია. მას კი არ მოწონს. გამოსალოცი და სამკურნალოა. კატინკამ ეს გაიგო და ატირდა. დანილკო ამან გამოაფხიზლა, ჭკუაზე მოიყვანა:-კარგი, აღარ გავაკეთებ, ჩანს, რომ ამაზე მეტი არ შემიძლია, ქვის ძალას ვერ შევიგრძნობ და ქორწილისათვის აჩქარდა. საცოლესათვის ყველაფერი გამზადებული ჰქონდა. ქორწილის დღეც დანიშნეს. დანილკო გამხიარულდა. ზედამხედველმა თასის შესახებ გაიგო თუ არა, მაშინვე მოირბინა და ძალიან მოეწონა. უნდოდა ბატონისათვის გაეგზავნა, მაგრამ დანილკომ უარი უთხრა: ცოტა ხანს დაიცადე, დასამთავრებელია.

შემოდგომა იყო. ქორწილი დველის დღესასწაულს [9] დაემთხვა. ვიღაცამ გაიხსენა, რომ ამ დღეს ყველა ერთ ადგილას მოგროვდებოდა. დანილკოს ეს სიტყვები დაამახსოვრდა. მალაქიტის ყვავილები გაახსენდა და გადაწყვიტა, რომ გველის გორაკზე წასულიყო. ქვაც გაახსენდა, ხმაც, რომელიც გველის გორაკზე მოესმა.

და აი, წავიდა. მიწა უკვე იყინებოდა, წვრილად თოვდა. დანილკო მოსახვევს მიუახლოვდა, იქ, სადღაც ქვა აიღო, მიიხედა და დიდი ღრმული შეამჩნია. შევიდა და დასასვენებლად ჩამოჯდა. კედლისკენ მიიხედა და ნაცრისფერი ქვა დაინახა, რომელიც სკამს ჰგავდა. დანილკო დაჯდა, ჩაფიქრდა, მიწას დააცქერდა. ქვის ყვავილი არ ავიწყდებოდა. უცებ დათბა, თითქოს ზაფხული მობრუნდა. დანილკომ თავი ასწია და მის წინ მეორე კედელთან სპილენძის მთის ქალბატონი იჯდა. დანილკომ ის სალამაზითა და მალაქიტის კაბით იცნო. მაგრამ გადაიფიქრა:- იქნებ მეჩვენება? სინამდვილეში არაფერია?

იჯდა და დუმდა, ქალბატონს უყურებდა და თითქოს ვერ ამჩნევდა. ისიც დუმდა, თითქოს ჩაფიქრდნენ. მერე ქალბატონმა ჰკითხა:

-დანილკო-ოსტატო, შენი ლემა-თასი არ გამოვიდა?

-არ გამოვიდა.

-თავი ნუ ჩაქინდრე, კიდევ სცადე, ქვა ისეთი გექნება, როგორსაც მოინდომებ.

-არა, მეტი აღარ შემიძლია. ძლიერ დავიქანცე, არ გამოდის. ქვის ყვავილი მაჩვენე.

-ჩვენება ადვილი საქმეა, მაგრამ მერე ინანებ.

-მთიდან აღარ გამიშვებ?

-რატომ არ გაგიშვებ? გზა ხსნილია, მაგრამ მერე ისევ ჩემთან ბრუნდებიან.

-სიკეთე გააკეთე, მაჩვენე.

-იქნებ ეცადო, შენ თვითონ იპოვო?-ისევ ურჩევდა ქალბატონი. პროკოპიჩიც გაიხსენა:-მან ხომ შეგიცოდა, ახლა შენი ჯერია-ის შეიცოდო. საცოლეც გაახსენა:- ქალიშვილს სულში უზიხარ, შენ კი განზე იყურები.

-ვიცი, ამ ყვავილის გარეშე სიცოცხლე არ მიღირს! მაჩვენე!

-რადგან ასეა, წავიდეთ ჩემს ბაღში.

თქვეს და წამოდგნენ. უცებ ხმაური მოისმა, თითქოს მიწა ჩამოინგრა. დანილკომ მიიხედა და კედლები გაქრა. მაღალი ხეები იდგა, ქვის, ზოგი

[9] გველის დღესასწაული--25 სექტემბერი

მარმარილოსი, ზოგი სერპენტინის, ყველანაირი... ნამდვილი ტოტებითა და ფოთლებით, ქარისაგან ირხეოდნენ და ხმას გამოსცემდნენ. მიწაზე ბალახიც ქვისა იყო: წითელი, სხვადასხვანაირი. მზე არ ჩანდა, საღამოს ბინდივით იყო. ხეთა შორის მეწაზე გველის წიწილები იკლაკნებოდნენ, ცეკვავდნენ და ანათებდნენ.

ქალბატონმა მდელოზე წაიყვანა. თიხნარ მიწაზე შავი ხავერდოვანი ბუჩქები ამოსულიყო და მის მალაქიტის დიდ ყვავილებზე სტიბიუმის ვარსკვლავები ბრწყინავდნენ და ნაზად წკრიალებდნენ, თითქოს მღეროდნენ. ყვავილებზე კი ცეცხლოვანი ფუტკრები ლაპლაპებდნენ.

-დანილკო ოსტატო, დაათვალიერე?-ჰკითხა ქალბატონმა.

-ამის შესაფერის ქვას ვერ ვიპოვი?-ჰკითხა დანილკომ.

-თუ შენ თვითონ მოიფიქრებ, მოგცემდი ასეთ ქვას, მაგრამ ახლა არ შემიძლია,-თქვა და ხელი გააქნია და ისევ ხმაური გაისმა და დანილკო ისევ ნაპრალში აღმოჩნდა. შემოდგომა იყო და ქარი ზუზუნებდა.

დანილკო სახლში დაბრუნდა. სწორედ იმ დღეს მის საცოლეს საღამოს წვეულება ჰქონდა. დანილკო თავდაპირველად გამხიარულდა, მღეროდა, ცეკვავდა, მერე კი მოიწყინა. საცოლეს კიდეც შეეშინდა:

რა მოგდის? თითქოს პანაშვიდზე ხარ.

-თავი მისკდება. თვალთ დამიბნელდა, სინათლეს ვეღარ ვხედავ. წვეულება დამთავრდა. წესის მიხედვით, საცოლემ თავის მეგობარ გოგოებთან ერთად საქმრო გააცილა. გზა შორი არ იყო, ორი სახლის შემდეგ ცხოვრობდნენ.

-გოგოებო, ჩვენი ქუჩის ბოლომდე მივიდეთ და მერე შემოვბრუნდეთ-თქვა კატინკამ, თავისთვის კი გაიფიქრა:-ნიავზე იქნებ უკეთესად გახდეს.

მეგობრებს უნდოდათ გაეცილებინათ. ახლოს ცხოვრობდა და ამიტომ გასაცილებელი სიმღერა არ უმღერიათ.

წყნარი ღამე იყო და თოვდა. სასეირნო ამინდი იყო. წინ საქმრო საცოლეთი მიდიოდა, მათ უკან მეგობარი გოგოები და უცოლო ბიჭები მიჰყვებოდნენ. ცოტა ჩამორჩნენ. გოგოებმა გამოსათხოვარი სიმღერები წამოიწყეს, სევდიანად მღეროდნენ. კატინკა ხედავდა, რომ დანილკო დარდიანი იყო და ეს სიმღერა უფრო ასევდიანებდა. კატინკა ცდილობდა გაემხიარულებინა, რათა ფიქრები გადაჰყროდა. დანილკო ალაპარაკდა და ისევ მოიწყინა. ამ დროს გოგოებმა სიმღერა დაამთავრეს და მხიარული სიმღერა წამოიწყეს. ატყდა ხორხოცი და ფაციფუცი. დანილკო კი თავჩაქინდრული მოდიოდა. კატინკა ცდილობდა, მაგრამ ვერ ამხიარულებდა. ასე მივიდნენ სახლამდე. მეგობარი გოგოები უცოლოები თავიანთ სახლებში

წავიდწამოვიდნენ. დანილკომ კი წესის გარეშე საცოლე სახლამდე მიაცილა და სახლისკენ გამობრუნდა.

პროკოპიჩს კარგა ხანია ეძინა. დანილკომ ცეცხლი უხმაუროდ დაანთო. თავისი თასები ქოხის შუაში დადგა და დააკვირდა. ამ დროს პროკოპიჩს ხველა აუტყდა. ამ დროისათვის ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა. ხველამ დანილკოს თითქოს გული გაუპო. განვლილი ცხოვრება გაახსენდა. მოხუცი შეეცოდა. პროკოპიჩი ახველებდა და ჰკითხა:

-შენ ამ თასებს რა...

-აი, ვუყურებ, დრო არ არის ჩავაბარო?

-დიდი ხანია დროა, ტყუილად ადგილს იკავებს. უკეთესს ვერ გააკეთებ.

ცოტა ხანს ისევ ილაპარაკეს. მერე პროკოპიჩს ისევ ჩაეძინა. დანილკოც დაწვა, მაგრამ ვეღარ დაიძინა, ტრიალებდა, გადაბრუნდებოდა, გადმობრუნდებოდა, ისევ ადგა, ცეცხლი დაანთო, თასებს შეხედა, მოხუცს თავზე დაადგა და ამოიოხრა.

მერე ჩაქუჩი აიღო და ლემა-ყვავილის თასს მოუქნია. მხოლოდ გაიწკარუნა. ბატონის ნახაზის მიხედვით გაკეთებულ თასს კი ხელი არ ახლო. მხოლოდ მიაფურთხა და გარეთ გამოვარდა. ამ დროიდან დანილკო ვეღარ იპოვეს.

ზოგი ამბობდა, რომ ჭკუაზე შეიშალა, ტყეში გზა დაებნა, ზოგი-მთის ქალბატონმა მთის ოსტატად აიყვანა.

საქმე სხვაგვარად იყო. ამის შემდეგ ზღაპარში მოგითხრობთ.

მთის ოსტატი

კატია-დანილკოს საცოლე გაუთხოვარი დარჩა. დანილკოს დაკარგვიდან ორი-სამი წლის გასვლისას, გათხოვების ასაკიდან გამოვიდა. მაშინ ოც წელს გადაცილებული გადაბერებულად ითვლებოდა. უცოლოები ასეთს იშვიათად ნიშნავდნენ, მეტად-ქვრივები. კატია, ჩანს, მიმზიდველი იყო და ყველა საცოლე ბიჭს თვალი ეჭირა, მაგრამ ის მხოლოდ ერთს პასუხობდა: -დანილკოს დავპირდი.

ურჩევდნენ: -რას იზამ! დაჰპირდი და არ გამოვიდა, არ მოხდა, ამის გახსენებას აზრი არ აქვს, დიდი ხანია გარდაიცვალა.

კატია თავის აზრს არ ღალატობდა: -დანილკოს დავპირდი, იქნებ მოვიდეს კიდეც.

ეუბნებოდნენ ცოცხლებში აღარ არის, სინამდვილეა. ის კი ჯიუტობდა: -მკვდარი არავინ უნახავს, ჩემთვის დღემდე ცოცხალია.

ხედავენ, თავის ჭკუაზე არ არის და თავი დაანებეს. ზოგი დასცინინოდა კიდეც, მკვდრის საცოლეს ეძახდნენ. ეს მეტსახელი შერჩა: კატია მერტვიაკოვა და კატია მერტვიაკოვა, თითქოს სხვა მეტსახელი არ იყო.

ადამიანს რა არ შეემთხვევა? კატიას ორივე მოხუცი მოუკვდა. დიდი ნათესაობა ჰყავდა, სამი ცოლ-შვილიანი ძმა და გათხოვილი დები. მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა: მამისეულ სახლში ვის ეცხოვრა? კატიამ გამოსავალი ნახა: -მე დანილოს ქოხში წავალ საცხოვრებლად. პროკოპიჩი სულ მოხუცდა, მოვუვლი მაინც.

და-ძმები, რა თქმა უნდა, არიგებდნენ: -დაო, არ შეგეფერება, პროკოპიჩი კი მოხუცია, მაგრამ რა იცი, შენზე რას იტყვიან?

-მე საჭორაო არ გავხდები. პროკოპიჩი ჩემთვის უცხო არ არის, ჩემი დანილოს მამობილია, მამას დავუძახრბ.

და წავიდა. შინაურები არ მიეძალნენ, თავისთავზეც ფიქრობდნენ: ზედმეტი წავა, ხმაური ნაკლებია. პროკოპიჩი კი? მას გაუხარდა: -გმადლობ, კატინკა, რომ გაგახსენდი.

და აი დაიწყეს ცხოვება. პროკოპიჩი ჩარხთან იჯდა, კატია დიასახლისობდა, ბოსტანს უვლიდა, საჭმელს ამზადებდა. მეურნეობა დიდი არ ჰქონდათ. კატია მარჯვე ქალიშვილი იყო და დიდი დრო არ სჭირდებოდა. საქმეს მორჩებოდა თუ არა მაშინვე ხელსაქმეს მიუჯდებოდა: კერავდა, ქსოვდა-ცოტა საქმეა?

პირველად საქმე კარგად ააწყეს, მაგრამ პროკოპიჩი თანდათან ბერდებოდა. ერთი დღე ჩარხთან იჯდა, ორი დღე იწვა. დაჩაჩანაკდა, კატია შეფიქრიანდა: „ქალის ხელსაქმით თავს ვერ ვირჩენთ, სხვა ხელობა კი არ ვიცი.”

და აი, პროკოპიჩს უთხრა:

-მამილო, იქნებ რაიმე მასწავლო?

პროკოპიჩს კიდეც გაეცინა: -შენ რა, რა ქალის საქმეა მალაქიტის დამუშავება, ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამე არ მსმენია.

კატია პროკოპიჩს მუშაობისას აკვირდებოდა, რა შეეძლო ეხმარებოდა: გახერხავა, გაშლიფვა. პროკოპიჩი აჩვენებდა რა როგორ უნდა გაეკეთებინა: ბალთის გამოჩარხვა, დანა-ჩანგლის ტარის გაკეთება და სხვა წვრილმანი საქმეები-რაზეც

მოთხოვნილება იყო. უბრალო საქმეა- კაპიკების საღირალი, მაგრამ დანამატს იძლეოდა.

პროკოპიჩს დიდხანს არ უცოცხლია. და-ძმებმა კატიას ურჩიეს:-ახლა შენ უნდა გათხოვდე, მარტო როგორ იცხოვრებ?

-თქვენ ნუ იდარდებთ. არანარი საქმრო არ მინდა. დანილკო მოვა, მთაში ისწავლის და დაბრუნდება-მოუჭრა კატიამ.

და-ძმანი ხელებს ასავსავებდნენ:

-კატერინა, შენ ჭკუაზე ხარ? ამის თქმა ცოდვაა. კაცი დიდი ხანია მოკვდა, ეს კი ელოდება. არ მოგეჩვენოს.

-ამისი არ მეშინია.

-რითი იცხოვრებ?-ჰკითხეს შინაურებმა.

-ამაზე არ იზრუნოთ, თავს შევინახავ.

და-ძმებმა ივარაუდეს, რომ კატიას პროკოპიჩისაგან ფული დარჩა და ისე:

-აი, სულელო! თუ ფული გაქვს-ოჯახში კაცია აუცილებელი. ფულის გულისათვის ვიღაცამ თავი არ მოგაჭრას, თვალი გაახილე.

-რაც მეკუთვნის, იმდენს ვნახავ.

და-ძმები კიდევ დიდხანს ბობოქრობდნენ: ზოგი უყვიროდა, ზოგი არიგებდა, ზოგი ტიროდა. კატია კი თავისას არ თმობდა:

-მარტო ვიქნები. არანაირი საქმრო არ მჭირდება. დიდი ხანია მყავს. ახლობლები, რა თქმა უნდა დადარდიანდნენ და ხელი ჩაიქნიეს.

-თვალით არ დაგვენახო!

-გმადლობთ, საყვარელო ძმებო და დებო. მემახსოვრებით, თქვენც არ დაგავიწყდეთ. შემომიარეთ ხოლმე.

ახლობლებს გაეცინათ და კარები მიუჯახუნეს.

დარჩა კატია მარტო. მერე კი თავის თავს შეუძახა: -ცხოვრებას არ შეუშინდე!

ცრემლები მოიწმინდა და მეურნეობას შეუდგა: რეცხვა, ფხეკა, სისუფთავის დაცვა. საქმეს მორჩებოდა თუ არა, მაშინვე ჩარხთან ჯდებოდა. აქაც თავისი წესრიგი დაამყარა. რაც არ ჭირდებოდა შორს დადო, რაც ხშირად ჭირდებოდა-იქვე აწყობდა. სახელოსნო მოაწესრიგა და უნდოდა საქმეს შესდგომოდა: „ვცდი, იქნებ ერთი ბალთა გამოვჩარხო?”

შესაფერისი ქვა არ ჰქონდა. დანილკოს ლემა-თასის ნატეხები დარჩა. კატია ინახავდა, ბოღჩაში ჰქონდა გამოკრული. პროკოპიჩს ბევრი ქვები დარჩა, გარდაცვალებამდე უამრავ საქმეს აკეთებდა. დიდი ქვები იყო. პატარა ნატეხები და ჩამონაჭრები წვრილმანი ნაკეთობებისათვის გადაარჩია და გაიფიქრა: -„საბადოზე უნდა წავიდე, ნუთუ შესაფერის ქვას ვერ ვნახავ?”

დანილკოსა და პროკოპიჩისაგან ახსოვდა, რომ ქვებს გველის გორაკზე იდებდნენ. სწორედ იქ წავიდა.

გუმეშკის მთაზე ბევრი ხალხი ირეოდა. ზოგი ანგრევდა, ზოგი ეზიდებოდა. დაინახეს, რომ კაია კალათით ხელშისადღაც წავიდა. კატიას არ სიამოვნებდა ხალხი თვალს რომ ადევნებდა. მთას შემოუარა და ტყის გავლით გველის გორაკის გზას დაადგა. ცოტა ხნით ჩამოჯდა, მწუხარებამ შეიპყრო, დანილკო გაახსენდა. ქვაზე იჯდა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ირგვლივ ტყე აკრავდა, სიფრთხილე დაავიწყდა. მოიტირა და დაინახა, რომ იქვე ფერხთით მალაქიტის ქვა გამოჩნდა, ოღონდ მიწაში ჩაფლული. რითი ამოიღებდა წერაქვი და ძალაყინი არ ჰქონდა. კატია შეეცადა ხელით მოეყანყალებინა. მოეჩვენა, რომ ქვა მიწაში მაგრად არ იჯდა დაღერით ქვის ამოთხრას შეეცადა. როგორც შეძლო მიწა შემოუთხარა და ქვა მოარყია. ქვა დანებდა- გაჭახუნდა, თითქოს ნუჟრი გადატყდა. ქვა დიდი არ იყო, ფილისმაგვარი. სიგანით ხელის მტევნის ოდენა, სისქით სამი თითი, სიგრძით კი არა უმეტეს ორი მეოთხედისა. კატიას გაუკვირდა: -ზუსტად ასეთს ვფიქრობდი. გავხერხავ, ბალთებს გავაკეთებ, უმნიშვნელო დანაკარგი იქნება.

ბალთები გააკეთდა და გაუკვირდა, რომ ქვა ბარაქიანი გამოდგა. ფიქრობდა, ნაკეთობა სად ჩაებარებინა. პროკოპიჩს ასეთი წვრილმანი ნივთები ქალაქში მიჰქონდა და ერთ დუქანში აბარებდა. ამ დუქნის შესახებ კატიას ბევრი სმენოდა და ქალაქში წასვლა გადაწყვიტა.

ქოხი გამოკეტა და გზას ფეხით დაადგა. პოლევოიში არც კი შეუმჩნევიათ, რომ ის ქალაქში მიდიოდა. კატიამ გაიგო სად იყო დუქნის პატრონი, ვინც პროკოპიჩიდან ნაკეთობებს იბარებდა და პირდაპირ მასთან მივიდა.

დუქანში ბევრი ხალხი ირეოდა. ვინ ყიდულობდა, ვინ აბარებდა.

კატიას შევლისაც კი შეეშინდა, მერე გაბედა და იკითხა:

-არ გინდა მალაქიტის ბალთები?

-ვერ ხედავ, რამდენი მაქვს?-უფროსმა კარადაზე მიუთითა.

ოსტატებმა, რომლებიც თავიანთ ნაკეთობებს აბარებდნენ, უფროსს მხარი აუბეს:

-ახლა, ამ ნაკეთობებს ბევრი ოსტატი აკეთებს, მხოლოდ ქვას ამუშავებენ. ის კი არ ესმით, რომ ბალთას ნაყში სჭირდება.

ერთი ოსტატი პოლევოიდან იყო. უფროსს ჩუმად უთხრა: -ეს გოგო სულელია. მეზობლებმა ჩარხთან დაინახეს.

უფროსმა კი ჰკითხა:

-აბა მაჩვენე, რა მიტანე?

კატიამ ბალთა მიაწოდა. უფროსმა დაათვალიერა, მერე კატიას მიაშტერდა და ჰკითხა:

-ვის მოჰპარე?

კატიას, რა თქმა უნდა ეწყინა და აღშფოთდა:

-რა უფლება გაქვთ უცხო ადამიანზე ასე ილაპარაკოთ? უყურეთ, თუ ბრმა არ ხართ! ვის შეიძლება ერთნაირი ნაყშიანი ამდენი ბალთა მოპარო? აბა თქვი: და დახლზე თავისი ნაკეთობები გადმოყარა.

უფროსმა და ოსტატებმა დაინახეს, რომ ყველას ერთნაირი ნაყში ჰქონდა-იშვიათი ნაყში. თითქოს ხის გულიდან გამოდის და მასზე ჩიტი ზის, ქვემოთაც ჩიტი ზის. აშკარად ჩანს, რომ სუფთა ნახელავია. მყიდველებს ლაპარაკი მოესმათ და ბალთების დათვალიერება მოინდომეს, მაგრამ უფროსმა შეფუთა და დამალა. დახლზე რაც ეწყო შუშის ქვეშ დაალაგა და მყიდველებს შესთავაზა.

კატიას კი უთხრა:

-იმ კარში შედი ფულს მოგცემ.

კატია შევიდა, უფროსიც უკან მიჰყვა, კარი ჩაკეტა და ჰკითხა:

-რამდენად აბარებ?

კატიას პროკოპიჩისაგან ფასები ახსოვდა და ასეც უთხრა. უფროსმა გადაიხარხარა:

-შენ რა! ამ ფასს ერთ პოლევოელ ოსტატს-პროკოპიჩს და მის შვილობის დანილოს ვუხდიდი. აი, ოსტატები იყვნენ!

-მე იმ ოჯახიდან ვარ!

-უყურე ერთი, ეტყობა დანილოს ნამუშევარი დაგრჩა?-გაუკვირდა უფროსს.

-არა, ჩემია.

-ქვაც მისგან დაგრჩა?

-ქვაც მე მოვიპოვე.

უფროსმა ეტყობა არ დაიჯერა, მაგრამ არ შეევაჭრა, პატიოსნად იანგარიშა და უთხრა:

-თუ კიდევ ასეთს გააკეთებ-მოიტანე, აუცილებლად მივიღებ და ღირსეულ ფასს დავადებ.

კატია გახარებული წამოვიდა.

უფროსმა ბალთები შუშის ქვეშ დაალაგა. მყიდველები მისცვივდნენ:

-რამდენი?

მან ათჯერ მეტი ფასი დაადო, თანაც ურჩევდათ:

-ასეთი ნაყში ჯერ არ ყოფილა. პოლევოელ ოსტატ დანილკოს ნახელავია. უკეთესს ვერ გააკეთებ.

კატია სახლში დაბრუნდა, უკვირდა: - ყველაზე კარგი ჩემი ბალთები აღმოჩნდა! კარგი ქვა შემხვდა. ბედნიერი შემთხვევა იყო და გაიფიქრა: „ნუთუ დანილკომ მიმანიშნა?" გზიდან გადაუხვია და გველის გორაკზე წავიდა.

მალაქიტის ის ოსტატიც, რომელსაც ქალაქის ვაჭრის თვალში კატიას დამცირება უნდოდა, სახლში ბრუნდებოდა. შურდა, რომ კატიას ასეთი იშვიათი ნაყში გამოუვიდა და მოიფიქრა: -უნდა დავაკვირდე ქვას საიდან იღებს. იქნებ პროკოპიჩმა და დანილკომ ახალი ადგილი მიუთითეს.

დაინახა, რომ კატია სადღაც გაქრა და უკან მიჰყვა. ხედავს, რომ გუმეშკის მთას გვერდი აუარა და გველის გორაკზე წავიდა. ეს ოსტატიც უკან მიჰყვა და თან ფიქრობდა: „-იქ ტყეა, ორმოში დავიმალები."

შევიდნენ ტყეში. კატია სულ ახლოს მიდიოდა და არ ფრთხილობდა. ოსტატს უხაროდა, რომ ახალ ადგილს იოლად იპოვიდა. უცებ ახლოს რაღაც ხმაური მოესმა, ისე, რომ შეეშინდა კიდეც. გაჩერდა. რა არის? სანამ გაერკვეოდა- კატია გაქრა. ტყეში ეძებდა. ძლივს გამოაღწია ჩრდილოეთის ტბორთან გუმეშაკიდან ორი ვერსის [10] მანძილზე.

კატია ვერც კი მოიფიქრებდა, რომ უთვალთვალებდნენ. გორაკამდე მიაღწია. იმ ადგილს, სადაც პირველად ქვა აიღო, ორმო თითქოს გაფართოებულიყო და შიგნით ზუსტად ისეთივე ქვა ჩანდა. მოაყანყალა, მოაძრო და ისეთი ჭახანის ხმა გაისმა, თითქოს ნუჟრი გადატყდა. კატიამ ქვა აიღო და ატირდა, მოსთქვამდა როგორც ქალებმა მიცვალებულებზე იციან: -ჩემო საყვარელო გულითადო მეგობარო,

[10] ვერსი - უდრის 1060 მეტრს.

ვისთვის დამტოვე... მოიტირა და ჩაფიქრდა. საბადოს მხარეს გაიხედა. ეს ადგილი მინდორს ჰგავდა, ირგვლივ უღრანი ტყე, საბადოს მხარეს კი გამეჩხერებულიყო. ეს მინდორი მზისგან ისე იყო განათებული, რომ ქვები ელვარებდნენ.

კატია ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. უნდოდა ახლოს მისულიყო, ნაბიჯი გადადგა და უცებ ფეხქვეშ მიწა გამოეცალა... მაღალი ხის კენწეროზე იდგა, ხეებს შორის ველობზე ბალახები და ყვავილები ჩანდა, აქაურს არ ჰგავდნენ.

კატიას ადგილას სხვას შეეშინდებოდა, აყვირდებოდა, მან კი სულ სხვა რამ გაიფიქრა: „-აი მთა გაიხსნა, ნეტავ დანილკო დამანახვა!"

გაიფიქრა თუ არა, დაინახა რომ ქვემოთ ველობზე ვიღაც მოდის, დანილკოს ჰგავს, ხელებს იქნევს ზემოთ, თითქოს რაღაცის თქმა უნდა. კატიამ მისკენ გაიწია, ხიდან გადავარდა და იქ დაეცა, სადაც იდგა. გამოერკვა და გაიფიქრა: „-ალბათ, მაცდურია, სასწრაფოდ სახლში უნდა დავბრუნდე."

წასვლა კი უნდოდა, მაგრამ ვერ დგებოდა. იცდიდა, მთა კიდევ გაიხსნებოდა თუ არა და დანილკო კიდევ მოეჩვენებოდა. დაბინდებამდე ასე იჯდა, მერე სახლისკენ გამობრუნდა, თან ფიქრობდა: „-დანილკო მაინც ვნახე".

ის ოსტატი, რომელიც კატიას უთვალთვალებდა, ამ დროს სახლში ბრუნდებოდა და დაინახა, რომ კატიას ქოხი დაკეტილია. უნდოდა-ჩუმად ენახა კატია რას მოიტანდა. ამ დროს კატია მიუახლოვდა. მან გზა გადაუჭრა და ჰკითხა:

-სად იყავი?

-გველის გორაკზე.

-ღამით? იქ რას აკეთებდი?

-დანილკო ვნახე.

ოსტატი მეორე დღეს საბადოზე მივარდა და ხალხი აჩურჩულდა: -მკვდრის საცოლე სულ შეირყა. ღამე გველის გორაკზე დადის, მიცვალებულს ელოდება. აქამდე ხანძარი როგორ არ გააჩინა?

და-ძმებმა გაიგეს და მიირბინეს. კატიას ჭკუას არიგებდნენ, მას კი გაგონებაც არ უნდოდა. ფული აჩვენა და უთხრა: -როგორ ფიქრობთ, საიდან მაქვს? კარგი ოსტატებიდან არ იღებენ, ჩემს პირველ ნაკეთობაში კი რამდენი მომცეს! რატომ?

ძმებმა მისი წარმატების შესახებ რომ გაიგეს-უთხრეს:-ბედნიერი შემთხვევაა.

-ასეთი შემთხვევები არ არსებობს. მე დანილკომ მაპოვნინა, შესაფერისი ქვაა და ნაყშიც კარგი გამოვიდა.

ძმებმა გაიცინეს, დები ხელებს ასავსავებდნენ: -სწორედ რომ შეირყა! ზედამხედველს უნდა ვუთხრათ, რომ ხანძარი არ გააჩინოს!

რა თქმა უნდა, არ უთხრეს, შერცხვათ და არ დაასმინეს, მხოლოდ, მოილაპარაკეს, რომ კატერინასთვის ეთვალთვალათ და სადაც წავიდოდა უკან გაჰყოლოდნენ.

კატიამ შინაურები გააცილა და კარები ჩაკეტა. ახალი ქვის გახერხვა დაიწყო და ხმაზე მიხვდა, რომ არ მოეჩვენა და დანილკო მართლაც ნახა.

ქვის გახერხვა ეჩქარებოდა, რათა ენახა როგორი ნაყში გამოვიდოდა. უკვე დაღამებულიყო, კატია მაინც ჩარხთან იჯდა. ამ დროს ერთ დას გამოეღვიძა, კატიას ქოხში შუქი შენიშნა, ფანჯარასთან მიირბინა და დარაბებს შორის გაიხედა და გაუკვირდა: - არ ეძინება! დასჯილია!

კატიამ ქვის ნაჭერი დახერხა და ნაყში გამოჩნდა, საუკეთესო: ჩიტი ხიდან ქვემოთ ჩამოფრინდა, ფრთები გაშალა, ქვემოდან სხვა ჩიტი მოფრინავდა. ეს ნაყში ხუთჯერ მეორდებოდა. კატიას მონიშნული ჰქონდა განივად სად უნდა გაეხერხა. უცებ ქვას ხელი სტაცა და სადღაც გაიქცა. და უკან მიჰყვა, გზად ძმებსაც მიუკაკუნა, ხალხიც შეყარეს. უკვე თენდებოდა. დაინახეს, რომ კატიამ გუმეშაკის მთას გვერდი აუარა და მირბოდა. ყველა მას გამოეკიდა, ის კი ვერ ხვდებოდა, რომ უკან მისდევდნენ. საბადო გადაირბინა და გველის გორაკს წყნარად შემოუარა. ხალხი შეყოვნა, იცდიდნენ კატია რას მოიმოქმედებდა.

ის კი გორაკზე ავიდა, ირგვლივ მიმოიხედა და თვალით უნახავი ტყე დაინახა. ხეს ხელით შეეხო, ის ცივი იყო და გლუვი, როგორც გაშლიფული ქვა. ბალახიც ქვისა იყო. ბინდდებოდა. კატიამ გაიფიქრა: „-ალბათ მთაზე მოვხვდი.”

შინაურებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს:

-სად გაქრა? აქ ახლოს იყო.

დარბოდნენ, ფაციფუცობდნენ, ზოგმა მთას ირგვლივ შემოუარა, ერთმანეთს გადასძახებდნენ: -მანდ არ ჩანს?

კატია გაქვავებულ ტყეში დადიოდა და ფიქრობდა დანილკო როგორ ენახა. იარა, იარა დაიყვირა:

-დანილკო გამომეხმაურე!

ტყეში გამოძახილი გაისმა. ლაწალუწს ჰგავდა.

-არ არის! არ არის! არ არის!

შეჩერდა და ისევ დაიძახა:

-დანილკო გამომეხმაურე!

ტყეში ისევ გაისმა:

-არ არის! არ არის! არ არის!

კატია ისევ:

-დანილკო გამომეხმაურე!

აქ კატიას მთის ქალბატონი წარუდგა.

-შენ ჩემს ტყეში რატომ შემოხვედი? - ჰკითხა ქალბატონმა. -რა გინდა? კარგ ქვას ეძებ? ნებისმიერი აიღე და სასწრაფოდ წადი!

-მე შენი მკვდარი ქვა არ მჭირდება! ცოცხალი დანილკო დამიბრუნე. სად გყავს დამალული? რა უფლება გაქვს სხვისი საქმროები გადაიბირო!

-აი, გაბედული ქალიშვილი! პირდაპირ პირში მეცა.

მთის ქალბატონი მშვიდად იდგა:

-კიდევ რას იტყვი?

-აი რას, -დანილკო დამიბრუნე! ის შენთან არის ...

ქალბატონმა გადაიხარხარა და თქვა:

-შე სულელო გოგო, იცი ვის ელაპარაკები?

-ბრმა არ ვარ, გხედავ, შენი არ მეშინია, იოტისოდენა არ მეშინია, გამყრელო, როგორ არ უნდა იეშმაკო, დანილკო ჩემსკენ წამოვა, მე თვითონ ვნახე.

აქ ქალბატონმა უთხრა:

მოვუსმინოთ, რას იტყვის?

უცებ ტყის ბინდში თითქოს განათდა. ბალახი სხვადასხვაფერად ელვარებდა, ხეებს შორის ველები ჩანდა, სადაც ქვის ყვავილებზე ოქროს ფუტკრები ბზუოდნენ. თვალთ უნახავი სილამაზეა. კატიამ დაინახა, რომ დანილკო მისკენ მორბის და კატიაც მისკენ გაიქცა.

-დანილკო!

-დაიცადე, -უთხრა ქალბატონმა და ჰკითხა:

-აბა დანილო-ოსტატო, აირჩიე როგორ გინდა. მასთან წახვალ-მე დამივიწყებ, აქ დარჩები-ის უნდა დაივიწყო.

-არ შემიძლია ხალხის დავიწყება, კატია კი ყოველთვის მახსოვს.-მიუგო დანილომ.

ქალბატონს გაეღიმა და უთხრა:

-კატერინა, შემ აგირჩია! წაიყვანე შენი ოსტატი. შენი სიმტკიცე და სიმარჯვე-აი, რითი დასაჩუქრდა. დაე, მე დანილოს მეხსიერებაში დავრჩე.

მხოლოდ ეს ყველაფერი მტკიცედ დაივიწყოს და უცნაურყვავილებიანი მდელო უცებ გაქრა.

-ახლა, გზას იმ მხარეს გაუდექით,- მიუთითა ქალბატონმა და კიდევ გააფრთხილა:

-დანილკო მთის შესახებ ხალხს არაფერი უთხრა, თქვი, რომ სასწავლებლად შორეულ ოსტატთან წახვედი, შენ კი კატერინა არც კი იფიქრო, რომ შენი საქმრო გადავიბირე, თვითონ მოვიდა იმისათვის რაც ახლა დაავიწყდა.

კატიამ თაყვანი სცა:

-მაპატიე, თუ გაწყენინე.

-კარგი, -მიუგო ქალბატონმა.

კატია დანილოსთან ერთად ტყეში შევიდა, ფეხქვეშ მიწა ოღროჩოღრო: ბორცვები და ორმოები. ბნელოდა. მიმოიხედეს და გუმეშაკის მთის საბადოზე აღმოჩნდნენ. ადრიან დილას ხალხი ჯერ არ მოსულიყო. წყნარად სახლში დაბრუნდნენ. ისინი კი, ვინც კატიას ტყეში აედევნა, ისევ ტყეში დახეტიალობდნენ და ერთმანეთს გადასძახებდნენ:

-მანდ არ ჩანს?

ეძებეს, ეძებეს, ვერ იპოვეს. სახლში მობრუნდნენ და დაინახეს, რომ დანილო ფანჯარასთან ზის.

რა თქმა უნდა, შეეშინდათ და ლოცვა დაიწყეს. მერე დაინახეს, რომ დანილომ ჩიბუხი დატენა. გამობრუნდნენ. გაიფიქრეს: -„გარდაცვალებული ჩიბუხს როგორ მოსწევს?"

ერთი მეორის მიყოლებით ფანჯარას მიუახლოვდნენ. დაინახეს, რომ კატიაც ქოხშია. მხიარული ღუმელთან ფაციფუცობს, ფუსფუსებს. დიდი ხანია ასეთი არ ენახათ, გაბედეს და ქოხში შევიდნენ. შეეკითხნენ:

-დანილო, აქამდის არ ჩანდი.

-კოლივანში ქვის ოსტატთან ვიყავი. ხელობის გაუმჯობესება მოვინდომე. გარდაცვლილ მამილოს უნდოდა გადამეფიქრებინა, მე კი თვინებურად-საიდუმლოა წავედი. კატიას ახლა ვუთხარი.

-შენი თასი რატომ გატეხე?

-ცოტა რამ ხდება. წვეულებიდან ნასვამი წამოვედი. ვერც ვიფიქრებდი, ხელი ავიქნიე და... ეს ყველა ოსტატს შეემთხვევა. სათქმელადაც არ ღირს!

აქ და-ძმები კატიას მიუბრუნდნენ და უსაყვედურეს, კოლივანის შესახებ, რატომ არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. მაშინვე მოუჭრა: -როცა სხვისი ძროხა ბღაოდა, ჩემი დუმდა. გეუბნებოდით, დანილო ცოცხალი რომ იყო. თქვენ კი საქმროებს მთავაზობდით და გზიდან მაცდენდით! სჯობს მაგიდას მივუჯდეთ, ჩემი ერბოკვერცხი შეიწვა.

ამით მორჩა საქმე. შენაურები ცოტახანს ისხდნენ, ილაპარაკეს და თავთავიანთკენ წავიდ-წამოვიდნენ. საღამოს დანილო ზედამხედველთან გამოცხადდა. მან ცოტა „იხმაურა", მაგრამ მერე საქმე მოგვარდა.

აი, დანილომ და კატიამ ერთად დაიწყეს ცხოვრება. ამბობდნენ თანხმობით ცხოვრობდნენ. დანილოს ყველა მთის ოსტატს ეძახდა. მის წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს აკეთებდა. შემოსავალიც გამოუჩნდათ. მხოლოდ ის იყო, რომ დანილო ხანდახან ჩაფიქრდებოდა. კატია, რა თქმა უნდა, ხვდებოდა რაზეც დუმდა.

პაწაწინა ყლორტი

დანილოს და კატიას, რომელმაც მთის ქალბატონიდან საქმრო დაიხსნა, ბევრი შვილი ეყოლათ-რვა ბიჭი. დედა არაერთხელ ტიროდა იმაზე, რომ თუნდაც ერთი გოგო ყოლებოდა. მამა კი აღნიშნავდა: -ალბათ, ასეთია ჩვენი ბედი. ბავშვები ჯანმრთელად იზრდებიან, მხოლოდ ერთი არ იყო ბედნიერი: კუზი ეზრდებოდა. უსწორებდნენ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. ასე კუზიანს მოუწია მზისქვეშეთში ჭაპან-წყვეტა. ასეთ შემთხვევებში ბავშვები ბოროტები ხდებიან, მაგრამ ეს მხიარულად იზრდებოდა, საზრიანი და მოხერხებული იყო. მესამე შვილი იყო და ყველა ძმა მას ეკითხებოდა და უსმენდა: -მიტია, შენ რას ფიქრობ? შენი აზრით, ეს რისთვისაა?

დედ-მამა შეუძახებდა ხოლმე:

-მიტუშკა! მოიხედე! შენი აზრით კარგია?

-მიტუშკა თითისტარი არ შეგიმჩნევია სად დავდე?

მიტუშკას მამის მსგავსად ბუკის დაკვრა ემარჯვებოდა. ესეც სტვირს აკეთებდა და თვითონ მღეროდა.

დანილო თავისი ხელობით კარგად გამოიმუშავებდა, კატიაც უსაქმოდ არ ჩერდებოდა. ოჯახი მოაწყეს, წელი მოიმაგრეს, ხელი გაშვერილი არ ჰქონდათ, მოწყალებას არ თხოულობდნენ, სამუშაო ტანსაცმელზე კატია ზრუნავდა. ყველაფერი თავის დროზე ჰქონოდათ. ზამთარში: თექის ჩექმები, ქურქები და სხვა. ზაფხულში ფეხშიშველი სიარული შეიძლებოდა. ტყავი საყიდი არ ჰქონდათ და მიტუშკას, რომელიც ყველაზე საწყალი იყო, ჩექმები შეუკერეს. ეს უფროსს ძმებს არ შურდათ, უმცროსები კი დედას თვითონ ეუბნებოდნენ -დედიკო, დროა მიტიას ახალი ჩექმები შევუძინოთ. ხედავ ფეხზე აღარ ეტევა, მე კი კარგად მექმება. თავის მხრივ ბავშვები ეშმაკობდნენ, რათა მიტიას ჩექმები დაესაკუთრებინათ. ყველა ჩაცმული დაუდიოდათ, რაც მეზობლებს აკვირვებდა:- კატერინას რა ბავშვები ჰყავს! ერთხელაც არ წაკინკლავდებიან.

ამის მთავარი მიზეზი მიტუშკა იყო. ის ოჯახში ტყის კოცონივით ენთო. ზოგს გაამხიარულებდამ ზოგს შეახურებდა, ზოგს დააფიქრებდა.

დანილო გარკვეულ დრომდე ბავშვებს თავის ხელობას არ აკარებდა:

-დაე, გაიზარდნენ, მოასწრებენ მალაქიტის მტვრის ყლაპას.

კატიაც ქმარს ეთანხმოებოდა: -ჯერ ნაადრევია ხელობის დაუფლება. და კიდევ მოიფიქრა, რომ შვილებისათვის წერა-კითხვა და ანგარიში ესწავლებინა. მაშინდელ დროში სკოლები არ იყო და უფროსმა ძმებმა რომელიღაც ოსტატ ქალთან დაიწყეს მეცადინეობა. მიტიაც მათთან ერთად სწავლობდა. ოსტატი ქალი ბავშვებს აქებდა, მიტია კი საუკეთესო იყო. ოსტატი სანამ მიუთითებდა ის უკვე იაზრებდა. როცა ძმები სიტყვას მარცვლიდნენ, ის უკვე კითხულობდა. ოსტატს არაერთხელ უთქვამს:- ასეთი მოსწავლე ჯერ არ მყოლიაო.

ამ დროს დედ-მამა ცოტა გათამამდა და მიტუშკას ჩექმები შეუძინეს. ამ ჩექმებმა მათ ცხოვრებაში სრული გადატრიალება გამოიწვია.

იმ წელს ბატონი უმეტესად საბადოზე ცხოვრობდა. სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოვიდა. საბადოზე ფული ძნელი საშოვარი იყო, ზედამხედველები ქურდობდნენ, ხოლო ბატონი ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ერთხელ ბატონი ქუჩაში მიდიოდა და დაინახა ერთ ქოხთან სამი ბავშვი თამაშობდა და ყველას ჩექმები ეცვა. ბატონმა თითით მოიხმო.

მიტენკას ბატონი აქამდე არ ენახა, მაგრამ მიხვდა. რჩეული ცხენები, ფორმიანი მეეტლე, გალაქული ეტლი და მთასავით მაღალი, ჩასუქებული მგზავრი, ტორტმანებდა და ხელში ოქროს ბუნიკიანი ჯოხი ეჭირა.

მიტენკა ცოტა შეკრთა, მაგრამ ძმებს ხელი ჩაჰკიდა და ეტლთან ახლოს მივიდა. ბატონმა ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა:

-ვისი ხართ?

მიტენკამ, როგორც უფროსმა, წყნარად აუხსნა:

-ქვისმჭრელ დანილოს შვილები ვართ, მე მიტია მქვია, ესენი კი ჩემი უმცროსი ძმებია.

ამ სიტყვების თქმა ძლივს მოასწრო, რომ ბატონი კინაღამ დაიღრჩო, მხოლოდ ხროტინებდა: -ოხ! ოხ! ოხ! რას აკეთებენ! ოხ!

მერე, ეტყობა, სული მოითქვა და დათვივით დაიღრიალა: -ეს რა არის? და ბავშვებს ჯოხით ფეხზე მიანიშნა. უმცროსებს შეეშინდათ და ქოხში შეცვივდნენ, მიტენკა კი იდგა და ხვდებოდა ბატონი რას ეკითხებოდა.

ის კი თავისას იმეორებდა და ავად ღრიალებდა: -ეს რა არის?

მიტენკამ მორიდებულად მიუგო: -მიწა.

ბატონი გაშეშდა და ამოიხრიალა: -ხრ, რ, ხრ-რ. სადამდე მივიდა! სადამდე მივიდა, ხრ-რ, ხრ-რ.

ამ დროს დანილკო ქოხიდან გამოვარდა, მაგრამ ბატონი არ გამოელაპარაკა, მეეტლეს კისერში ბუნიკი ჰკრა და -გარეკე!

ეს ბატონი ჭკუაზე ვერ იყო. ახალგაზრდობაშიც ამჩნევდნენ, მაგრამ სიბერეში გაუგებარი გახდა. ვინმეს დაეტაკებოდა და მერე თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა. დანილო და კატერინა ფიქრობდნენ, რომ საქმე მოგვარდებოდა, ბავშვები სახლში მისვლამდე დაავიწყდებოდა, მაგრამ ბატონს ბავშვების ჩექმები არ დავიწყებია. პირველად ზედამხედველს დასცხო:-შენ სად იყურები? ბატონს ფეხსაცმელი ვერ უყიდია, ყმები კი თავის ბავშვებს ჩექმებში ატარებენ! ამის შემდეგ როგორი ზედამხედველი ხარ!

მან აუხსნა:- ბატონის ნებით დანილო ბეგარაზეა გაშვებული და მითითებულია რამდენი უნდა ავიღოა და როგორც ვფიქრობ, სწორად იხდის.

-შენ კი არ უნდა ფიქრობდე, უნდა უყურებდე! აი, საქმე სადამდე მივიდა! სად გაგონილა! ოთხმაგი ბეგარა დაუნიშნეთ.

მერე დანილო გამოიძახა და თვითონ აუხსნა. დანილო ხედავს, რომ შეუსაბამობაა და უთხრა:

-ყმობიდან ვერ გავთავისუფლედები და ასეთი ბეგარის გადახდაც არ შემიძლია, თქვენი ბრძანებით, ისე ვიმუშავებ როგორც სხვები.

ბატონს ფული არ ჰყოფნიდა. წინა წლებიდან მორჩენილიდან რაიმე გაეყიდა არ უნდოდა. ქვისმჭრელის სხვა საქმეზე გადაყვანაც არ უნდოდა. მოურიგდა. დანილკოს წინააღმდეგობის მიუხედავად, ორმაგი ბეგარა დაუნიშნა. თუ არ გინდა-მტაზე! აი ასე მოიმწყვდია!

დანილოს და კატიას საქმე ცუდად წაუვიდათ. ყველა ავიწროებდათ. ბავშვებს უფრო მეტად. მუშაობას შეუდგნენ, სწავლა ვერ გააგრძელეს. მიტენკა თავს დამნაშავედ გრძნობდა და საქმისკენ იწევდა, უნდოდა დედ-მამას მიხმარებოდა, ისინი კი ფიქრობდნენ: „-ჯანმრთელი ისედაც არ გვყავს და მალაქიტზე რომ ვამუშაოთ, სულ გამოიფიტება, საზიანო საქმეა. მდუღარე ფისს შეისუნთქავ თუ ღორღს დაჩეჩქვავ-თვალს უნდა უფრთხილდე, ლაქისათვის ძლიერ არაყთან ერთად კალას მოადუღებ-ორთქლით გაიგუდები.”

იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს, რომ მიტენკას ქვის დაწახნაგება ასწავლონ: მახვილი თვალი აქვს, მოქნილი თითები და ძალაც დიდი არ სჭირდება-მისთვის შესაფერისი საქმეა.

მთლელი ნათესაობაში ჰყავდათ მასთან მოაწყვეს. მთლელს გაუხარდა, რადგან იცოდა, რომ ბიჭი საზრიანი იყო.

ეს მთლელი საშუალო ოსტატი იყო. ქვებს ნახევრად და მესამედ ფასად ამუშავებდა. მიტენკამ ყველაფერი ისწავლა, რაც ამ კაცმა იცოდა. ოსტატმა დანილოს უთხრა:-შენი ბიჭი ქალაქში გააგზავნე, დაე იქ გააუმჯობესოს თავისი ხელობა. მარჯვე ხელი აქვს.

ასეც მოიქცნენ. დანილოს ქალაქში ნაცნობი ქვისმთლელი ჰყავდა. ნახა, ვინც უნდოდა და მიტენკა მასთან მოაწყო. ეს მოხუცი ოსტატი ქვის კენკრას აკეთებდა. მაშინ მოდაში იყო ქვისგან კენკრის გაკეთება: ყურძენი, მოცხარი, ჟოლო და სხვა. დადგენილი იყო რომ მოცხარს აქატისაგან აკეთებდნენ, მარწყვს-სორგუის იასპისაგან, მაყვალს-შავი ტურმალინისაგან. ერთი სიტყვით, სხვადასხვა კენკრას თავისი ქვა ჰქონდა განსაზღვრული. ფესვებსა და ფოთლებსაც თავისი წესი ჰქონდა. ზოგი მალაქიტისაგან კეთდებოდა, ზოგი-როდონიტისაგან ან სხვა რომელიმე ქვისაგან.

მიტენკამ ეს წესი კარგად აითვისა, მაგრამ სიახლესაც მოიფიქრებდა ხოლმე. ოსტატი ჯერ აბუზღუნდებოდა, მერე შეაქებდა:-მგონი, უფრო ნამდვილივით გამოდის.

ბოლოს, პიდაპირ უთხრა:-ვხედავ, ამ საქმის ნიჭი გაქვს, მე მოხუცი შენგან ვსწავლობ, უკვე ოსტატი ხარ და თანაც გამომგონებელი.

მერე ცოტა ხანს გაჩუმდა და დაარიგა:-ეს ყოველთვის არ გაახმაურო- გამოგონებაა. ამისათვის ხელი არ მოგტეხონ. იყო ასეთი შემთხვევები.

მიტენკამ ამას ყურადღება არ მიაქცია, კიდეც გაეცინა:-თუ კარგი გამოგონებაა, ხელებს ვინ მომამტვრევს?

ასე გახდა მიტია ოსტატ. ჯერ ისევ ახალგაზრდა-ულვაშები ახლა ამოსდიოდა. შეკვეთები ბევრი ჰქონდა. მედუქნეები მაშინვე მიხვდნენ, რომ ამ ბიჭისაგან სარგებელს ნახავდნენ და შეკვეთის მიცემას ერთი მეორეს ასწრებდა. მიტენკამ მოიფიქრა: -სახლში წავალ. თუ საჭირო ვიქნები, იქაც მომძებნიან. შორი გზა არ ჰქონდა, ტვირთი პატარა-მასალა საქმისათვის.

ასეც მოიქცა. ოჯახს მიტიას დაბრუნება ძალიან გაუხარდა. ის ყველას ამხიარულებდა, თვითონ კი მოწყენილი იყო. მათუ ქოხი მალაქიტის სახელოსნოდ გადაიქცა. მამა და ორი უფროსი ძმა ჩარხებს უსხდნენ, უმცროსი ძმები კი, იქვე-ზოგი ხერხავდა, ზოგი შლიფავდა. დედის ხელში კი დიდი ხნის ნანატრი, წლის გოგო ფანცქალებდა, მაგრამ ოჯახს არ უხაროდათ. დანილო უკვე მოხუცს ჰგავდა, უფროსი ძები ახველებდნენ, უმცროსების შეხედვა არ გაგიხარდებოდათ. ყველა ბატონის ბეგარისათვის მუშაობდა.

„ყველაფერი იმ ჩექმების გამო მოხდა”-გაიფიქრა მიტუამ.

სჯობს თავისი საქმე ააწყოს: ჩარხები, ხელსაწყოები, ადგილიც სჭირდება.

ფანჯრის პიდაპირ მოეწყო და საქმეში ჩაეფლო. თავისთვის ფიქრობდა: „-როგორ მივაღწიო, რომ აქაური ქვებისაგან კენკრა გავაკეთო? უმცროსებს ამაზე დავასაქმევ.”

ფიქრობს, ფიქრობს, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავს. ჩვენს მხარეში, უმეტესად, ქრიზოლითი და მალაქიტი მოიპოვება. ქრიზოლითი ძვირია და კენკრას არ მიესადაგება, მალაქიტი კი მხოლოდ ფოთლებისათვის გამოიყენება და არა ყოველთვის- ნაპირების მიწებება ჭირდება.

და აი, ერთხელ, ჩარხთან იჯდა, ღია ფანჯარასთან. ქოხში სხვა არავინ იყო. დედა სადღაც საქმეზე წავიდა, უმცროსები გაიქც-გამოიქცნენ, მამა და ძმები სახელოსნოში მუშაობდნენ. მათგან ხმა არ ისმოდა. ცნობილია, რომ მალაქიტზე მუშაობისას ვერც იმღერებ და ვერც ილაპარაკებ.

ზის მიტიუხა და ნაყიდი მასალისგან კენკრას ჩარხავს და ისევ იმაზე ფიქრობს აქაური რომელი იაფი ქვისაგან შეიძლებოდა ასეთი ნივთის გაკეთება?

უცებ ფანჯარაში ვიღაც ქალმა ხელი შემოყო, ხელზე ბეჭედი და სამაჯური ეკეთა და ჩარხზე სერპენტინის ფილა დადო და მასზე, როგორც ლანგარზე - ვულკანური ნაღვენთები.

მიტიუხა ფანჯარასთან მივარდა, მაგრამ ვერავინ დაინახა, ქუჩა ცარიელი იყო, თითქოს არავის გაევლო.

რა არის? ვინ იხუმრა? იქნებ მოჩვენებაა? ფილა გადაათვალიერა და სიხარულისაგან შეხტა. თურმე შესაძლებელია ამ მასალის გამოყენება, თუ მოვინდომებთ.

ფიქრობდა, თუ რომელი კენკრა მოუხდებოდა. თვითონ იმ ადგილს მიასტერდა, სადაც ხელი გამოჩნდა. და აი, ხელი კვლავ გამოჩნდა და ჩარხზე თარგამის ფოთოლი დადო, მასზე კი კენკრის სამი ყლორტი: შოთხვის, ალუბლის და მწიფე ხურტკმელის.

აქ უკვე მიტიუხამ ვერ მოითმინა და ქუჩაში გამოვარდა, უნდოდა გაეგო ვინ გაეხუმრა. მიიხედ-მოიცედა--არავინაა. პაპანაქება სიცხეში ქუჩაში ვინ გამოვიდოდა? იდგა, იდგა, მერე ფანჯარასთან მივიდა, ჩარხიდან ფოთოლი და ყლორტები აიღო და გაიხედ-გამოიხედა. კენკრა-ნამდვილი, მხოლოდ ერთზე განცვიფრდა-ალუბალი საიდან გაჩნდა. შორთხვი და ხურტკმელი ბატონის ბაღში ხარობდა, ალუბალი კი საიდან? ჩვენს მხარეში ასეთი კენკრა არ ხარობდა და ახალ მოკრეფილს კი ჰგავდა.

დაათვალიერა, ხურტკმელი უფრო მოეწონა, მასალაც უფრო შეეფერებოდა. ეს გაიფიქრა თუ არა, მხარზე ხელის შეხება იგრძნო და მოიხედა: „-ყოჩაღ! საქმე გემის!”

ბრმაც მიხვდებოდა ვისი ხელი იყო. მიტიუხა პოლევოიში გაიზარდა. რამდენჯერ სმენოდა მთის ქალბატონზე და გაიფიქრა: -„ოღონდაც დამენახოს”, მაგრამ არ შეუსრულდა. ალბათ შეიცოდა კუზიანი ბიჭი-შეეშფოთებინა თავისი სილამაზით-არ გამოეცხადა.

მიტიუხა სერპენტინის ფილის დამუშავებას შეუდგა. პირველად ხურტკმელის კენკრის ნახევრები გამოჩარხა. მერე შიგნით ამოჭრა და სადაც საჭირო იყო ღარები გაუკეთა, კვანძები დატოვა, ნახევრები შეაწება და მერე სუფთად გაშლიფა. ნამდვილ კენკრას ჰგავდა, ფოთლებიც სერპენტინისაგან გამოჩარხა, ფესვებად წვრილი ეკლები მიამაგრა. ერთი სიტყვით სანაქებო გამოვიდა. ყოველ კენკრაში წიპწიპა ჩანდა და ფოთლებიც ნამდვილს ჰგავდა, თანაც მცირე ზედით: თითქოს გახვრეტილია, სხვაზე ჟანგისფერი ლაქები გაუკეთა.

დანილო შვილებთან ერთად სხვა ქვაზე მუშაობდა, მაგრამ ამ საქმეშიც ერკვეოდა. დედამაც იცოდა ქვის დამუშავება. ყველას უკვირდა, რომ ასეთი უბრალო სერპენტინისაგან ასეთი კარგი კენკრა გამოვიდა. მიტიას თვითონაც უხაროდა.

მიტიამ ლავური ნაღვენთებისა და სერპენტინისაგან ბევრი შეკვეთა გააკეთა და ოჯახს კარგად მიეხმარა. ვაჭრებსაც არ ენანებოდათ და კარგ ფასს უხდიდნენ. მყიდველებიც, როგორც საუკეთესოს, მიტიუხას ნახელავს იტაცებდნენ. მიტიუხა კენკრის გაკეთებას ეშურებოდა, შოთხვიც გააკეთა, ალუბალიც, მწიფე ხურტკმელიც, მაგრამ პირველი ყლორტი არ გაყიდა, თავისთვის შეინახა, უნდოდა ერთი გოგოსთვის ეჩუქებინა.

გოგოები მიტიუხას ფანჯარას არ სცილდებოდნენ. ის მართალია კუზიანი, მაგრამ ენაწყლიანი და ხელგაშლილი იყო, მძივის მარცვლებს მუჭით აძლევდა. გოგოები ფანჯარასთან მოირბენდნენ ხოლმე, ერთი კი ყველაზე ხშირად მიდიოდა-კბილებს იხეხავდა, ნაწნავს ეთანაშებოდა. მიტიუხას უნდოდა თავისი ყლორტი მიეცა, მაგრამ ერიდებოდა: -„დასცინებდნენ, თვითონ კი ეწყინება.”

ბატონმა რომლის გამოც ცხოვრება უკუღმა დაუტრიალათ, იმ წელს თავისი ქალიშვილი ვინმე თავადზე თუ ვაჭარზე დანიშნა და მზითევს უგროვებდა. პოლევოის ზედამხედველს უნდოდა თავი გამოეჩინა. მიტიუხას ყლორტი ენახა და მისი ფასი იცოდა. თავის შიკრიკებს უბრძანა: -თუ არ მოგცემთ, ძალით წაართვით!

ეს მათთვის ჩვეული საქმე იყო. წაართვეს, ზედამხედველს მიუტანეს, მან კი ხავერდის კოლოფში შეინახა და როცა ბატონი პოლევოიში მობრძანდა ზედამხედველმა მაშინვე მიართვა: -მიიღეთ საჩუქარი საპატარძლოსათვის, შესაფერისი ნივთია.

ბატონმა დახედა, მოეწონა და იკითხა:

-რომელი ქვებისაგან არის გაკეთებული და რა ღირს?

-გასაკვირი ის არის, რომ უბრალო მასალისაგან, სერპენტინისაგან და ნაღვენთებისაგან.

-რა? როგორ? ნაღვენთებისაგან ჩემს ქალიშვილს?

ზედამხედველმა იგრძნო, რომ საქმე ცუდად ჰქონდა და რისხვა ოსტატისკენ მიმართა:- ეს მან თაღლითმა შემომაჩეჩა, მე როგორ გავბედავდი.

ბატონი კი ხრიალებს: -ოსტატი მოათრიეთ! ოსტატი მოათრიეთ!

მოათრიეს და ბატონმა ოსტატი იცნო. -ეს ის არის, ჩექმებში რომ იყო...

მიტიუხას ჯოხით მიეჭრა.-როგორ გაბედე!

მიტიუხამ პირველად ვერც კი გაიგო, მერე გაიაზრა და პირდაპირ უთხრა:

-ზედამხედველმა ძალით წამართვა, პასუხი მან აგოს.

-მე შენ გიჩვენებ-ისევ ხრიწინებდა ბატონი.

მერე მაგიდიდან ყლორტს ხელი სტაცა და იატაკზე დაახეთქა, ფეხით გასრისა. მტვერი დადგა.

მიტიას ელდა ეცა. ვის გაუხარდებოდა, რომ თავისი ძირფასი ნამუშევარი დაუმტვრიონ. მერე ბატონის ჯოხს ბოლოში ხელი სტაცა და ბუნიკი შუბლში ხეთქა. ბატონი იატაკზე ჩაჯდა და თვალები გადმოკარკლა.

გასაოცარი რამ მოხდა: ოთახში ზედამხედველები და მსახურები-ყველა გაქვავდა. მიტიუხა გამოვიდა და სადღაც დაიკარგა. ვერ იპოვეს. მის ნამუშევარს ხალხი ცნობდა.

ნიშანდობლივია, რომ ის გოგო, რომელიც მიტიუხას ფანჯრის წინ კბილებს იხეხავდა, საბოლოოდ დაიკარგა.

ამ გოგოს დიდხანს ეძებდნენ. ფიქრობდნენ, რომ მალე იპოვნიდნენ, რადგან ქალებს თავისი სახლიდან შორს წასვლა არ ჩვევიათ. მის მშობლებს კი შეუტიეს:- ადგილი გვიჩვენე!

ვერაფერი გაარკვიეს.

დანილო ბიჭებთან ერთად შეავიწროეს. მეტი ბეგარა მოსთხოვეს. მერე დაუთმეს. ბატონს კი რამდენიმე ხანს სული ეხუტებოდა და მალე ქონმა დაახრჩო.

დიდი მცურავი

ჩვენთან ერთი კაცი ცხოვრობდა. ლევონტის ეძახდნენ. უთქმელი, გულმოდგინე მუშაკი იყო. ახალგაზრდობიდანვე გუმეშაკის მთაზე მუშაობდა, სპილენძის მადანს მოიპოვებდა. თავისი ახალგაზრდობის წლები მიწისქვეშ გაატარა. როგორც ჭიაყელა, ისე დაძვრებოდა. მზის შუქი ენატრებოდა, სულ გამწვანდა. ძნელია მთაზე მუშაობა: სინესტე, დახუთულობა, წყვდიადი. დასუსტდა კაცი. ზედამხედველი ხედავს, რომ მისი შრომიდან არაფერი გამოდის და გადაწყვიტა სხვა სამუშაოზე გადაეყვანა. ლევონტიმ ოქროს სახიზინო საბადოზე დაიწყო მუშაობა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.ზედამხედველმა უყურა, უყურა და უთხრა:

-აი რა გითხრა, გულმოდგინე კაცი ხარ, ბატონს ვუთხარი შენზე და გადაწყვიტა ყმობიდან უსასყიდლოდ გაგათავისუფლოს, რათა შენთვის იშრომო ღალის გარეშე.

იმ დროს ასე იქცეოდნენ. კაცი რომ დაჩაჩანაკდებოდა, ყმობიდან ათავისუფლებდნენ.

ასე განთავისუფლდა ლევონტი. მაგრამ რითი უნდა ერჩინა თავი ან ოჯახი, როცა მეურნეობა არ ჰქონდა. იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა ოქრო მოეპოვებინა. ეს მისთვის ჩვეული საქმე იყო, არც განსაკუთრებული ხელსაწყოები სჭირდებოდა. ეცადა, ეცადა და ცოტა-ცოტას მოიპოვებდა ხოლმე. ერთხელ შვილებს უთხრა:

-შვილებო, ჩემთან წამოდით ოქროს მოსაპოვებლად. იქნებ იმდენი ვეცადოთ, რომ გაჭირვებიდან ამოვიდეთ.

მისი შვილები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ ათ წელზე ცოტა მეტისა.

და აი, წავიდნენ ჩვენი განთავისუფლებული ყმები. მამა ფეხებს ძლივს ადგამდა, ბავშები ძლივს ეწეოდნენ.

მაშინ ამბობდნენ, რომ რიაბინოვკაში ოქრო ბლომად მოიპოვებოდა. ლევონტი სწორედ იქ მოინდომა მუშაობა. წავიდა რიაბინოვში, ადგილი დაათვალიერა და მუშაობას შეუდგა. მაგრამ ძალა აღარ ჰყოფნიდა, სულს ძლივს ითქვამდა, ფეხზე ძლივს იდგა. ბავშვებს კი რა შეეძლოთ? გავიდა კვირა და დაინახა, რომ ბევრი არაფერი გამოსდის, ამაო შრომაა, პურსაც არ ეყოფა. რა ქნას? თვითონ სუსტდება, სირცხვილია ბავშვებს ჩანთები აჰკიდოს და შაბათს მოპოვებული ოქროს ჩასაბარებლად წავიდა. ბავშვებს დაავალა: აქ დარჩით და ხელსაწყოებს უყარაულეთო.

ბავშვები ხელსაწყოების საყარაულოდ ქოხში დარჩნენ. ერთი შვილი სათევზაოდ წავიდა იქვე ახლოს მდინარე ჩუსოვაიაზე. ცოტაოდენი თევზი დაიჭირა. კოცონიც დაანთეს. საღამოს ცოტა შეშინდნენ.

დაინახეს, რომ მოხუცი მოდის, სემიონიჩს ეძახდნენ, გვარი არ მახსენდება. ეს მოხუცი ადრე ჯარისკაცი იყო. ამბობდნენ, გამორჩეულ ოსტატად ითვლებოდაო, მაგრამ ზედამხედველს უხეშად მოექცა და მანაც გამროზგველად გადაიყვანა. გამროზგველებად ჯანმრთელებს არჩევდნენ. მაგრამ სემიონიჩი არ ნებდებოდა, მკვირცხლი, ცნობილი ოსტატი და ჩხუბისთავი იყო. მაინც გატეხეს, ურჩობის გამო გაროზგეს და ჯარში გაამწესეს. სოფელში ოცდახუთი წლის მერე დაბრუნდა. ამ ხნის განმავლობაში მისი შინაურები დაიხოცნენ და ქოხი აჭედილი დახვდა. მეზობლებმა ყველაფერი გაინაწილეს, ქოხის დაშლაც უნდოდათ. ამ დროს დაბრუნდა სემიონიჩი. ქოხი შეაკეთა და თავისთვის მარტოდმარტო ცხოვრობდა. მეზობლები ამჩნევდნენ, რომ საქმე არც ისე მარტივად იყო. რაღაც წიგნები ჰქონდა და საღამოობით ამ წიგნებს კითხულობდა, იფიქრეს, იქნებ მკურნალობა იცისო. შეეკითხნენ. მან უარყო: „-მე ეს საქმე არ ვიცი, თუნდაც ვიცოდე ისეთი სამუშაო გაქვთ მკურნალობა არ გიშველით.” იფიქრეს, იქნებ სხვა რწმენის მიმდევარია, მაგრამ არც ეს ეტყობოდა. ეკლესიაში ჩვეულებრივად დადიოდა, მაგრამ დიდ მიმდევრობას არ იჩენდა.

უკვირდათ, სამუშაო არ აქვს, აბა რითი ცხოვრობს? ბოსტანი ჰქონდა, სანადიროდ და სათევზაოდ დადიოდა. მაგრამ მარტო ამით იცხოვრებ? ფული კი ჰქონდა. ზოგს ასესხებდა, ზოგს სარგებელის მიუხედავად უარს ეუბნებოდა, ზოგს თვითონ სთავაზობდა:- აიღე ძროხის საყიდლად, ბავშვები გყავთ. ერთი სიტყვით საოცარი კაცი იყო. წიგნების გამო ეშმაკეულად თვლიდნენ.

და აი, ეს სემიონიჩი მივიდა ბავშვებთან, მიესალმა. ბავშვებს გაუხარდათ და მიიპატიჟეს:

-დაბრძანდით, ჩვენთან პური გატეხეთ.

ისიც არ შეეწინააღმდეგა, დაჯდა, ისადილეს. სადილი მოეწონა და შეაქო:

-რა გემრიელი გაგიკეთებიათ.

აბგიდან რბილი პური ამოიღო, დაანაწილა და ბავშვებს წინ დაულაგა. ბავშვებიც კარგად დანაყრდნენ, თითქმის მთელი პური შეჭამეს.

-დიდი ხანია ასე არ მიჭამია-აღნიშნა მოხუცმა.

ბავშვებმა თავისი ცხოვრება უამბეს, მამის ყრმობიდან განთავისუფლების ამბავი, აქ რასაც აკეთებდნენ. სემიონიჩი თავს უქნევდათ და აღმოხდებოდა: -ოხ! ოხ! და ოხ! ოხ! ბოლოს ჰკითხა:

-ბევრი ოქრო მოიპოვეთ?

-ზოლოტნიკი[11], იქნებ მეტიც-დეიდამ ასე გვითხრა.

მოხუცი ადგა და ეუბნება:

-კარგი, ვხედავ, რომ დახმარება გჭირდებათ. თქვენ სიტყვა არავისთან დაგცდეთ და ისეთი თვალით გადახედა, რომ ბავშვებს შეეშინდათ. მერე გაუღიმა და უთხრა:

-ბავშვებო, თქვენ ახლა აქ, კოცონთან ისხედით. მე წავალ ვისთანაც საჭიროა. იქნებ დაგეხმაროთ. არ შეგეშინდეთ, თორემ საქმე ჩაიშლება. კარგად დაიმახსოვრეთ.

მოხუცი ტყეში წავიდა. ბავშვები ქოხში დარჩნენ. ერთმანეთს ჩუმად შესცქეროდნენ. მერე უფროსმა გაბედა და ჩუმად თქვა:

-ძამაო, არ დაგავიწყდეს რომ არ უნდა შეგვეშინდეს, თვითონ კი ტუჩები გასთეთრებოდა და კბილები უკაწკაწებდა.

-ძმაო, არ მეშინია, შენ კი სულ გაფითრებულხარ. -მიუგო უმცროსმა.

[11] ზოლოტნიკი -- უდრის 42 გრამს.

სხედან. ელოდებიან. დაღამდა. ტყეში სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ მდინარის ხმაური ისმოდა. დიდმა ხანმა გაიარა და არავინ გამოჩნდა. ბავშვებს შიშმა გაუარა, კოცონს ფიჩხი მიუმატეს და უფრო გამხიარულდნენ. უცებ ლაპარაკი მოესმათ, თითქოს ვიღაცეები მოდიოდნენ, მაგრამ ასეთ დროს საიდან? და ისევ შეეშინდათ.

და აი, კოცონს ორნი მიუახლოვდნენ. ერთი-სემიონიჩი, მეორე კი-უცნობი, რომელიც უცხო ჩაცმულობით გამოირჩეოდა. ზემოდან კაფტანი ეცვა, შარვალი-მოოქროსფერო ყვითელი ფარჩის, კაფტანის ზემოდან მწვანე ფარჩის ფოჩებიანი განიერი ნახატებიანი ქამარი ეკეთა, ქუდი-ყვითელი, ჩექმები წითელი ეცვა. სახე ყვითელი ჰქონდა განიერი ხუჭუჭა წვერით. მწვანე თვალები კატასავით უელავდა. ეს კაცი სემიონიჩის სიმაღლისა იყო, არც მსუქანი, მაგრამ ზონზროხი, მის ფეხქვეშ მიწა ინძრეობდა. ისინი ბავშვებს ალერსიანად უცქერდნენ. მათ ცნობისმოყვარეობისაგან შიში დაავიწყდათ. უცნობი სემიონიჩს გაეხუმრა:

-ესენია თავისუფალი მშრომელები? რასაც იპოვნიან ყველაფერს წაიღებენ? არავის დაუტოვებენ?

მერე მოიღუშა და სემიონიჩს უთხრა:

-ჩვენ ამ ბავშვებს არ გავანებივრებთ?

სემიონიჩი უმტკიცებდა, რომ კარგი ბავშვები არიან. არ არიან განებივრებულები. ის კი თავისას ამბობდა:

-ხალხი ყველა ერთნაირია. სიმდიდრე აფეჭებთ, მაგრამ იქნებ პატარები უკეთესნი იყვნენ. კარგი, ვცადოთ, ცოდვაა თუ წახდებიან. უმცროსი თხელტუჩებაა, ძუნწი არ აღმოჩნდეს. შენ თვითონ დაარიგე. ვიცნობ მამას, ძლივს სუნთქავს, დღეები აქვს დათვლილი, მაგრამ მაინც ცდილობს სარჩო მოიპოვოს. დამოუკიდებელი ადამიანია. სიმდიდრე რომ მისცე-ისიც წახდება.

უცნობი სემიონიჩს ისე ესაუბრებოდა, თითქოს ბავშვები იქ არ იყვნენ. მერე მათ გახედა და უთხრა:

-ბავშვებო! ახლა კარგად უყურეთ და დაიმახსოვრეთ კვალი საით წავა. კვალის ქვეშ თხარეთ და ღრმად არ ჩახვიდეთ.

უცებ ხედავენ, რომ ამ კაცს ქამრამდე რაც იყო თავი გაუხდა, ოღონდ დიდი. თვალები ბატისკვერცხისოდენა ჰქონდა. ქამრის ქვემოთ ტანი გველის კისრად გადაექცა და ამ დროს მიწიდან უზარმაზარი მცურავი ამოძვრა, თავი ტყის ზემოთ ასწია, ტანი კოცონის წინ წამოსწია, მიწაზე გასწორდა და რიაბინოვკისაკენ გასრიალდა. მიწიდან კი მცურავის ტანი ამოდის და ამოდის. თითქოს ბოლო არ უჩანს. კოცონი ჩაქრა და უჩვეულოდ განათდა. მცურავმა რიაბინოვკამდე მიაღწია და

მდინარეში ჩასრიალდ. წყალი უცებ გაიყინა. მცურავმა მეორე ნაპირს მიაღწია და ბებერი არყის ხესთან გაჩერდა და ბავშვებს დაუძახა:

-დამინახეთ? აქ ამოთხარეთ! გეყოფათ! არ იძუნწოთ!

ეს თქვა და თითქოს დადნა. მდინარე უცებ ახმიანდა, კოცონიც განახლდა.

სემიონიჩმა ბავშვებს აუხსნა:

-ეს დიდი მცურავია. მთელი ოქრო მის ხელშია. სადაც გაივლის ოქრო ჩნდება. სიარული როგორც მიწის ზემოთ, ისე მიწის ქვეშ შეუძლია, როცა როგორ დასჭირდება, მიწას, რამდენიც უნდა, იმდენს შემოფარგლავს. ზოგჯერ, ოქროს ქვიშობს იპოვნიან და ხალხი ოქროს გამო ერთმანეთს დაერევა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდება, საქმე მკვლელობამდეც მიდის. ზოგჯერ ასეც ხდება: გამოაცხადებენ, რომ ეს ადგილი სახაზინოა და ხალხს გამოყრიან და მერე ნახავენ, რომ ოქრო აღარაა. ღრმად ეძებენ, მაგრამ არაფერია, თითქოს არც არაფერი ყოფილა. მცურავმა ეს ადგილი შემოფარგლა, მთელი ღამე ასე იწვა და ოქრო მიიზიდა. გაიგე ახლა სად იწვა!

-მცურავს არ უყვარს რომ ოქროს გამო თაღლითობენ და იტყუებიან, რომ ერთმა ადამიანმა მეორე დაჩაგროს, შეავიწროვოს. მაგრამ როცა თავისთვის მუშაობენ, შეიძლება დაეხმაროს, ისე, როგორც თქვენ. არ დაგავიწყდეთ, ამის შესახებ არავის არაფერი უთხრათ, თორემ ყველაფერს წაახდენთ. ხომ გაიგეთ, რაც გითხარით. არ იძუნწოთ. ახლა კი დაიძნეთ, მე კი აქ კოცონთან ჩამოვჯდები.

ბავშვებმა დაუჯერეს, ქოხში შევიდნენ და მაშინვე ჩაეძინათ. გვიან გამოეღვიძათ. სხვები უკვე კარგა ხანია მუშაობდნენ. ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და ჰკითხეს:

-ძმაო, გუშინ რამე ნახე?

-შენ ნახე?

როგორც იქნა შეთანხმდნენ, დაიფიცეს, რომ ამის შესახებ არავისთვის ეთქვათ, არ იძუნწათ და დაიწყეს ადგილის შერჩევა.

აქ ცოტა წაკამათდნენ. უფროსმა ძმამ უთხრა:

-მოდი, რიაბინოვკაში თხრა არყის ხიდან დავიწყოთ. იმ ადგილას მცურავმა ბოლო სიტყვა გვითხრა.

-ძმაო, არ გამოგვადგება. საიდუმლოება უცებ გამომჟღავნდება. ცნოსბისმოყვარეები მოცვივდებიან და ყველაფერს გაიგებენ. -არ დაეთანხმა უმცროსი.

იკამათეს და დაღოდნენ, სემიონიჩი აქ რომ არ იყო. უნდოდათ რჩევა ეკითხათ.

და ამ დროს გუშინდელი კოცონის ადგილას არყის ხის სარი ჩაერჭო. „ალბათ სემიონიჩმა ნიშანი დაგვიტოვა”- გაიფიქრეს ძმებმა და თხრა დაიწყეს.

უცებ, ოქროს ორი ნატეხი ამოიღეს, ნამცეცებიც მოჰყვა. საქმე კარგად აეწყოთ. მაგრამ მერე უკან წაუვიდათ.

ამას უკვე შემდეგ ზღაპარში გიამბობთ.

გველის კვალი

ლევონტის ობლებს მამის გარდაცვალების შემდეგ საქმე კარგად აეწყოთ. წლითიწლობით უკეთესად ცხოვრობდნენ. ქოხი დაიდგეს, ძროხა იყიდეს, ცხენი, ყოველ ზამთარს სამ ცხვარსს ყიდდნენ, მაგრამ დედას არ უხაროდა. ოღონდ სიბერეში მაინც ღირსებოდა თავისუფლება.

ის მოხუცი სემიონიჩი ყველაფრის თავიდათავი იყო. ბავშვებს ოქროს მოპოვებას ასწავლიდა. ჭკუას არიგებდა: „სიფრთხილეა საჭირო, ყოველი მხრიდან გაკვირდებიან, შენი საკუთარი ძმაც კი ეჭვის თვალით გიყურებს, ვაჭარი როგორც ძერა ისე გიცქერის, უფროსობაც თვალს გადევნებს. აბა გვერდზე გაიხედე.” პატარა ბავშვები ასეთ საქმეს თავს ვერ გაართმევდნენ, სემიონიჩს რომ ყველაფერი არ ესწავლებინა.

ბავშვები იზრდებოდნენ, ისევ ძველ ადგილას მუშაობდნენ. არც სხვა მაძიებლები იცვლიდნენ ადგილს. ბევრი არაფერი გამოდიოდა, მაგრამ თავს მაინც არ ანებებდნენ. ობლებს კი საქმე რიგზე მიუდიოდათ, ოქროს ინახავდნენ კიდეც.

მათი კარგი ცხოვრება მხოლოდ უფროსობას უკვირდა. ერთ დღესასწაულზე, როცა დედას ღუმელიდან თევზის ღვეზელი გამოჰქონდა, მათთან საბადოს შიკრიკი მიიჭრა და უბრძანა:

-სასწრაფოდ ზედამხედველთან წადით!

წავიდნენ ზედამხედველთან. ის გაუბრაზდა ბავშვებს:

-როდის დაიწყეთ ყალთაბანდობა? ბატონისათვის ერთი დღეც არ გიმუშავიათ. რომელი წესებით? თქვენ რა, წითელი ქუდები[12] მოგინდათ?

-ბატონმა მამაჩვენი ყმობიდან გაანთავისუფლა-აუხსნეს ბავშვებმა.

-მაჩვენეთ თქვენი განთავისუფლების საბუთი!

ბავშვებს ასეთი საბუთი არ ჰქონდათ და რა ეთქვათ არ იცოდნენ.

ზედამხედველმა გამოუცხადა, რომ ხუთასი რუბლი მიეტანათ და საბუთს მისცემდა. ალბათ ცდიდა ფულს გამოაჩენდნენ თუ არა, მაგრამ ბავშვები გამაგრდნენ.

-თუ ჩვენს ქონებას გავყიდით ნახევარიც არ მოგროვდება. -უთხრა ზედამხედველს უმცროსმა ძმამ.

-მაშინ ხვალ დილით სამუშაოზე გამოდით. არ დააგვიანოთ. განმწესებელი გეტყვით სად იმუშავებთ. თუ დააგვიანებთ-გაგრიზგავთ.

დაღონდნენ ჩვენი ობლები. დედამისს ყველაფერი უამბეს. მანაც ერთი ამბავი ატეხა: -შვილებო, ეს რა დაგვემართა! ახლა როგორ-ვიცხოვრებთ!

მოცვივდნენ მეზობლები, ნათესავები. ზოგი ურჩევდა ბატონისათვის პატიება ეთხოვათ, ზოგი-ქალაქის უფროსობასთან წასულიყვნენ, მთელი მეურნეობა რომ გაეყიდათ მაინც ვერ გაწვდებოდა, ძლივს გაიყიდებოდა.

მოკლედ ყველა თავისებურად ფიქრობდა და ვერავინ ხვდებოდა, რომ ბავშვებს ხუთჯერ იმაზე მეტი ჰქონდათ, ვიდრე ზედამხედველმა მოსთხოვათ. ამას ვერ ამხელდნენ. დედამაც არ იცოდა. სანამ სემიონიჩი ცოცხალი იყო, ხშირად აფრთხილებდათ:

-ოქროს შესახებ არავის უთხრათ, განსაკუთრებით ქალებს, დედა იქნება, საცოლე თუ ცოლი. ყველასთან ჩუმად იყავით, რა იცით რა ხდება? ვთქვათ, მოვიდნენ ჩაფრები, დაიწყებენ ჩხრეკას. ქალი სხვანაირია, შეეშინდება ქმარს ან შვილს რამე არ დაუშავდეს და ადგილს მიუთითებს. ჩაფრებსაც ეს უნდათ. ოქროს წაიღებენ და კაცსაც დაღუპავენ. ამის შემდეგ ქალმა შეიძლება თავი მოიკლას: ან წყალში გადავარდეს, ან ყულფში გაყოს თავი. მომხდარა ასეთი ამბები. გაფრთხილდით! ამის შესახებ სიტყვაც არ წამოგცდეთ. ნუთუ დედათქვენს მიანიშნებთ. პირშენახული არ არის. უყვარს შვილების ქება.

ობელები სემიონიჩის დარიგებას არ ივიწყებდნენ და განძის შესახებ არავის ეუბნებოდნენ. სხვა მაძიებლები ეჭვობდნენ, რომ ბავშვებს ოქრო ჰქონდათ, მაგრამ არ იცოდნენ რამდენი და სად ჰქონდათ დამალული.

[12] წითელი ქუდები-- ჯარში წასვლას ნიშნავს.

როცა ძმები მარტო დარჩნენ, უმცროსმა თქვა:

-ძმაო, მოდი საბადოზე წავიდეთ, დავემშვიდობოთ მაინც.

-წავიდეთ. ცოტა გულს გადავაყოლებთ.'

დედამ დღესასწაულზე მორჩენილი საჭმელი მოაგროვა, კიტრებიც ჩაალაგა, ბოთლიც წაიღეს და რიაბინოვკაში წავიდნენ.

მიდიან. ტყეში შევიდნენ უფროსმა თქვა: -ცოტა ჩავიმუხლოთ.

მკვეთრო მოსახვევის მერე გზიდან გადაუხვიეს და იქვე ასკილის ბუჩქთან წამოწვნენ. თითო ჭიქა გადაჰკრეს, ცოტა დაისვენეს. უცებ მოესმათ, თითქოს ვიღაც მოდიოდა. გაიხედეს და დაინახეს რომ ვანკა სოჩენი გზაზე მოაფრატუნებდა, ხელში ხელსაწყოები ეჭირა.

ეს ვანკა საბადოს უფროსობასთან იყო შეკრული. სადაც საეჭვო რამ იყო, იქ აგზავნიდნენ. დიდი ხანია შემჩნეული იყო. ბევრჯერ სცემეს, მაგრამ თავისას არ იშლიდა. ყველაზე მავნე და ბოროტი იყო. მერე სპილენძის მთის ქალბატონმა ისე „დააჯილდოვა", რომ მალე ფეხები გაჭიმა. მაგრამ ახლა ამაზე არაა ლაპარაკი. ვანკამ მათ ახლოს ჩაუარა, ძმებმა ერთმანეთს გადახედეს. ცოტა ხნის მერე ცხენით სამთო ოსტატმა გაიარა. უცებ გზაზე ვაჭარი პიმენოვი გამოვარდა თავის ცხენ ერშიკზე ამხედრებული. ეტყობა, სათევზაოდ მიდიოდა.

იმ დროს ეს პიმენოვი ყველაზე გაბედული და თავზეხელაღებული იყო. მის ერშიკსაც ყველა იცნობდა. ტრამალის ცხენი ტანმომცრო იყო, მაგრამ ამ ნებისმიერ ტროიკას გაასწრებდა. ამბობდნენ, ორნალიანი და ორმაგადმსუნთქავიაო. ხუთასს ვერსს[13] გაირბენდა. აბა დაეწიე! სად იპოვა ასეთი! ყველაზე მოსაპარი ცხენი იყო. მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ. პიმენოვი ძლიერი, კეთილი კაცი იყო. ასეთს ერთი ერთზე ვერ შეხვდებოდი, კიდეც უნდა მოერიდო. თავის შვილებს ჰგავდა, აგერ იქ ორსართულიან სახლში რომ ცხოვრობდნენ.

ძმებს მეთევზის დანახვაზე გაეცინათ. უმცროსმა ბუჩქებიდან წამოიწია და ხმადაბლა ჰკითხა:

-ივან ვასილოვიჩ, სასწორი თან გაქვთ?

ვაჭარი მიხვდა, რომ ბიჭი დასცინოდა და თვითონაც გაეხუმრა:

-ამ ტყეში რა არის ასაწონი?

მერე ერშიკი შეაყოვნა და უთხრა:

-რაღაც საქმეა, დაჯექით, წაგიყვანთ.

[13] ვერსი-- უდრის 1060 მეტრს.

ძმებმა იუარეს და ჰკითხეს:

-ივან ვასილოვიჩ, დილით სად გნახოთ?

-რა საქმეა? დიდი თუ უბრალო?

-თითქოს ვერ ხვდებით.

-ვხვდები, მაგრამ ყვეკაფერს არა. ვიცი, რომ ორივე გამოსყიდვას აპირებთ. თავდაპირველად ერთი, მერე გაჩუმდა და ცოტა ხნის დუმილის მერე უთხრა, თითქოს აფრთხილებდა:

-ბავშვებო, ყურადღებით იყავით, გითვალთვალებენ. ვანკა ხომ ნახეთ.

-აბა რა.

-სამთო ოსტატი.

-ისიც ვნახეთ.

-ვინ იცის, კიდევ ვინ გამოგზავნეს თქვენს სათვალთვალოდ. მათ იციან, რომ დილით ფული გჭირდებათ და ამიტომ გდარაჯობენ. თქვენს გასაფრთხილებლად მოვედი.

-გმადლობთ, ჩვენც ვაკვირდებით.

-ვხედავ, გაფრთხილდით.

-გეშინია შენ არ დაკარგო?

-ჩემი სანდია. სხვა არ იყიდის-შეეშინდება.

-რატომ?

პიმენოვმა ფასი არ დააკლო:

-მეტს ვერ მოგცემთ საჩოთირო საქმეა.

მორიგდნენ. პიმენოვმა სადავეები მოზიდა და გასწი ერშიკ, დაეწიე ოსტატს. დამშვიდობებისას კიდევ იკითხა:

-ორივესთვის თუ ერთისთვის გავამზადო?

-თვითონ არ ვიცით რამდენი მოგროვდება. ნახევარი მაინც წაიღე-უთხრა უფროსმა.

ვაჭარი გატრიალდა.

ძმები ცოტახანს გაჩუმდნენ. მერე უმცროსმა თქვა:

-ძმაო, ეს პიმენოვი ჭკუას გვარიგებდა. კარგი არ არის ბევრი ფულის ერთბაშად გამოჩენა. საქმე ცუდად არ წაგივიდეს, წაგვართმევენ და ეს იქნება.

-მეც მაგას ვფიქრობ, როგორ ?

-იქნებ ასე ჯობდეს, ზედამხედველთან მივიდეთ, თავი დავუხაროთ, იქნებ ცოტა დაგვიკლოს. ვუთხრათ: მთელი მეურნეობა რომ გავყიდოთ, ოთხასზე მეტს ვერ მოვაგროვებთ. ოთხასით ერთ-ერთს გაგვათავისუფლებენ და ხალხი იფიქრებს რომ უკანსკნელი გავიღეთ.

-ყმად რომელი დავრჩეთ? კენჭისყრა მოგვიწევს.

უმცროსი ძმა ლაზღანდარაობს: კენჭისყრას არაფერი სჯობია. არ გვეწყინება. აი შენ თვალი გაქვს დაზიანებული და ჯარში არ წაგიყვანენ. მე რით დამიწუნებენ? თავისუფლებას ვერ ვეღირსები. შენ კი ცოტა დაზარალდები. წელი არ გავა, გამოგისყიდი. ზედამხედველთან მივალ და რამდენსაც მთხოვს, მივცემ. არ დაეჭვდე. სინდისი არ მაქვს? ორივემ ვიშრომეთ მე რა მენანება?

უფროსს პანტელეი ერქვა. საწყალი ბიჭი იყო. პერანგს გაიხდიდა და სხვას ჩააჩმევდა. უთქმელი, მიწას იყო ჩაჩერებული.

უმცროსი კოსტია მისი საპირისპირო გამოდგა. ზორბა, მოსული, მწითური, თითქმის წითელი იყო. ასეც ეძახდნენ, კოსტია მწითური. მელიასავით ეშმაკი, საზრიანი და გაცუცურაკების ოსტატი იყო. ვისაც კი მასთან საქმე ჰქონდა, ყველა ამბობდა, რომ კოსტიას სიტყვა არ დაეჯერებოდა.

საქმე ისე აეწყო როგორც კოსტიამ ისურვა. ზედამხედველმა ასე დააკლო და მეორე დღეს კოსტიამ განთავისუფლების საბუთი მიიღო, ძმას კი შეღავათი გაუკეთა. ზედამხედველმა პანტელეი კრილატოვის საბადოზე გადაიყვანა. -შენი ძმა მართალს ამბობს. იქ შენთვის უცხო არაა. აქ ქვიშობზე მეტი საქმეა. ხალხი კი ყველგან ერთნაირია. როგორც აქ, ისე იქ. შეღავათს გაგიკეთებ. კრილატოვის საბადოზე წადი.

კოსტიამ საქმე ისე მოაწყო, რომ თვითონ თავისუფლება მიიღო, ძმას კი შორეულ საბადოზე უკრა თავი. სახლის და მეურნეობის გაყიდვას რა თქმა უნდა არ აპირებდა, თუმცა თავს ასე აჩვენებდა.

ასე გააძევეს პანტელეი. თვითონ რიაბინოვკაში შეეჭიდა საქმეს. მაგრამ ერთი როგორ? უცხოს ვერ შეიამხანაგებდა, რათა მისგან სხვებს არ გაეგოთ და ამ ადგილას არ მოსულიყვნენ. ბოლოდს ნახა ერთი სულელი. დიდი კაცი იყო, მაგრამ ჭკუასუსტი. ათამდე თვლაც არ იცოდა. კოსტიასაც ასეთი სჭირდებოდა.

დაიწყო მუშაობა იმ სულელტან ერთად, მაგრამ არაფერია, ცოტა-ცოტას მოიპოვებდა. არც კი ღირდა. კოსტიამ მოიფიქრა, რომ მდინარის მეორე მხარეს გადავიდეს და იმ არყის ხის ქვეშ ეძიოს, სადაც მცურავი გაჩერდა. ახლა კოსტია

უფრო მეტს მოიპოვებდა, მაგრამ შედარებით ნაკლებს როცა პანტელეისთან ერთად მუშაობდა. მაინც კმაყოფილი იყო.

კოსტიას მიბაძვით სხვა მაძიებლებიც გადავიდნენ მეორე ნაპირზე ბედის საძიებლად. ერთი თვის შემდეგ იქაურობა ხალხით გაივსო. ჩამოსულებიც იყვნენ.

ერთ ჯგუფში კოსტიამ გოგონა შეამჩნია. ისიც მწითური იტო, გამხდარი და მისთვის შესაფერისი. კოსტია ბატონივით ქალების მოყვარული და მოარშიყე იყო. ბევრი პატიოსანი გოგო კოსტიასათვის ცრემლს ღვრიდა. ეს გოგო კი ყურადღებას არ აქცევდა. მასთან ახლოს მისვლა ადვილი არ იყო. შეუპოვარი ერთში ორს გეტყოდათ. მიუხედავად ამისა კოსტიას მაინც ძალიან შეუყვარდა და ძილიც გაუკრთა. ერთხელ კოსტიამ ჰკითხა:

-ცოლად გამომყვები? ყმობიდან გაგათავისუფლებ,

-შენ მწითური ხარ. -გაეცინა მას.

კოსტიას თითქოს დანა გულში გაუყარეს, მაგრამ ხუმრობით მიუგო:

-შენ თვითონ როგორი ხარ?

-შენზე გათხოვების მეშინია. ორივე მწითური ვართ, შვილები სულ გატრუსული გვეყოლება.

უცებ პანტელეის ქება დაიწყო:

-თუ პანტელეი მითხოვდა უარს არ ვეტყოდი. საყვარელი ბიჭია.

ამას განზრახ კოსტიას დასაეჭვებლად ამბობდა. მას კი სჯეროდა. გოგონამ ჰკითხა:

-რატომ ძმას არ გამოისყიდი? ერთად იცხოვრებდით. შენ თავისუფალი ხარ, ის კი მძიმე დღეშია.

-ფული არ მაქვს. თავისთვინ თვითონ გამოიმუშავოს.

-ოხ, შე უსირცხვილო! უსაქმურო! პანტელეი შენზე ნაკლებად შრომობდა? თვალიც დაკარგა სანგრევში.

კოსტია იქამდე მიიყვანა, რომ დაიყვირა:

-მოგკლავ ავქალო!

გოგოც თითქოს არაფერი, ისევ აგრძელებს: -არ ვიცი, ცოცხალი თავით მწითურს არ გავყვები. მწითურსა და მერყევზე უარესი რა არის?

კოსტია ოღონდ მწითური არ დაეძახა, რაც უნდა იმას მისცემდა. გოგონა საჩუქრებს არ ღებულობდა და მწარე სიტყვებს ეუბნებოდა:

-ეს პანტელეის გამოსასყიდად დაზოგე.

კოსტიამ საბადოზე ზეიმის მოწყობა გადაწყვიტა. ფიქრობდა: „ შევიტყუებ და ვნახოთ მეორე დღეს როგორ ამღერდება.”

ხალხმა, რა თქმა უნდა, შეამჩნია: -„ჩვენი მწითური ხელგაშლილია, ეტყობა, ბევრს მოიპოვებს. ჩვენც მაგის მხარეს ვეძიოთ. ეს გოგოც დიდი არაფერია. კოსტიას უარი უთხრა.”

კოსტიას ფიქრები არ ასვენებდა. როცა ხალხი დათვრა, გოგოს ხელი სტაცა და მან კი ისეთი თვალით შეხედა, რომ კოსტიას ხელები ჩამოუვარდა და ფეხები აუკანკალდა. შეეშინდა.

-შე მწითურო უსირცხვილო, პანტელეის გამოისყიდი თუ არა?-უთხრა ქალიშვილმა.

ამ სიტყვებმა კოსტიას გული დაუთუთქა და გაბრაზდა:

-არც ვიფიქრებ, უკანასკნელ კაპიკს სასმელში დავხარჯავ.

-შენი საქმეა. მე გითხარი და ცეკვა-ცეკვით დაშორდა. გველივით იკლაკნებოდა, თვალები გააშტერა, არ ახამხამებდა.

კოსტია ამის მერე თითქმის ყოველ კვირას ზეიმებს აწყობდა. ეს სახეირო არ იყო. საბადოზე მომუშავეები ძუნწი და ხელმომჭერილები არიან, იოლად ვერ გახვალ, დაგცინებენ კიდეც:

-კოსტიას ზეიმზე სუფრა ცარიელი იყო. მთელი კვირა თავი მტკიოდა. ამის შემდეგ როცა დამიძახებს ორ ბოთლს წავიღებ. უფრო იოლი არ არის?

კოსტია ცდილობდა, რომ ღვინო და სხვა ყველაფერი საკმარისი ყოფილიყო. ფული რაც ხელზე ჰქონდა მალე გაუთავდა. საბადოზე ფუჭად მუშაობდა. ერთხელ სულელმა უთხტა:

-უფროსო, ქვიშის გარეცხისას რაღაც არ ბრწყინავს.

ის გოგო კი აღიზიანებს:

-მწითურო რამ დაგაღონა? ქუსლები გაგიცვდა და შესაკეთებლად ფული არ გყოფნის?

მწითურმა მოიწყინა, ხედავს, რომ საქმე კარგად აღარ მიუდის და თავის ფლობაც აღარ შეეძლო: -„დაიცადე, მე შენ გიჩვენებ, ფეხსაცმლის შესაკეთებლად როგორ თუ ფული არ მყოფნის!”

განძი თავიაანთ ბოსტანში მეორე მწკრივში ჰქონდათ ჩაფლული. ადგილი კარგად ჰქონდა დანიშნული. საბადოს მცველების თვალწინ ვერ ამოიღებდი. იცოდა, რაც უნდა ეთქვა: -„თვითნაბადი ოქროა, არ ვიცოდით თუ ასე ახლოს იყო. შორს ვეძებდით, თურმე აქ, ბოსტანში ყოფილა.”

მიწაში შენახვა, როგორც ამბობენ, ყველაზე სანდოა. ამოღებაა საწვალებელი. მიხედ-მოხედვა სჭირდება. განძის ადგილას ბუჩქები ჰქონდა დარგული და ქვები მიწყობილი.

და აი, ერთ ბნელ ღამეს კოსტია განძის ამოსაღებად წავიდა. ამოთხარა, ბადია გაავსო და აბანოში წაიღო. იქ ყველაფერი გამზადებული ჰქონდა. ფანჯარა დახურა, ფანარი აანთო და ქვიშის რეცხვა დაიწყო. არაფერია, ერთი ნამცეციც არ არის. „-ეს რა არის? ხომ არ შევცდი?” -გაიფიქრა. ისევ წავიდა, აავსო მეორე ბადია, მოიტანა, მაგრამ ისევ არაფერია. უცებ კოსტიას სიფრთხილე დაავიწყდა და ფანრით გარეთ გამოვარდა. მიიხედ-მოიხედა. ყველაფერი სწორად იყო. ზუსტად იმ ადგილას ჰქონდა ამოთხრილი. თხრა გააგრძელა, ცოტა გამოჩნდა, უმნიშვნელო. ღრმად ჩავიდა-ისევ ისეა, ცოტა გაიბრწყინა. კოსტიამ თავის სულ დაკარგა. უფრო ღრმად გათხარა. ბრტყელი ქვა აღმოჩნდა. მცურავი ქვის ქვემოდან ოქროს ვერ წაიღებდა. ალბათმ აქ ახლოს იქნება. უცებ მიხვდა: -ალბათ პანტელეიმ მოიპარა!

თქვა თუ არა უცებ ის გოგო გამოჩნდა. ჯერ ისევ ბინდი იყო, მაგრამ კარგად ჩანდა. მაღალი, სწორი. იდგა, კოსტიას თვალი თვალში გაუყარა:

-მწითურო, რამე დაკარგე? ძმაზე გაქვს ეჭვი? მან აიღო, შენ კი ყურება დაგრჩა?

-შენ ვინ დაგიძახა ავქალო!

გოგოს ფეხებში ხელი სტაცა და თხრილში ჩააგდო. გოგო წამოიწია, გასწორდა, დაწვრილდა, მცურავად გადაიქცა და კოსტიას ზურგზე ჩაუცოცდა. კოსტიას შეეშინდა და გველის კუდი ხელიდან გაუშვა. გველმა თავი ქვას შეახო თუ არა, ნაპერწკლები გადმოიფრქვა და ირგვლივ თვალისმომჭრელად გაკაშკაშდა. ქვაზე, სადაც გველმა გაიარა, ოქრო გაჩნდა, ზოგან ნამცეცები, ზოგან ნატეხები. კოსტიამ, როგორც კი ოქრო დაინახა, თავი ქვას დაახეთქა. მეორე დღეს დედამისმა თხრილში მკვდარი ნახა. შუბლი ძალიან გატეხილი ჰქონდა, მაგრამ მაინც დაიღუპა.

დასაფლავებაზე პანტელეი ჩამოვიდა. კრილატოვის საბადოდან დროებით გამოუშვეს. ბოსტანში თხრილი რომ დაინახა, მიხვდა, რომ განძს რაღაც მოუვიდა. მოუსვენრობა დაეტყო, აფორიქდა. ამ ოქროტი აპირებდა ტავის გამოსყიდვას. კოსტიაზე ცუდი ესმოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ძმა გამოისყიდდა. თხრილთან

მივიდა, ჩაიხედა და ქვემოდან რაღაცამ შემოანათა. შუშაში ოქროს კველი მიიკლაკლება. ქვემოდან ვიღაც გოგო უყურებდა. ოქროსკენ მიუთითა: -„აი შენუ ოქრო, წაიღე, ნუ გეშინია.” ალერსიანად ეუბნებოდა, მაგრამ სიტყვები არ ესმოდა. ამ დროს დაბნელდა.

პანტელეის პირველად შეეშინდა. მერე გაბედა და ტხრილში ჩავიდა. შუშა არ აღმოჩნდა, მხოლოდ თეთრი ქვა იყო. ასეთი ქვის დამუშავება სახაზინო საბადოზე უწევდა. მისი მოპოვება იცოდა და აი გაიფიქრა: -„მოდი ვცდი, იქნებ აქ ოქრო იყოს.” რაც საჭირო იყო და დაიწყო მტვრევა. სადაც ოქროს კვალი დაინახა. ქვაში ოქროს დიდი ბუდობი აღმოჩნდა. საღამომდე ხუთი-ექვსი ფუნტი[14] ამოიღო. ჩუმად მივიდა პიმენოვთან, მერე ზედამხედველთან გამოცხადდა.:

-ყმობიდან მინდა განვთავისუფლდე.

-კარგი საქმეა, ოღონდ ახლა არ მცალია. ხვალ დილით მოდი, წყნარად მოვილაპარაკოთ. ზედამხედველი ხვდებოდა, რომ ფული ბევრი ჰქონდა და ფიქრობდა ზედმეტი როგორ დაეცინცლა. პანტელეის საბედნიეროდ, საბადოდან შიკრიკი მოვარდა და უთხრა:

-ტყუილად მოხვედი. ხვალ სისერტიდან ბატონი ჩამოდის. დამავალა, რომ ხიდები კარგად მოვაწესრიგოთ.

ზედამხედველს შეეშინდა, რომ ყველაფერი არ დაეკარგა და პანტელეის უთხრა:

-ხუთასი მომეცი, საბუთში კი ოთხასს ჩავწერ.

ასი მაინც მიითვისა. პანტელეის ეს არ ესიამოვნა:-„ხომ წამღლიტე, არ შეგერგება.”

პანტელეი ყმობიდან განთავისუფლდა. ერთხანს კიდევ ჩიჩქნიდა ორმოს ბოსტანში, მერე ოქროსმაძიებლობას თავი დაანება. „ამის გარეშეც მშვიდად ვიცხოვრებ”-ფიქრობდა. ასეც მოხდა. მცირე მეურნეობა ააწყო, თავისთვის საცხოვრებლად ჰყოფნიდა. ერთხელ როცა ცოლი მოჰყავდა, საინტერესო რამ შეემთხვა. საცოლე ბევრი ყოყმანის გარეშე აირჩია. დამყოლი გოგო იყო ღარიბი ოჯახიდან, უბრალო ქორწილი გადაიხადეს.

ჯვრისწერის მეორე დღეს ახალგაზრდა ცოლმა თავის ქორწინების ბეჭედს დახედა და გაიფიქრა: -„ასეთი ლამაზი, ძვირფასი ბეჭედი როგორ უნდა ვატარო? არ დამეკარგოს.” მერე ქმარს ჰკითხა:

-პანტელეი, შენ ფულს ასე უაზროდ ყრი? რა ღირს ეს ბეჭედი?

[14] ფუნტი-- უდროს 453,53 გრამს.

-რის გადაყრა, როცა ამას წესი მოითხოვს. ბეჭედში ერთნახევარი რუბლი გადავიხადე. -მიუგო პანტელეიმ.

-ამას ვერ დავიჯერებ- უთხრა ცოლმა.

პანტელეიმ დახედა და ხედავს, რომ ეს ის ბეჭედი არ არის. ტავის ხელს დახედა და თითზე სხვა ბეჭედი ეკეთა. შუაში ორი შავი თვალი ჰქონდა ჩასმული და ბრწყინავდა. პანტელეის ამ ქვების დანახვაზე ის გოგონა გაახსენდა, რომელმაც ქვაში ოქროს კვალი მიანიშნა, მაგრამ ცოლს ამის შესახებ არაფერი უთხრა. „ტყუილუბრალოდ რატომ შევაშფოთო?"

ახალგაზრდა ცოლმა ეს ბეჭედი არ გაიკეთა. უბრალო იყიდა. გლეხკაცს რა ებეჭდება? პანტელეის კი მხოლოდ ქორწილში ეკეთა.

კოსტიას გარდაცვალების მერე საბადოზე უცებ გაახსენდათ:-სად არის ის მოცაკვავე გოგონა?

ის კი გაქრა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ: საიდან იყო? საიდან მოვიდა? ერთი ამბობდა, კუნგურიდან მოვიდაო, ვიღაც ამბობდა- მარმარილოს საბადოდან იყოო. სხვადასხვანაირად ფიქრობდნენ. განსასჯელად სად ეცალათ. ამაზე აღარც ლაპარაკობდნენ. რიაბინოვკაში კი ოქრო კიდევ დიდხანს მოიპოვებოდა.



ვერცხლის ჩლიქი

ჩვენთან ერთი მოხუცი კაცი ცხოვრობდა. მეტსახელად კოკოვანიას ეძახდნენ.

კოკოვანიას ოჯახი არ დარჩა და გადაწყვიტა ობოლი ბავშვი ეშვილებინა. მეზობლებში გაიკითხა. მათ კი უთხრეს:

-ამასწინათ გლინკაში გრიგორი პოტოპაევის ოჯახი დაობლდა. ორი გოგო ზედამხედველმა საბატონო ხელსაქმის სკოლაში ჩააბარა, მესამე ექვსი წლისა არავის უნდა. ის იშვილე.

-გოგოსთან უხერხულია, უკეთესი იქნებოდა ბიჭი ყოფილიყო, ჩემს ხელობას ვასწავლიდი, დამხმარედ გავზრდიდი. გოგოს რა ვასწავლო?

იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა:

გრიგორის და მის ცოლს ვიცნობდი, მხიარული და საზრიანნი იყვნენ, თუ გოგოც მათ დაემსგავსება არ მოვიწყენთ. ვიშვილებ. წამოვა კი ჩემთან?

მეზობლებმა უამბეს, რომ ბავშვი ცუდად ცხოვრობდა. ზედამხედველმა მათი სახლი ერთ სამთოელს მისცა და დაავალა, ობოლს აჭამოს, სანამ გაიზრდება. ოჯახში მათ ათ სულზე მეტი ჰყავთ, საკვები თვითონ არ ჰყოგნით, დიასახლისი ობოლს ნამცეცებით კვებავს. პატარაობის მიუხედავად ის ამას ხვდება და გულდაწყვეტილია. როგორ არ წამოვა ამისთანა ყოფიდან. წადი მოელაპარაკე.

-მართალია, როგორმე მოველაპარაკები.

კოკოვანია დღესასწაულზე მივიდა ოჯახში, სადაც ობოლი ცხოვრობდა. ხედვას რომ მთელი სახლი სავსეა დიდიებითა და ბავშვებით. ღუმელთან გოგოები სხედან. იქვე კატა ზის. კატა გამხდარი და გაქუცულია. იშვიათად ასეთი ვინმემ სახლში შეუშვას. გოგონა კატას ეფერება, კატა კი ისე ხმამაღლა კრუტუნებს, რომ მთელ სახლში ისმის.

კოკოვანიამ გოგონას შეხედა და იკითხა:

-ესაა გრიგორის ბავშვი?

-სწორედ ესაა. თვითონ არ გვყოფნიდა, რომ სადღაც გაქუცული კატა იპოვა. ყველა ჩემი ბავშვი დაკაწრა. ვერ ვაგდებთ, აჭამე კიდეც. -მიუგო დიასახლისმა.

-ალბათ შენი შვილები არ ეფერებიან, ხედავ მასთან როგორ კრუტუნებს?

მერე ობოლს ჰკითხა:

-აბა დარინკა, წამოხვალ ჩემთან საცხოვრებლად?

-პაპა, საიდან იცი რომ დარინკას მეძახიან?-გაუკვირდა გოგონას.

-სე, თავისთავად გამოვიდა, არ მიფიქრია, თავისით დაემთხვა.

-შენ ვინ ხარ?-ჰკითხა გოგონამ.

-მე მონადირე ვარ. ზაფხულში ქვიშას ვრეცხავ, ოქროს მოვიპოვებ, ზამტარში კი ტყეში ვაცს ვეძებ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვნახე.

-ესვრი მას?

-არა, -მიუგო კოკოვანიამ. -ჩვეულებრივ თხებს ვესვრი, მას კი-ვერა. იმ ადგილის ნახვა მწადია, სადაც წინა მარჯვენა ფეხს დაადგამს.

-რისთვის გჭირდება?

-თუ ჩემთან საცხოვრებლად წამოხვალ, ყველაფერს მოგიყვები. -უთხრა კოკოვანიამ.

გოგონა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, დაინტერესდა რაიმე გაეგო ვაცის შესახებ. მიხვდა, რომ მოხუცი მხიარული და ალერსიანი იყო და უთხრა

-წამოვალ, კატა მურენკაც წამოიყვანე, ხედავ რა კარგია?

-ამაზე რა გითხრა. ასეთ მჩხავანას ვინ წაიყვანს. ჩვენს სახლში ბალალაიკის ნაცვლად გვეყოლება.

დიასახლისს მათი ლაპარაკი ესმოდა და უხაროდა, რომ კოკოვანია ობოლს სახლში ეპატიჟებოდა და სწრაფად დაიწყო მისი ბარგი-ბახრანის მოგროვება. ეშინოდა მოხუცს არ გადაეფიქრებინა.

კატიას თითქოს ესმოდა მათი ლაპარაკი, ფეხთან ელაქუცებოდა და კრუტუნებდა.

-სწორედ მოიფიქრე, სწორედ.

და აი, კოკოვანიამ ობოლი თავისთან წაიყვანა. მიდიან ქუჩაში, თვითონ ახმახი წვეროსანი, გოგო კი პატარა, ცხვირპაჭუა, გაქუცული კატა კი მათ უკან მიხტუნაობს.

და დაიწყეს ერთად ცხოვრება პაპა კოკოვანიამ, ობოლმა დარინკამ და კატა მურენკამ. ცხოვრობდნენ, ბევრი სიკეთე ნახეს, მაგრამ არ წუწუნებდნენ.

დილით კოკოვანია სამუშაოზე მიდიოდა. დარინკა კი სახლს ალაგებდა, პურს აცხობდა, ფაფას ხარშავდა. მურენკა კი თაგვებს იჭერდა. საღამოს კი ერთად მხიარულობდნენ.

მოხუცი ზღაპრების შეთხზვის ოსტატი იყო. დარინკას ზღაპრების მოსმენა უყვარდა, მურენკა კი იწვა და კრუტუნებდა:

-მართალს ამბობს, მართალს.

უცებ დარინკას გაახსენდა:

-პაპა მომიყევი ვაცი როგორია?

კოკოვანია ჯერ შეყოვნდა, მერე კი დაიწყო:

-ეს ვაცი განსაკუტრებულია. მას წინა მარჯვენა ფეხზე ვერცხლის ჩლიქი აქვს. ამ ჩიქს სადაც დაჰკრავს, იქ ძვირფასი ქვები ჩნდება. ერთხელ დაჰკრავს ერთი ქვა ჩნდება, ორჯერ დაჰკრავს-ორი.

თქვა და მოიწყინა. ამის შემდეგ დარინკა მხოლოდ ამ ვაცზე ეკითხებოდა:

-პაპა, ეს ვაცი დიდია?

კოკოვანიამ მოუყვა, რომ ვაცი ზომით დიდი არაა, გამხდარი ფეხები აქვს, თავი კი პატარა.

-პაპა, რქები აქვს?-ჰკითხა დარინკამ.

-განსაკუთრებული რქები აქვს. ჩვეულებრივ თხებს ორი რქა აქვთ. მისი თითო რქა კი ხუთტოტიანია.

-პაპა, ის ვინმეს შეჭამს?

-არავის, არავის შეჭამს, ბალახით იკვებება. ზამთარში თივის ზვინებს ეტანება.

-პაპა, მისი ბეწვი როგორია?

-ზაფხულში მურაა, როგორც ჩვენი მურენკა, ზამტარში კი ნაცრისფერია.

-პაპა, ვაცი სუნიანია?

კოკოვანია გაბრაზდა კიდეც: -როგორ თუ სუნიანი. ასეთი შინაური თხები არიან, ტყის ვაცს კი ტყის სუნი ასდის.

შემოდგომაზე კოკოვანია ტყეში წასასვლელად გაემზადა, რათა ვაცები ენახა. დარინკამ სთხოვა:

-პაპა, მეც წამიყვანე, იქნებ ის ვაცი ვნახო.

-შორიდან მას ვერ შეამჩნევ. შემოდგომაზე ყველა ვაცს რქები აქვს და ვერ დაითვლი. ზამთარში კი სულ სხვაა. ჩვეულებრივი ვაცები რქებს ყრიან, ვერცხლის

ჩლიქოსანი კი ზამთარ-ზაფხულ რქებით დადის და მაშინ მისი ამოცნობაც შორიდან შესაძლებელია. -აუხსნა კოკოვანიამ.

ამით გადააფიქრებინა. დარინკა სახლში დარჩა, კოკოვანია კი ტყეში წავიდა. ხუთი დღის მერე დაბრუნდა და დარინკას უთხრა, რომ აქვე ახლოს ბევრი ვაცი ბალახობდა და ზამთარში იქეთ წავიდოდა.

-როგორ ზამტარში ტყეში როგორ გაათენებ?

-იქ, სათიბში, ფარდული დავდგი, კარგი ფარდულია, კერა და ფანჯარა აქვს.

-ვერცხლის ჩლიქოსანი იმ მხარეს ბალახობს?

-ვინ იცის, შეიძლება იქაც.

-წამიყვანე რა პაპა, მე ფარდულში დავრჩები, იქნებ ვერცხლის ჩლიქოსანი ახლოს მოვიდეს და მეც ვნახო?-შეეხეწა დარინკა.

მოხუცმა პირველად ხელი გააქნია:

-რას ამბობ, რას! პატარა გოგოს ზამთარში ტყეში სიარული შეეფერება? თხილამურებზე დგომა არ იცი, თოვლში ჩაეფლობი, გაიყინები კიდეც.

-პაპა წამიყვანე! თხილამურებზე სიარული ცოტა შემიძლია! -უკან არ იხევდა დარინკა.

კოკოვანიამ იფიქრა, იფიქრა და: „წავიყვანო ვითომ? მეორეჯერ აღარ მთხოვს" და უთხრა:

-კარგი, წაგიყვან, ოღონდ არ იტირო და დროზე ადრე დაბრუნება არ მთხოვო.

როცა ზამთარი ძალაში შევიდა, ტყეში წასასვლელად გაემზადნენ. კოკოვანიამ ხელის მარხილზე ორი ტომარა ორცხობილა დააწყო, სამონადირეო და სხვა საჭირო ნივთები. დარინკამ ბოღჩა გამოკრა: ნაკუწები თოჯინის კაბების შესაკერად, ძაფის გორგლები-მოსაქსოვად, თოკიც წაიღო: „არ შეიძლება ამ თოკით ვერცხლის ჩლიქოსანის დაჭერა?"

დარინკა კატის გამო დარდობდა. მისი მარტო დატოვება არ უნდოდა. წასვლისას მიეფერა და უთხრა:

-მურენკა, ჩვენ ტყეში მივდივართ. შენ სახლში იჯექი და თაგვები დაიჭირე. როგორც კი ვერცხლის ჩლიქოსანს ვნახავთ, სახლში დავბრუნდებით. მაშინ მე ყველაფერს მოგიყვები.

კატა ალმაცერად უყურებს და თან კრუტუნებს:

-სწორედ მოიფიქრე, სწორედ.

წავიდნენ ტყეში. მეზობლებს გაუკვირდათ: -მოხუცი ჭკუას გადასცდა. ზამთარში ამისთანა პატარა გოგო ტყეში როგორ წაიყვანა.

სოფლიდან როცა გადიოდნენ, ძაღლებს მოუსვენრობა დაეტყოთ და ისე აყეფდნენ, თითქოს ნადირი დაინახეს. გაიხედეს და რას ხედავენ? შუა ქუჩაში მურენკა მორბის და ძაღლებს ძლივს გამოასწრო. ამ დროისათვის მურენკა მოღონიერებული იყო და ძაღლები ახლოსაც ვერ იკარებდნენ.

დარინკას უნდოდა მურენკა სახლში დაებრუნებინა, მაგრამ რას ეძებ? მურენკამ ტყემდე მიირბინა და ფიჭვზე აძვრა. წადი ახლა და დაიჭირე! დარინკა უყვირის, მაგრამ კატა არ ემორჩილება. გზა გააგრძელეს. მურენკაც მათ მისდევს. ასე მიაღწიეს ფარდულამდე. დარინკა იკვეხნის: -სამნი უფრო მხიარულად ვიქნებით. კოკოვანიაც ეთანხმება.

მურენკა ღუმელთან მოიკუნტა და ხმამაღლა აკრუტუნდა:

-მართალს ამბობ, მართალს.

იმ ზამთარში თხები ბევრი იყო. კოკოვანიას ყოველდღე ერთ-ორი მოჰქონდა. ტყავიც ბევრი დაუგროვდათ. თხის ხორცი იმდენი დაამარილეს რომ ხელის მარხილით ვერ წაიღებდნენ. საჭირო იყო ცხენისთვის სახლში დაბრუნება, მაგრამ დარინკა კატასთან ერთად ტყეში მარტო როგორ დატოვოს?

-პაპა, ცხენისთვის წასულიყავი, ეს ხორცი ხომ სახლში უნდა წავიღოთ. -ურჩია მოხუცს დარინკამ

-დარია გრიგოევნა როგორი ჭკვიანი მყავხარ? როგორც დიდმა, ისე მოიფიქრე, ოღონდ მარტო არ შეგეშინდეს-კიდეც გაუკვირდა კოკოვანიას.

-რისი უნდა შემეშინდეს. ფარდული გამაგრებულია, მგელი ვერ შემოაღწევს, მურენკაც ჩემთან იქნება, შენ კი მალე გაუდექი გზას.

წავიდა კოკოვანია. დარჩა დარინკა მურენკასთან ერთად. მარტო ყოფნას მიჩვეული იყო, როცა მოხუცი სანადიროდ მიდიოდა. დაბინდებისას ცოტა მოიწყინა. მურენკა წყნარად იწვა. დარინკაც გამხიარულდა. ფანჯარასთან დაკდა და დაინახა რომ სათიბში ვაცი მორბის. ფეხები გამხდარი აქვს და პატარა თავი აქვს. რქები ხუთტოტიანია. დარინკა გარეთ გამოვარდა, მაგრამ აღარავინ იყო.

-ალბათ მომეჩვენა-გაიფიქრა.

-მართალს ამბობ, მართალს. -კრუტუნებს მურენკა.

დარინკა დასაძინებლად დაწვა და მურენკაც გვერდით მოისვა. დილამდე ასე ეძინათ. გათენდა. კოკოვანია არ დაბრუნდა. დარინკამ მოიწინა, მაგრამ არ ტიროდა. უყურებს მურენკას და ეუბნება:

-მურენკა არ მოიწყინო. პაპა ხვალ აუცილებლად დაბრუნდება.

-მართალს ამბობ, მართალს.

დარინკა ისევ ფანჯარასთან დაჯდა. ვარსკვლავებს უცქერდა. დასაძინებლად უნდა დაწოლილიყო, როცა კედელზე ბაკუნი გაისმა, მერე მეორე კედელზეც, მერე ფანჯარასთან, კარებთან, ბოლოს სახურავზეც. ჩუმი ხმა იყო, თითქოს ვიღაც მსუბუქად დადიოდა. „იქნებ გუშინდელი ვაცი მოვიდა?" -დარინკამ გაიფიქრა და მისი ნახვა ისე უნდოდა, რომ შიშს სძლია, კარები გააღო და რას ხედავს! ზუსტად ის ვაცია, სულ ახლოს. მარჯვენა ფეხი ასწია და მასზე ვერცხლის ჩლიქმა გაიბრწყინა. რქები ხუთტოტიანი ჰქონდა. დარინკამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და როგორც შინაურს ისე მოუხმო:

-ბეე! ბეე! ბეე!

ვაცს გაეცინა, შეტრიალდა და გაიქცა.

დარინკა უკან შემობრუნდა და მურენკას მოუყვა:

-ვერცხლის ჩლიქოსანი დავინახე. რქებიც შევამჩნიე, ჩლიქიც. მხოლოდ ის ვერ დავინახე, ძვირფას ქვებს როგორ ყრის. სხვა დროს, ალბათ მაჩვენებს.

-მართალს ამბობ, მართალს-თავისას მღერის მურენკა.

გავიდა მესამე დღე და კოკოვანია ისევ არ დაბრუნდა. დარინკა შეფიქრიანდა, ცრემლები წამოსცვივდა. მურენკასთან ლაპარაკი მოუნდა, მაგრამ კატა სადღაც გაქრა. ახლა სულ შეეშინდა. გარეთ გამოვარდა და კატას ძებნა დაუწყო. მთვარიანი ღამეა, ნათელი. დარინკამ დაინახა, რომ კატა სათიბში იჯდა, მის წინ ვაცი იდგა. ვაცმა ფეხი ასწია და ვერცხლის ჩლიქი გამოუჩნდა. მურენკა და ვაციც თავს აქნევდნენ, თითქოს ლაპარაკობდნენ. მერე ირბინეს. მირბის ვაცი, გაჩერდება, ჩლიქს დაჰკრავს მიწას. მურენკა ვაცთან მიირბენს, ის კი გაიქცევა და ისევ ჩლიქს დაჰკრავს მიწას. დიდხანს დარბოდნენ. ბოლოს ფარდულტან დაბრუნდნენ.

მერე, ვაცი ფარდულის სახურავზე ავიდა ვერცხლის ჩლიქს ურტყამდა. ჩლიქს ქვემოდან ძვირფასი ქვები ნაპერწკალივით ცვიოდა: წითელი, ცისფერი, მწვანე, ფირუზისფერი-ყველანაირი.

ამ დროს კოკოვანიაც დაბრუნდა. თავისი ფარდული ვეღარ იცნო. ფარდული ძვირფასი ქვებით იყო დაფარული. ვაცი სახურავზე იდგა და ვერცხლის ჩლიქს ურტყამდა. ქვები კი ცვიოდა და ცვიოდა. უცებ მურენკა ახტა და ვაცს გვერდზე დაუდგა, ხმამაღლა დაიკრუტუნდა და უცებ ორივე გაქრა.

კოკოვანიამ ქვები ქუდში მოაგროვა.

-პაპა ხელი არ ახლო! ხვალ დილით ვნახოთ! -ურჩია დარინკამ.

კოკოვანიამ დაუჯერა. მეორე დილით დიდი თოვლი მოვიდა და ძვირფასი ქვები სულ დაფარა. მერე თოვლი გადახვეტეს, მაგრამ ვეღარაფერი იპოვეს. ისიც ეყოფოდათ, რაც კოკოვანიამ ქუდში მოაგროვა.

ყველაფერი კარგი, მაგრამ მურენკა ენანებათ. მას შემდეგ არავის უნახავს. აღარც ვერცხლის ჩლიქოსანი გამოჩენილა.

ამის მერე იმ სათიბში, სადაც ვაცი დახტოდა, ძვირფას ქვებს პოულობენ. მწვანე უფრო მეტია- ქრიზოლითები. თქვენ ნახეთ?



სპილენძის ქვის ქალბატონი;

მალაქიტის ზარდახშა;

ქვის ყვავილი;

მთის ოსტატი;

პაწაწინა ყლორტი;

დიდი მცურავი;

გველის კვალი;

ვერცხლის ჩლიქი.